

ბურჯანაძემ ქუთაისში დაპირისპირების განმუხტვა იკისრა A4



ბუშის ბზავნილი A5



ჟირესის კომპეტენცია B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 6 მაისი, 2005 წელი. №100 (960)

ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### არჩევნები დიდ ბრიტანეთში



დიდ ბრიტანეთში გუშინ საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. როგორც ჩანს, ტონი ბლერს მესამე ვადით მოუწევს მთავრობის ხელმძღვანელობა.

A5

## სამართალი

### იუსტიციის სამინისტრომ "არასამთავრობო ორგანიზაციების" ერთიანი რეესტრი შექმნა



საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციები აღრიცხა და სარეგისტრაციო მონაცემთა ერთიანი რეესტრი შექმნა, რომლის პრეზენტაციაც იუსტიციის სამინისტროში გაიმართა.

A7

**იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 6/5 | 7/5 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 23 |
| ქუთაისი | 21 | 20 |
| ბათუმი | 21 | 23 |
| სოხუმი | 23 | 22 |
| ფოთი | 24 | 24 |
| თელავი | 23 | 26 |
| ზუგდიდი | 24 | 27 |
| გორი | 21 | 24 |
| ახმეტა | 24 | 27 |
| ჭიათურა | 23 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3712 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.4777 |
| რუბლი | 0.0658 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| საზოგადოება | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მართლა მიდიან რუსული ბაზები?

ნინო გომართელი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი დღეს მოსკოვში მიემგზავრება, სადაც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხთან დაკავშირებით ორმხრივი მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება.

მანამდე კი, სალომე ზურაბიშვილსა მის რუს კოლეგას სერგეი ლავროვს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. მინისტრებმა ორმხრივი ურთიერთობების შესახებ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შესაძლო განცხადების საკვანძო ასპექტები განიხილეს, პირველ რიგში, რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის ვადების და ფუნქციონირების შესახებ.

როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი იუწყება, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის გამართული სატელეფონო საუბრისას, **"რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებების პროცესში რუსეთი რაიმე ხელოვნური წინააღმდეგობების შექმნას არ აპირებს და ერთგული რჩება იმ შეთანხმებისა, რომელიც აპრილში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ვიზიტის დროს იქნა მიღწეული."** მოსკოვში იმედოვნებენ, რომ საბოლოო შეთანხმებას მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მიაღწევენ და ის მისაღები იქნება როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრემიერმა სამცხე-ჯავახეთის გამრიცხველიანება დაასრულა



იური [illegible] ფოტო

ზურაბ ნოღაიდელი შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილია.

თამარ მაისურაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მოინახულა. ახალქალაქის განახლებული ცენტრალური მოედნისა და სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ, ნოღაიდელი ბორჯომელებმა უჩვეულო ამპლუაში იხილეს. პროფესიით ფიზიკოსმა პრემიერ-მინისტრმა ბორჯომელებს ქალაქში ბოლო, ელექტროენერგიის ოთხმოცდამეხუთე მრიცხველი დაუყენა. პრემიერთან ერთად რეგიონში იმყოფებოდა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი. **"ახალციხე იქნება ათი ქალაქიდან ერთ-ერთი, სადაც კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამას განახორციელებს. თუმცა არ არის გამორიცხული, ინდივიდუალური გამრიცხველიანება ბორჯომშიც განხორციელდეს, რისთვისაც თანხები შეიძლება, ადგილობრივმა გამგეობამ გაიღოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ბოლნისისა და მცხეთის ადგილობრივ ხელმძღვანელებთანაც,"** - განაცხადა მან.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სერიოზული ბრძოლა ორი მანდატისათვის

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*15 მაისს აფხაზეთის ორ საარჩევნო ოლქში განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება.*

ერთი ოლქი სოხუმშია, მეორე - ოჩამჩირის რაიონში. ახალი მთავრობის ფორმირების შემდეგ, ორი დეპუტატი აღმასრულებელ ხელისუფლებაში სამუშაოდ გადაბარგდა. გადასახადებისა და მოსაკრებლების მინისტრად ვახტანგ ფიფია დაინიშნა, პრივატიზიციის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელად კი - დაურ თარბა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელი დარჩა, სადეპუტატო მანდატებისთვის ბრძოლა, როგორც ჩანს, მაინც მძაფრი იქნება. ყოველ შემთხვევაში - სოხუმში მაინც. აქ ერთ ადგილზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში უკვე სამი კანდიდატი გაატარა - დედაქალაქის ყოფილი ვიცე-მერი ლეონიდ ოსია, არასამთავრობო ორგანიზაციის "ინვა-სოდეისტვიეს" ხელმძღვანელი ალხაზ თხაგუშევი და გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, შემდგომ კი სოხუმის მერი ადგურ ხარაზია.

ოჩამჩირის რაიონში სხვა სურათია. აქ საპარლამენტო მანდატზე პრეტენზიას, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი კანდიდატი აცხადებს.

ალხაზ თხაგუშევმა, რომელიც აფხაზური არასამთავრობო სექტორის რიგებში კარგად არის ცნობილი, პრესაში აქტიური საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. კოლიზია წარმოიშვა მეორე კანდიდატთან - ადგურ ხარაზიასთან დაკავშირებით.

ხარაზიას წინააღმდეგ, ჯერ კიდევ გასულ წელს, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გენპროკურატურის მასალების თანახმად, ხარაზიამ და მისმა იმჟამინდელმა მოადგილემ ასლან ბარათელიამ სასტიკად სცემეს გულრიფშის რაიონის პროკურორი ბესლან ყოლბაია. მაშინ ეს საქმე ხელისუფლებამ ჩაფარცხა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ვიზიტის ციებ-ცხელების ქრონიკა

ვერიკო თევზაძე

*გზების დაგებისა და შენობა-ნაგებობების გადაღებვის გარდა, სახელმწიფო უწყებები აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზეც ზრუნავენ.*

**შინაგან საქმეთა სამინისტროს** პრესსამსახურის წარმომადგენელმა "24 საათს" განუცხადა, რომ ქვეყნის ძირითად სასაზღვრო პუნქტებში - სარფთან, წითელ ხიდთან, თურქეთის და სომხეთის საზღვრებთან მუშაობენ სპეციალური დამატებითი ჯგუფები. ისინი გაძლიერებულ კონტროლს ეწევიან, რათა იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებების და ნარკოტიკების შემოტანა არ მოხდეს.

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის** პრესსამსახურის ინფორმაციით, ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით, დეპარტამენტს დროებითი დამატებითი საგუშაგოების გახსნა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა, უსახსრობის გამო ეს ვერ მოხერხდება.

**აეროპორტი** 9-10 მაისისთვის შეუფერხებლად იმუშავებს, - განუცხადა "24 საათს" აეროპორტის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ მანჯგალაძემ. **"როგორც ავიაციის დეპარტამენტიდან, სამთავრობო დაცვისგან, ასევე ამერიკელების მხრიდან მაცნობეს, ფრენა**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ლაგოდეხში სტიქიამ კიდევ ორი სოფელი დატბორა

*შუაღამის სამ საათზე კალაპოტიდან გადმოვარდნილმა მიდინარე კაბალმა სამოცამდე ოჯახი დატბორა, მდინარე ალაზანმა კი ჯებირები გაანგრია და ლაგოდეხი-თბილისთან დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე გადმოვიდა.*

კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარე კაბალმა სოფლები ნაინდროკალი და კარსუბანი მთლიანად დატბორა. რაიონის ხელმძღვანელობა კი მოსახლეობას საწვავის უქონლობის გამო ვერ ეხმარება. **"როცა რაიონის გამგებელთან დავრეკეთ, ასე გვითხრა, ტექნიკისთვის საწვავი არ გვაქვს და რა გიშველოთო. სოფელი არც კი უნახავს,"** - ამბობს სოფელ ნაინდროკალის მკვიდრი ბიჭიკო მაქაძე, რომელსაც წყალდიდობამ საგულდაგულოდ გადანახული ათი ტომარა ფქვილი მოსტაცა, ხოლო მოწეული კიტრის მოსავალი გაუჩანაგა. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ კართუბანში.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჭურვები რუსების სამხედრო ბაზიდან

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*გუშინ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონში, ცენტრალური საგზაო მაგისტრალის მახლობლად მდებარე ნაგავსაყრელთან, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები აღმოაჩინეს.*

საგარეჯოს რაიონში განლაგებული რუსეთის ყოფილ სამხედრო ბაზა, რომელიც ჯარისკაცებმა ორი წლის წინათ დატოვეს, კვლავ საშიშ ზონას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აქ ასაფეთქებელი ნივთიერებების უტილიზაცია მოხდა, როგორც აღნიშნული ტერტორიის მეთვალყურე იაგო მათიაშვილი ამბობს, 110 ჰექტრის სამხედრო ბაზაზე მიწაში კვლავ უამრავი ნაღმი "ინახება".

გაგრძელება A2 გვერდზე

სოფიო თოდუას სვეტი

# გახსოვდეს რევოლუცია

ჟურნალისტიკის რომელიღაც, სხვათა შორის, რუსულ სახელმძღვანელოში ამომიკითხავს, როგორ არ გადასცეს თავის დროზე ამერიკის წამყვანმა ტელეარხებმა რეიგანის ოცწუთიანი გამოსვლა პირდაპირი ეთერით. ამ ტელეკომპანიების მფლობელებს პრეზიდენტის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, უბრალოდ, იმ მილიონობით ამერიკელის სურვილი გაითვალისწინეს, რომლებსაც პრეზიდენტის გამოსვლაზე მეტად სხვა გადაცემები აინტერესებდათ.

მეც, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირიდან მოვდივარ და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჩემს დროს მასების იდეოლოგიის ასამაღლებლად დიდად აღარავინ ზრუნავდა, ჩვენი კომკავშირის მდივანი ინერციით მაინც გვაწვდიდა ინფორმაციას ძირგამომპალი დასავლეთის შესახებ. ერთხელაც შევიტყვე, რომ ამერიკელი სტუდენტების საკმაოდ სოლიდურ ნაწილს საერთოდაც არ სცოდნია, ვინ ყოფილა შეერთებული შტატების პრეზიდენტი. სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ მე ამ სტუდენტების ძალიან შემშურდა და დაბოლმილმა მთელი სტიპენდია საეჭვო ღირებულების ამერიკელი მომღერლის დისკში ჩავათხლიშე. ალბათ არ გამემტყუნებოდა - ჩემს გვერდით არ მეგულებოდა არც ერთი საბჭოთა ოქტომბრელი, პიონერი თუ კომკავშირელი, რომელსაც არ სცოდნოდა, ვინ იყვნენ ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო და ა. შ.

ჩვენი პრეზიდენტის ამასწინდელმა საათნახევრიანმა შეხვედრამ საგანგებოდ შერჩეულ სტუდენტებთან და ამ შეხვედრის ტრანსლაციამ ყველა არხით, მარტო იმიტომ არ დამწყვიტა გული, რომ ჩემი ოჯახის ყველაზე პატარა წევრმა იმ საღამოს "ბასტი-ბუბუს" ვერ უყურა, ყვალაზე მხცოვანმა კი - მორიგ ტელესერიალს. ქვეყნის პირველი პირის ახალგაზრდებთან შეხვედრის წინააღმდეგი ან კი რატომ უნდა ვიყო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, არანორმალურად მეჩვენება, რომ უკლებლივ ყველა ტელეკომპანია ერთსა და იმავეს გადასცემს. კიდევ უფრო გამაღიზიანებელია, როცა პრეზიდენტი ამ დროს პრესის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს. მეტიც, საჯაროდ აცხადებს, რომ ჩვენს ქვეყანაში, თურმე, დემოკრატია ისე გაფურჩქნულა, უკმაყოფილო მოსახლეობა პრეტენზიებს ტელეკამერების წინ თამამად გამოთქვამს. ღმერთი, რჯული, ძალიან მახარებს ყველა ის სასიკეთო ცვლილება, რაზედაც პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა - მათ შორის, ბუშის ვიზიტი და ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებული გამალებული აღდგენითი სამუშაოები თუნდაც ქალაქის ერთ პატარა მონაკვეთზე. მაგრამ ჯერ როგორც რიგითმა მოქალაქემ და მერე უკვე როგორც ჟურნალისტმა მინდა ვიკითხო: ბოლოს და ბოლოს, რისთვის ხდება რეორგანიზაცია საზოგადოებრივ ტელევიზიაში, თუ ამ ტელეკომპანიის ფუნქციები კვლავინდებურად კერძო არხებმა უნდა იტვირთონ? უფრო სწორად, კი არ უნდა იტვირთონ, უნდა ატვირთებინონ. ტელევიზორის პირველ არხზე გადართვა საკმაოდ იოლია, გაცილებით ძნელია საზოგადოების იმაში დარწმუნება, რომ ჩვენს კერძო ტელეკომპანიებს სახელმწიფო არ აკონტროლებს.

მადლობას რაც შეეხება, ბოლო დროს ჩვენს საინფორმაციო საშუალებებს სერიოზულად რომ უგდო ყური, სამადლობელო იმდენი დაგვიგროვდა, ბარე ერთი და ორი საეთერო დრო არ გვეყოფა. მადლიერები უნდა ვიყოთ ქართული ჯარის ფეხზე დაყენებისთვის, აჭარის გათავისუფლებისთვის, ეროვნული გამოცდების ჩატარებისთვის, კულტურული რენესანსის დაწყებისთვის და ა.შ. ასე განსაჯეთ, სტიქიური უბედურებისთვისაც კი, რადგან, წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დღევანდელი უსახლკაროდ დარჩენილ ათასობით ოჯახს სოლიდურ ფულად დახმარებასა და პროდუქტების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. აღებ-მიცემის ამ აქტს კი უკლებლივ ყველა ტელეარხი შესაშური ოპერატიულობით გადასცემს. სხვათა შორის, პრეზიდენტმა სტუდენტებს ისიც გაუმხილა, რომ შარშან საქართველოში გაცილებით მეტი ჩვენი მოქალაქე დაბრუნებულა, ვიდრე აქედან გასულა და შობადობაც მთელი 30 პროცენტით გაზრდილა! შენს პირს შაქარი, ჩემო პრეზიდენტო, მაგრამ სტატისტიკური მონაცემები, რატომღაც, საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ხოლო რაც შეეხება გამუდმებით იმის შეხსენებას, რომ სულ უნდა გვახსოვდეს და ყოველწლიურად პომპეზურად უნდა აღვნიშნავდეთ ვარდებისა თუ აჭარის რევოლუციებს, ამ საკითხთან დაკავშირებით ამ ერთხელაც მინდა ვიკითხო: შემთხვევით, კუბაზე ხომ არ გადაგვასახლეს? ეს ეჭვი იმიტომ გამიჩნდა, რომ სწორედ "თავისუფლების კუნძულის" ლაღ და სხვებთან შედარებით უდარდელ მოსახლეობას აგონებს ხშირ-ხშირად ამხანაგი ფიდელი, რომ რევოლუცია უკვე მოხდა და ამის დავიწყება არ ეგების. კუბელებზე ეს მეთოდი, როგორც ჩანს, ჭრის, მაგრამ ვშიშობ, ჩვენთან საპირისპირო შედეგებამდე არ მიგვიყვანოს. ამას წინათ ერთ ანეკდოტს მოვკარი ყური: შუა ხნის ქალი მეგობარს ურეკავს და ეკითხება, შენს ქმარს მეხსიერების პრობლემები რომ ჰქონდა, "ბილობილი" თუ დაალევინეო? როგორ არა, ჩემო კარგო, სრული კურსი ჩავუტარე და ისე კარგად იმოქმედა, პირველი სიყვარული გაახსენდა და იმასთან გაიქცაო. გული მიგრძნობს, ერთხელაც ბევრს გაახსენდება, რა ვნებებითაც იყვნენ შეპყრობილი თავიანთი კარიერის დასაწყისში დღევანდელი ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენლები და მერე უკვე ამნეზიაც ველარ გვიშველის. მე კი, რატომღაც, ერთი ცნობილი ზღაპრის პერსონაჟი ბიჭუნა მაგონდება, შეუმოსავ მეფეზე ბავშვური გულუბრყვილობით რომ განაცხადა: მეფე შიშველია! ჯერჯერობით, ჩვენი საქმე აქამდე არ მისულა, მაგრამ იქნებ ვინმემ მაინც გაბედოს და აღიაროს: ჩვენი მეფე (არა ირაკლი ჩარკვიანი და არა ლადო ბურდული), ცოტა არ იყოს, შილიფადაა ჩაცმული! სულ ესაა და ეს.

## საქართველოს საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სახელმწიფო საატესტაციო კომისიის

## განცხადება

კომისია აცნობებს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, რომ სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ატესტაციის დებულების შესაბამისად გრძელდება საატესტაციო დოკუმენტების მიღება დებულების მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დოკუმენტების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 16 ივლისი.

2005 წლის 28 აპრილისთვის კომისიაში წარმოდგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 49, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 9 და სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განაცხადი და საატესტაციო დოკუმენტები. ექსპერტთა შეფასება ჩაუტარდა 13 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას..

საატესტაციო კომისიის მასალების გაცნობა შეიძლება კომისიის ვებ-გვერდზე: htpp://www.acnet.ge/comisia/sarchevi.htm

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საატესტაციო კომისიის სამდივნოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში (რუსთაველის გამზ., 52, II სართული, ოთახი N203; ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 14 საათამდე; ტელ: 99-86-28).

*საატესტაციო კომისია*

# ჭურვები რუსების სამხედრო ბაზიდან

პირველი გვერდიდან

**"ეს ტერიტორია ყოველთვის საშიშ ზონას წარმოადგენდა, მაგრამ მაჯერად საფრთხე გაიზარდა. ბოლო დროს გახშირებულმა ნალექებმა ფერდობებიდან მიწა ჩამოშალა და ერთ დროს ღრმად ჩამარხული ტანკსაწინააღმდეგო და სხვადასხვა სახეობის ნაღმები გამოჩნდა,"** - აცხადებს იაგო მათიაშვილი.

ორი წლის განმავლობაში ამ ტერიტორიაზე ჩამარხულ ჭურვებზე არერთი ადამიანი დასახიჩრდა. მიტოვებულ ადგილს მოსახლეობა საძოვრებად იყენებს, რის გამოც ხშირია აქ ნაღმზე საქონლის აფეთქება. მიუხედავად ასეთი ფაქტებისა, რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზა დღესაც ღიაა და დაუცველია. დანაღმულ ტერიტორიაზე მწყესების გარდა, ჯართის მოსაგროვებლად, ბავშვებიც


საპატრულო პოლიციის მიერ ნაპოვნი ჭურვები.

დადიან. ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, რომლებიც საპატრულო პოლიციამ რაიონის ცენტრალურ მაგისტრალის ნაგავსაყრელზე აღმოაჩინა, სავარაუდოდ, ბაზიდან ბავშვების გამოტანილია.

როგორც პატრულის თანამშრომლები ამბობენ, ჭურვები ძველ ქურთუკში იყო გახვეული. პატრულმა თბილისიდან გამნაღმველთა სპეციალური ჯგუფი გამოიძახა.

**"თავდაცვის სამინიტროს წერილობით არერთხელ მივმართეთ, რომ ამ ბაზისთვის ყურადღება მიექცია, მაგრამ პასუხი არ მოგვსვლია. სწორედ ეს მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ტერიტორია კვლავ რუსეთის თავადაცვის სამინისტროს კუთვნილებაა,"** - ამბობს საგარეჯოს გამგებელი გარი ბუხნიკაშვილი.

# ლაგოდეხში სტიქიამ კიდევ ორი სოფელი დატბორა

პირველი გვერდიდან

მოსახლეობას კი ყველაზე მეტად გული იმაზე სწყდება, რომ მეზობელი სოფლის მსგავსად რაიონის ხელმძღვანელობამ კარსუბნელებიც უყურადღებოდ დატოვა.

აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის რაიონში მდინარე კაბალმა უკვე მეოთხე სოფელი დატბორა. სტიქიისგან დაზარალებულ აზერბაიჯანულ ოჯახებს დახმარების ხელი მოსაზღვრე აზერბაიჯანის რესპუბლიკამ გაუწოდა. ეს ქვეყანა ანალოგიურ დახმარებას ქართველებსაც სთავაზობდა, მაგრამ, როგორც ნაინდროკელები ამბობენ, აზერბაიჯანს ამ დახმარებაზე რაიონის ხელმძღვანელობამ უარი განუცხადა.


ადიდებული ალაზანი თბილისთან დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე შეიჭრა.

გუშინ ადიდებული მდინარე ალაზანმა კიდევ რამდენიმე მეტრით მოიმატა, რის გამოც კალაპოტიდან გადმოვიდა და თბილისი-ლაგოდეხის საგზაო მაგისტრალი დატბორა, ხოლო 150 ათასი ჰექტარი ვენახი წყალმა დაფარა.

რაიონის გამგებელმა თამაზ გოძიაშვილმა მოსახლეობის საყვედურებს უსაფუძვლო და პროვოკაცია უწოდა. გოძიაშვილის თქმით, ამ დროისთვის რაიონი ტექნიკის სიმწირეს განიცდის და წყალდიდობისგან დატბორილი სოფლების დახმარებას შეძლებისდაგვარად ცდილობს. რაც შეეხება ზარალის რაოდენობას, დგინდება.

*24 საათი*

# სერიოზული ბრძოლა ორი მანდატისათვის

პირველი გვერდიდან

უფრო მეტიც, ამ ინციდენტის შემდეგ, თვენახევრის განმავლობაში ხარაზია სოხუმის მერის მოვალეობას ასრულებდა. აღნიშნული ფაქტის გამო, სულ ცოტა ხნის წინ ასლან ბარათელია დააპატიმრეს. ბარათელიას დაკავება გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტიდან მისი გათავისუფლებისთანავე მოხდა, რასაც ოპოზიციის დიდი პროტესტი მოჰყვა. ოპოზიციონერები აცხადებდნენ, რომ ბარათელიას დაპატიმრებას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ოპოზიციური გამოსვლების შემდეგ ხელისუფლებამ ბარათელიას გათავისუფლება გადაწყვიტა და მას ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი დაადებინა. ამავე დროს, თავად ხარაზიაზე ძებნა გამოცხადდა, რადგან მისი დაკავება სამართალდამცავებმა ვერ მოახერხეს.

თუმცა, აღნიშნულ გარემოებებს ხარაზიას საინიციატივო ჯგუფისთვის ხელი არ შეუშლია და იგი ცესკო-ში ერთ-ერთ კანდიდატად დაარეგისტრირეს.

უფრო მეტიც, ცნობილი გახდა, რომ ხარაზიას საინიციატივო ჯგუფის წევრებმა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე ზეწოლა განახორციელეს. ხარაზიას მომხრეებმა კომისიის თავმჯდომარეს მოსთხოვეს საუბნო კომისიის წევრების გამოყოფა ხარაზიას მხარდასაჭერი ხელმოწერების შესაგროვებლად, ასევე მოსთხოვეს ცალკე ოთახი, უშუალოდ საუბნო კომისიის შენობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საუბნო კომისიის თავმჯდომარეს "დიდ პრობლემებს" შეჰპირდნენ.

ასეა თუ ისე, სრულიად გაურკვეველია, როგორ აპირებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ოპოზიციასთან მორიგი სკანდალი აშინებს. ოპოზიცია კი, რომელიც ხარაზიას, როგორც მომავალ ლიდერს, ისე განიხილავს, მას აუცილებლად გამოესარჩლება და ხელისუფლებას "პოლიტიკურ დევნაში" დაადანაშაულებს.




## პრემიერმა სამცხე-ჯავახეთის გამრიცხველიანება დაასრულა

პირველი გვერდიდან

სამცხე-ჯავახეთში კომუნალური გამრიცხველიანება დასრულებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ოჯახის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის მაჩვენებელი ერთ მრიცხველზე დაფიქსირდება, ხოლო გადასახადი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გაიყოფა. მოსახლეობა ინდივიდუალური გამრიცხველიანების მომხრეა, თუმცა, როგორც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" წარმომადგენლები აცხადებენ, თითოეული მოსახლისთვის ინდივიდუალური მრიცხველის დაყენება სამცხე-ჯავახეთში დენის ტარიფის გაზრდას გამოიწვევს. **"მეზობლებმა შექმენით ერთ ჯგუფი, რომელიც ელექტროენერგიის გადასახადის სამართლიანად გადანაწილებას შეძლებს,"** - დაავალიანა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა გოგა ხაჩიძემ ბორჯომელები.

ამ დროისათვის "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სამოქმედო ტერიტორიაზე 5000 კომუნალური მრიცხველია დამონტაჟებული. იგეგმება სულ 10 ათასი კომუნალური მრიცხველის დამონტაჟება. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელს 20 მილიონ ლარს მიიღებს. აღნიშნული თანხა ძირითადად ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას და ქსელების რეაბილიტაციას მოხმარდება. 3 მილიონი ლარი კომუნალური გამრიცხველიანებისათვის კომპანიამ უკვე აითვისა.

მოკლედ

### პრეზიდენტმა კუნძულ ტექსელზე ქართველთა სასაფლაო მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოჯახთან, კათოლიკოს-პატრიარქთან და პარლამენტის წევრებთან ერთად, ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელს ეწვია, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო აჯანყებისას დაღუპული ასეულობით ქართველია დაკრძალული. დელეგაციის წევრებმა ჰოლანდიაში ჯერ მეორე მსოფლიო ომის მუზეუმი დაათვალიერეს, შემდეგ კი ქართველთა საფლავები მოინახულეს.

*ინტერ-პრესი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსმა დიპლომატებმა გალის რაიონში მცხოვრებ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 35 ვეტერანს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მე-60-ე წლისთავთან დაკავშირებით, სამახსოვრო მედლები გადასცეს. საზეიმო ცერემონიალზე მისვლა 72 ვეტერანიდან მხოლოდ 35-მა შეძლო. დანარჩენ 37 ვეტერანს რუსი დიპლომატები სამახსოვრო მედლებს სახლებში გადასცემენ. სოხუმის ადმინისტრაციამ კი სოხუმში მცხოვრებ 192 ვეტერანს ქალაქის ადმინისტრაციაში მიღება მოუწყო და ერთჯერადი დახმარების სახით 500-500 რუსული რუბლი გადასცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამნაღმველთა ჯგუფი, დღეს დილიდან, საქართველო-თურქეთის საზღვარზე განნაღმვითი სამუშაოების ჩატარებას იწყებს. სამუშაოები სასაზღვრო სექტორ "ჭარალის" დასაცავი მონაკვეთის 230-ე სასაზღვრო ნიშანთან განხორციელდება. აღნიშნულ ტერიტორიაზე, ორი კვირის წინ, ქართველმა მესაზღვრეებმა რუსი სამხედროების მიერ დატოვებული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები აღმოაჩინეს. რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს "ახალციხის" მესაზღვრეებმა სასაზღვრო სექტორ "ჭარალის" დასაცავი მონაკვეთის 230-ე სასაზღვრო ნიშანთან "TMT-57" ტიპის 12 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი იპოვეს. ტერიტორია ამ დრომდე კონტროლზეა აყვანილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზბეკეთის ხელისუფლებამ საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას გაერთიანების (სუუამ-ის) თავმჯდომარეს, მოლდოვას პრეზიდენტ ვლადიმირ ვორონინს სუუამის დატოვების შესახებ ოფიციალურად ამცნო. ტაშკენტმა საბოლოო გადაწყვეტილება 22 აპრილს, სუუამის კიშინიოვის სამიტის შემდეგ მიიღო. ამ სამიტში უზბეკეთი არ მონაწილეობდა. პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი ალიანსის დატოვების მიზეზად სუუამის პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაქცევას ასახელებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის შენობაში შესვლის საგანგებო რეჟიმი მომავალი ორშაბათიდან დაწესდება და 2 დღეს გასტანს. ამ პერიოდში შენობაში შესვლა მხოლოდ საგანგებო საშვებით იქნება შესაძლებელი, რომელიც აკრედიტებულ ჟურნალისტებზე გაიცემა. ეს ღონისძიება თბილისში 10 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტს და ამ ვიზიტის ფარგლებში პარლამენტში დაგეგმილ შეხვედრებს უკავშირდება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ვიზიტის ციებ-ცხელების ქრონიკა

პირველი გვერდიდან

**შეიზღუდება ბუშის ჩამოფრენის დროიდან ერთი საათით ადრე და ერთი საათის შემდეგ. შეიძლება, რეისებმა დაიგვიანოს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გადაიდება,"** - დასძინა მანჯგალაძემ.

**საბაჟო დეპარტამენტის** პრესსამსახურის წარმომადგენელმა კახა ჭაბაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ვიზიტის დღეს საბაჟო ჩვეულებრივად იმუშავებს. ჭაბაშვილის ვარაუდით, შესაძლებელია, ამ დღეს ქვეყანაში იმპორტის შემოსვლამ იკლოს.

**აეროპორტის საბაჟო სამსახურის** პრესსამსახური იუწყება, რომ არანაირი სიახლე არ არის მოსალოდნელი. **"9 მაისის ღამეს მომუშავე მებაჟეთა ცვლიდან ბუშის დელეგაციას მოემსახურება სამი მებაჟე, რომელთაც სპეციალური საშვები ექნებათ,"** - ასეთი განმარტება მისცა "24 საათს" აეროპორტის საბაჟოს პრესსამსახურმა.

**"ლეიბორისტების"** მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. **"აქციის შესახებ შეტყობინება მივიღე ნათელაშვილის ხელმოწერით. სამართალდამცავ ორგანოებს ვაცნობე, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყონ. "ლეიბორისტებს" შეუძლიათ, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით ისარგებლონ. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ. ეს კი, უპირველს ყოვლისა, გულისხმობს, რომ თავისი აზრი ყველამ თავისუფლად გამოხატოს. ამერიკის პრეზიდენტს საპროტესტო აქციები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დახვედრია და ამით არაფერი შეცვლილა. პირიქით, ფასეულია ის ქვეყნები, სადაც აზრის გამოხატვის თავისუფლება ყველას აქვს,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას დედაქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

დედაქალაქის მერის ინფორმაციით, ვიზიტის მსვლელობისას დედაქალაქში ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვების შესახებ მოსახლეობას რვა ან ცხრა მაისისთვის ეცნობება.

# მართლა მიდიან რუსული ბაზები?

პირველი გვერდიდან

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის მრავალწლიანი დავის და არაერთი უშედეგო ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთმა "დათმობაზე" წასვლა და ურთიერთობებში ახალი იმპულსის შეტანა სულ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა. **"არსებით პროგრესს მივაღწიეთ და ჩვენი პოზიციები შესამჩნევად დავაახლოეთ. შევთანხმდით, რომ რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანა ეტაპობრივად მოხდება და შესაძლებელია, რომ პირველი ეტაპი წელსვე დაიწყოს. ეს შეეხება როგორც სამხედრო ტექნიკას, ასევე იმ ობიექტებს, რომლებიც სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურაში არ შედის,"** - აღნიშნავდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ქართველ კოლეგასთან, სალომე ზურაბიშვილთან გამართული მოლაპარაკებების ბოლოს.

რუსეთის ხელისუფლების პოზიციაში ბზარი გააჩინა თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. მან განაცხადა, რომ მოსკოვს საქართველოდან სამხედრო ბაზების გასაყვანად, სულ ცოტა, ოთხი წელი დასჭირდება. ეს ვადა კი არაფრით არ ჯდება იმ შეთანხმების ჩარჩოებში (ბაზების გაყვანის დასრულება 2008 წლის 1 იანვარს), რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიაღწიეს.

სხვათა შორის, ორი ქვეყნის ურთიერთობებში "ახალი იმპულსი" იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც თეთრმა სახლმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ "ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში 6 მაისიდან 10 მაისამდე ეწვევა ლატვიას, ნიდერლანდებს, რუსეთსა და საქართველოს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად" და **"აშშ-ს პრეზიდენტი ტურნეს თბილისში ვიზიტით დაასრულებს, რათა დემოკრატიის, ისტორიული რეფორმის და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისადმი მხარდაჭერა დაადასტუროს."**

ამავე პერიოდში მკვეთრი ფორმა მიიღო ვაშინგტონის კრიტიკამ რუსეთის მისამართით. სულ ცოტა ხნის წინ, მოსკოვში ვიზიტისას, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, რომ რუსეთში **"ბოლოდროინდელი ტენდენციები დადებითი არ იყო."**

როგორც გუშინ **"Financial Times"**-ი წერდა, **"მოსკოვში, საზეიმო განწყობა ბუშს საშუალებას არ მისცემს, კრიტიკით გამოვიდეს,"** თუმცა მისი გადაწყვეტილება, ბალტიის ქვეყნებსა და საქართველოში ჩავიდეს, **"რუსეთის პრეზიდენტის თვალთახედვით პროვოკაცია იქნება."**

სტატიის ავტორი რამდენიმე ხნის წინ, აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშსა და მის ქართველ კოლეგას მიხეილ სააკაშვილს შორის გამართულ სატელეფონო საუბარს იხსენებს, როდესაც **"ბუშმა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ და დემოკრატიულ რეფორმებს დადებითი შეფასება მისცა და ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას მხარი დაუჭირა."**

მოკლედ, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, რუსეთსა და საქართველოს შორის შეთანხმება რეალურად მოხდება თუ არა. თანაც, უკვე სხვა საკითხია, მოსკოვი თუნდაც შეთანხმებულ პირობებს რამდენად შეასრულებს. წარსული გამოცდილება შესაძლო შედეგებზე თავად მეტყველებს.

რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე რუსულ-ქართული მოლაპარაკებები 1999 წლიდან მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, 1999 წელს, სტამბოლის ეუთოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით, რუსეთს საქართველოში განლაგებული ვაზიანისა და გუდაუთის ბაზები 2001 წლის 1 ივლისამდე უნდა გაეყვანა. ვაზიანის ბაზასთან მიმართებაში რუსეთმა ეს პირობა შეასრულა. მოსკოვის მტკიცებით, მან ასევე გაიყვანა მძიმე შეიარაღება გუდაუთიდან. ამაში დარწმუნების მიზნით, იმის გამო, რომ თბილისის იურისდიქცია აფხაზეთზე ვერ ვცელდება, ქართულმა მხარემ გუდაუთის ბაზაზე საერთაშორისო მონიტორინგის ჩატარება მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ.

იმავე, 1999 წლის სტამბოლის შეთანხმებაში ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით ჩაიწერა, რომ რუსეთი და საქართველო იღებენ ვალდებულებას, 2001 წლამდე მიაღწიონ შეთანხმებას ამ ბაზების ფუნქციონირებისა და მათი ლიკვიდაციის ვადების შესახებ. ამდენად, ვაზიანისა და გუდაუთისგან განსხვავებით, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებთან მიმართებაში განსაზღვრული არ არის, რუსეთმა ეს ბაზები როდის უნდა გაიყვანოს. ამით კი მოსკოვი, რა თქმა უნდა, სარგებლობს.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბასადორი" 11-იდან 12 საათამდე



### მისი აღმატებულება ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ბატონი იოზეფ ურაბეცი

| | |
|---|---|
| წამყვანები: | ლელა ჯობლაძე,ქეთევან კორძახია |
| სტუმარი: | ბატონი იოზეფ ურაბეცი,ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში. |
| იოზეფ ურაბეცი: | ჩეხური ლუდი ძალიან პოპულარულია მთელს მსოფლიოში. უცხოური კომპანიები ჩვენთან ადგილობრივ საწარმოებს ყიდულობენ და ამგვარად მკვიდრდებიან ჩეხეთში. ჩეხური ლუდი საქართველოშიც იყიდება. მალე თბილისში გაიხსნება ჩეხური რესტორანი, სადაც მოყვარულებს საშუალება ექნებათ ჩეხური ჩამოსასხმელი ლუდი გასინჯონ. რაც შეეხება თანამშრომლობას კულტურის დარგში, საელჩოს შეუძლია შეხვედრა პარტნიორებისა და კონტაქტების მოძებნა. მთავარია საქართველოს მოსახლეობამ ინიციატივა გამოიჩინოს. |

## საქართველოს რესპუბლიკური პარტიის განცხადება

### აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით

საქართველოს რესპუბლიკური პარტია მიესალმება პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტს საქართველოში და აღიქვამს ამ უპრეცედენტო მოვლენას ჩვენი ქვეყნისადმი უშუალო და უმნიშვნელოვანეს მორალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერად.

2003 წ. ნოემბრის "ვარდების რევოლუციამ" ახალი იმპულსი შესძინა დეკომუნიზაციისა და დემოკრატიზაციის ტალღას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ახალი პერსპექტივები შეუქმნა საქართველოს დასავლური ფასეულობების გათავისების, თანამედროვე დემოკრატიულ სტანდარტებთან მიახლოების, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

იმავდროულად, წინა წლების სტაგნაციის მდგომარეობიდან გამოსვლა საქართველოში რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ობიექტური ხასიათის სირთულეების გარდა, სერიოზული შეშფოთების საფუძველია ახალი და ახალგაზრდა ხელისუფლების სტრატეგიულ ხედვასა და გათვლასმოკლებული ქმედებები. დემოკრატია, გამჭვირვალობა, პლურალიზმი, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ხშირად ეწირება პოპულიზმს, პოლიტიკურ კონიუნქტურას, კერძო და ვიწროპარტიულ ინტერესებს. ძირფესვიანი სისტემური რეფორმების ნაცვლად ხშირად კამპანიური, ექსპერიმენტულ-რევოლუციური სულისკვეთება სჭარბობს, რაშიც დიდია თავად სახელმწიფოს ლიდერის როლი.

ნდობის ის მაღალი კრედიტი, რომელიც რევოლუციურმა ხელისუფლებამ ამომრჩევლისგან მიიღო, სულაც არ არის მუდმივი; საქართველოს მოქალაქეთა კიდევ ერთმა გაწბილებამ კი შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოუტანოს ქართულ სახელმწიფოებრიობას. ამიტომ, შიდა დემოკრატიული რესურსისა და პრაქტიკის ერთგვარი დეფიციტის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მოკავშირეების პრინციპული და შეწყობილი პოზიცია, მათგან მომავალი რჩევების სიცხადე და ერთმნიშვნელოვნება. საქართველოს, დიახაც, სჭირდება მრავალმხრივი და სისტემატური დახმარება, მაგრამ ეს დახმარება მკაფიოდ უნდა იყოს განპირობებული საქართველოს ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით, დეკლარირებული მიზნებისა და ფასეულობებისადმი ერთგულებით.

საქართველოს მომავალი მის დემოკრატიულობაში, სამოქალაქო საზოგადოების ძლიერებაში, კანონის უზენაესობაში, ეკონომიკის გახსნილობასა და კეთილმეზობლობაშია. საქართველოს რესპუბლიკური პარტია დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს იქნება საქართველოს მოქალაქეებისა და მათი მთავრობისათვის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მთავარი სათქმელიც.

*2005 წ. 6 მაისი*

## აშშ-ს ოფიციალური პირები თბილისში ბუშის ვიზიტის დეტალებზე საუბრობენ

აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სტივენ ჰედლის განცხადებით, ჯორჯ ბუშის ვიზიტი ევროპაში და, მათ შორის, საქართველოში ხაზს გაუსვამს ევროპელების და ამერიკელების საერთო მიზანს, **"ხელი შეუწყონ თავისუფლებას, კეთილდღეობას და ტოლერანტობას ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ."**

აშშ-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ყურადღება 9-10 მაისს საქართველოში დაგეგმილი, ბუშის ვიზიტის ზოგიერთ დეტალზეც გაამახვილა. ჰედლისეული ზოგადი მონახაზი ასეთია: ორშაბათს, 9 მაისს, დღის მეორე ნახევარში პრეზიდენტი და მისი მეუღლე მოსკოვიდან თბილისში გამოემგზავრებიან. ჩამოსვლისთანავე, ისინი ძველ თბილისს ეწვევიან. სამშაბათს, 10 მაისს, პრეზიდენტი და მისი მეუღლე მონაწილეობას მიიღებენ ვიზიტის ოფიციალურ ცერემონიაში. მოგვიანებით, პრეზიდენტი ბუში შეხვდება პრეზიდენტ სააკაშვილს, რაც ერთობლივი ბრიფინგით დასრულდება. ბრიფინგის შემდეგ პრეზიდენტი ბუში შეხვდება საზოგადო მოღვაწეებს, მოგვიანებით კი - პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს. პრეზიდენტი ბუში ქართველ ხალხს თავისუფლების მოედნიდან მიმართავს. სამშაბათს საღამოს პრეზიდენტი და მისი მეუღლე თბილისიდან ვაშინგტონში გაემგზავრებიან.

"24 საათის" ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში ჯორჯ ბუში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებსაც შეხვდება.

*24 საათი*



# ნინო ბურჯანაძემ ქუთაისში დაპირისპირების განმუხტვა იკისრა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ქუთაისის სახელისუფლებო სტრუქტურებში წარმოშობილი კონფლიქტის განეიტრალების პროცესში ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო ბურჯანაძე ჩაერთო. პარლამენტის თავმჯდომარემ 5 მაისს ქუთაისში ერთობლივი შეხვედრა გამართა ადგილობრივი ხელისუფლებასა და ქალაქის შემოქმედებით ინტელიგენციასთან.

**"ბოლო პერიოდში ძალიან სერიოზული დაპირისპირება იყო კულტურის სფეროს წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, რომლის დროსაც საკრებულომ ერთი პოზიცია დაიკავა და ქალაქის ხელმძღვანელობამ - მეორე. მე პრინციპულად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ საერთო ენა გამოიძებნოს და ნაპოვნი იქნას ისეთი კონკრეტული გამოსავალი, რომელიც ხელს შეუწყობს ქუთაისში კულტურის აღმავლობის პროცესის დაწყებას,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ "24 საათთან" საუბარში.

დაპირისპირება მერიასა და კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ერთ ნაწილს შორის ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის სამსახურის სამოქმედო პროგრამამ გამოიწვია.

**"ჩვენ ვმოქმედებთ ცენტრალური ხელისუფლების პოზიციის შესაბამისად, რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო კულტურის დარგში"**, - აცხადებს კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ზვიად ხუჯაძე "24 საათთან" საუბარში.

კულტურის სამსახურის მიერ შეთავაზებული კონკურენტული გარემო ითვალისწინებს შემოქმედებითი გაერთიანებების კონკურსის წესით დაფინანსებას მაშინ, როცა აღნიშნული გაერთიანებები წლების მანძილზე პირდაპირი წესით ფინანსდებოდნენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**"კონკურსის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, უბრალოდ, კონკურსი კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა ჩაატარონ, ისეთმა ადამიანებმა, ვის მიმართაც ეჭვი არავის გაუჩნდება"**, - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენციის შენიშვნებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საკრებულომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა დაიწუნა და საკუთარი ალტერნატიული პროგრამა დაამტკიცა. თუმცა ორიოდე თვის წინ იგივე საკრებულო სხვაგვარად ფიქრობდა, როცა კულტურის განვითარების პროგრამის შესაქმნელად "რეფორმების მხარდამჭერ ასოციაციას" 7500 ლარი უბოძა. აღნიშნული ასოციაციის თავმჯდომარე გიორგი ფხაკაძე ამჟამად კულტურის სამსახურის კოორდინატორია. მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამაც, რომელსაც საკრებულომ ამჯერად მხარი არ დაუჭირა, სწორედ "რეფორმების მხარდამჭერი ასოციაციის" მიერ შემუშავებული პროგრამის ასლია, მცირეოდენი კორექტივებით.

**"კულტურის სამსახურის მიერ შემუშავებულ პროგრამას არ შეიძლება ეწოდოს პროგრამა, რადგან ძალიან ზოგადია. ზოგადად მხოლოდ პრინციპებზე შეიძლება საუბარი. პროგრამა შეიძლება ეწოდოს იმას, რაც უშუალოდ აღრიცხავს ღონისძიებების დასახელებას და მათ დაფინანსებას"**, - აცხადებს ქუთაისის ოპერის თეატრის დირექტორი გიორგი ლომთაძე "24 საათთან" საუბარში.



*ნინო ბურჯანაძის შეხვედრა ქუთაისის შემოქმედებით ინტელიგენციასთან.*

ქუთაისში არსებულ კულტურის კერებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ოპერისა და თოჯინების თეატრები აღმოჩნდნენ. აღნიშნულ დაწესებულებებს ბოლო წლებში სოლიდური საბიუჯეტო დავალიანება დაუგროვდათ, რის გამოც დახურვის საფრთის წინაშე აღმოჩნდნენ. ქუთაისის ოპერის თეატრის ვალი საურავებიანად 345 000 ლარს შეადგენს, თოჯინების თეატრისა კი - 108 000 ლარს.

**"ეს არის უიმედო ვალი, რომელიც აუცილებლად უნდა ჩამოიწეროს, რომ თეატრმა არსებობა გააგრძელოს"**, - აცხადებს თოჯინების თეატრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ია იაშვილი "24 საათთან" საუბარში.

**"ქალბატონმა ნინომ გვითხრა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს ფინანსთა სამინისტროსთან, რათა მოხდეს ამ ვალების რესტრუქტურიზაცია"**, - აცხადებს ოპერის თეატრის დირექტორი.

ნინო ბურჯანაძეს ქუთაისის ოპერის თეატრთან დაკავშირებით სხვა გეგმებიც აქვს: **"მე დათო საყვარელიძესთან მქონდა საუბარი და ის მომიტანს პროექტს, რომლითაც შეგვიძლია ვიფიქროთ იმაზე, რომ ქუთაისის ოპერის თეატრი გადავაქციოთ დასავლეთ საქართველოში მუსიკალურ ცენტრად"**.

ნინო ბურჯანაძის კრიტიკას ადგილობრივი ხელისუფლება მაინც ვერ აცდა.

**"ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს, რომ ასეთი სახის პრობლემების მოგვარება დაიწყოს და არა - მათი გამწვავება. ყველაზე რთული პრობლემების მოგვარებაც კი შეიძლება წინასწარი კონსულტაციებითა და ადამიანებისთვის ახსნით"**, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

შემოქმედებით ინტელიგანციასთან შეხვედრის შემდეგ მაჟორიტარმა დეპუტატმა სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოს რენტგენისა და ექოსკოპიის აპარატი უსახსოვრა, უმწეო ინვალიდებს კი - სპეციალური ეტლები გადასცა საჩუქრად.

# ძალადობა ოჯახში

ნანა ბასილაშვილი

ძალადობა კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. საქართველოში ძალადობის ყველა ტიპია დაფიქსირებული - მასობრივი ძალადობით დაწყებული, ოჯახურით დამთავრებული. მათთან გამკლავება საკმაოდ რთულია. უფრო მეტიც, შეუძლებელიც კია, როდესაც ადამიანი არასწორად აფასებს სიტუაციას და არანორმალური პირობების მიუხედავად, თავს ძალადობის მსხვერპლად არ აღიარებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მეუღლეების, რძალ-დედამთილის, რძალ-მულის, სიძე-სიდედრისა თუ ოჯახის სხვა წევრების ღია ან ფარულ კონფლიქტს, რაც სტრესს, ნევროზს და ფსიქიკურ აშლილობებს იწვევს, მარტივად ოჯახური კონფლიქტი ეწოდება და არა ძალადობა ოჯახში. მსხვერპლ ქალებს ხშირად არ ესმით ძალადობაა თუ არა ის, რაც მათ თავს ხდება - ისინი მათზე განხორციელებული აშკარა ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებს აღწერენ, მაგრამ უცვლელად განაგრძობენ ცხოვრებას. თუმცა, არაადეკვატურად აღქმული სიტუაცია, შესაბამისად, არაადეკვატურ რეაქციას იწვევს. საბოლოოდ მსხვერპლი დათრგუნული და შეშფოთებული ხდება. ველარ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას, კარგავს ღირსების გრძნობას, ვარდება დეპრესიაში, უვითარდება ნევროზი და ა.შ.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანებს შეუძლიათ ძალადობისაგან თავის დაღწევა. თუ პარტნიორის, ოჯახის წევრების საქციელს კარგად გაანალიზებენ, შესაბამის დასკვნებსაც გამოიტანენ და ამასთან, ფსიქოლოგების პროფესიულ კონსულტაციებსაც გაითვალისწინებენ, ისინი ცხოვრებას გაცილებით უკეთ წარმართავენ. თუკი სულ რამდენიმე წლის წინათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი ჩვენში უცხო ხილი იყო, ახლა ასეთი ცენტრები მომრავლდა და უფასო, თუ სურვილისამებრ ანონიმურ დახმარებაზე უარს არავის ეუბნებიან. ფსიქოლოგიურ დახმარებას კი მართლაც ბევრი ადამიანი საჭიროებს. თუმცა, ზოგი ამ სამსახურს ზედმეტად, ან ფუფუნებად მიიჩნევს, ზოგსაც საკუთარი პრობლემების გამჟღავნების და მათზე საუბრის რცხვენია და ერიდება. ძალადობასთან გასამკლავებლად კი ფსიქოლოგის (და არა მეგობრის) რჩევა-დარიგებები თუ სხვა პროფესიული მითითებებია ყურადსაღები.

თორმეტწლიან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ნინო ჩიბურდანიძე გაცილებით ადრე დაუსვამდა წერტილს, ვიდრე ეს მოახერხა. დედამთილისა და მულის ერთი შეხედვით ბანალური კონფლიქტი საბოლოოდ აგრესიაში გადაიზარდა და ნინო სწორედ ამ აგრესიის მსხვერპლი გახდა. "თორმეტი წლის განმავლობაში ოჯახის წევრებისაგან, კერძოდ, მულისა და დედამთილისაგან, ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდიდი. თავდაპირველად ეს იყო გაუცნობიერებელი შეზღუდვები; ყოველდღიური კონტროლი ჩემი ინტიმური ცხოვრებისა; სად ვიყავი, რას ვაკეთებდი, ვის ველაპარაკებოდი, მოკლედ, ყველანაირ კითხვაზე მიხდებოდა პასუხის გაცემა. ეს საშინლად დამთრგუნველი იყო. არანაირ თემაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო იმის შიშით, რომ მორიგ შეურაცხყოფას მომაყენებდნენ. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში". - იხსენებს ნინო ჩიბურხანიძე.

მრავალწლიანი ტანჯვის შემდეგ ნინომ საშველად ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრს "საფარს" მიაკითხა. "მართალია ამ ნაბიჯის გადადგმა ცოტა დააგვიანდა, მაგრამ იგი მართლაც მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იყო და ამიტომაც მასთან გამკლავებას დიდი დრო მოანდომა. ნინომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკმაოდ სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად სწორედ ფსიქოლოგს მიმართა", - ამბობს "საფარის" ფსიქოლოგი ნატო ზაზაშვილი. მისივე თქმით, ნებისმიერი მსგავსი პრობლემის სწორად გადასაჭრელად პროფესიონალის დახმარებაა აუცილებელი. სხვა შემთხვევაში შესაძლოა საუკეთესაო შედეგებამდე ვერ მივიდეთ, უფრო მეტიც, არასწორ წაქეზებასაც ჰქონდეს ადგილი. და მაინც, ფსიქოლოგთან და შესაბამის ცენტრებში დახმარებას ამა თუ იმ მიზეზების ამო ერიდებიან. "უფრო მეტი ზარია, ვიდრე მომსვლელი. ფსიქოთერაპია პრობლემასკი არ წყვეტს, არამედ ეხმარება მსხვერპლს, რომ იგი თავად მივიდეს ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე", - აღნიშნა ნატო ზაზაშვილმა.

"წლების განმავლობაში გამუდმებულმა ძალადობამ ბოლომდე გამომფიტა და გამანადგურა. მტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ვერ შევდექი როგორც დედა, მეუღლე, პედაგოგი, ვფიქრობდი იმაზე, რომ ყველაფრის მიმართ უძლური ვარ. ამ ცენტრში მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, ახლა ჩემი თავი მე მეკუთვნის, ისინი ველარ ერევიან ჩემს ცხოვრებაში და ალბათ ველარც ჩაერევიან. ძალიან გამიჭირდა აქამდე მოსვლა. ჩემი ამბის ასე გამოაშკარავება სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა და რომ ფსიქოლოგთან მისვლა სათაკილო ნამდვილად არ არის. ამ ჩემი აღსარებით მინდა სხვებსაც დავეხმარო. დარწმუნებული ვარ, მსგავსი პრობლემებით ბევრი იტანჯება, რომლებსაც ვერა და ვერ გადაუდგამთ ის ნაბიჯი, რამაც მე სიცოცხლე და ცხოვრების უნარი დამიბრუნა. იქნებ ე.წ. აგრესორებმაც წაიკითხონ ეს წერილი და ყველაფერზე კარგად დაფიქრდნენ".

# თოჯინების თეატრში დანთებული შვიდი სანთელი

5 მაისს ათასობით ებრაელი, ტრადიციულად, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკთან იკრიბება და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნას პატივს მიაგებს. საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა ეს დღე თბილისის თოჯინების თეატრში აღნიშნეს. დარბაზში დანთებული შვიდი სანთლიდან ექვსი - მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 6 მილიონი ებრაელის ხსოვნას მიუძღვნეს, მეშვიდე კი - ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას შეწირულ ადამიანებს. **"მეორე მსოფლიო ომში, ოფიციალურად, 6 მილიონი ებრაელი დაიღუპა. თუმცა, რეალურად ბევრად მეტი იყო, აქედან ნახევარი მილიონი - ბავშვი. ისტორია ახლაც მეორდება. ისრაელში ხალხი მუდმივ შიშში ცხოვრობს, ტერორისტები ებრაელებს ანადგურებენ. 2002 წელს თელ-ავივში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. მსოფლიო ამაზე დუმდა. აშშ-სა და ბესლანში მომხდარმა ტრაგედიამ მიახვედრა ადამიანები, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გისურვებთ, ასეთი ტრაგედიები მხოლოდ მოგონებად დარჩეს და აღარ განმეორდეს,"** - განაცხადა გუშინდელი ღონისძიების ორგანიზატორმა რივა კრუპნიკმა და დარბაზში მსხდომ საპატიო სტუმრებს სანთლების ანთება სთხოვა. პირველი სანთელი ისრაელის ელჩმა დაანთო. შემდეგ მას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რუმინეთის ელჩი და ჩინეთის საელჩოს წარმომადგენელიც შეუერთდნენ. **"ებრაელებისგან სიმტკიცის, ერთად დგომის მაგალითი უნდა ავიღოთ,"** - განაცხადა კახა ლომაიამ.

გუშინდელი ღონისძიება ებრაული საკვირაო სკოლის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლით დასრულდა.

*24 საათი*

# ახალი "ყაზბეგი" ალუმინის ქილაში





გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში" კომპანია "ყაზბეგმა" ალუმინის ქილაში ჩამოსხმული პირველი ქართული ლუდის პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას პოლიტიკოსები, სპორტსმენები და შოუ-ბიზნესის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ და "ყაზბეგის" მორიგი სიახლე, ალუმინის ქილაში პირველად ჩამოსხმული ქართული ლუდი, პირველად მათ დააგემოვნეს. ქართული ლუდის სადღეგრძელო მუსიკალური ნომრებიც ქართული იყო. სტუმრებმა ყველაზე ორიგინალური ნომრად "ყაზბეგის" ალუმინის ქილებზე შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები აღიარეს და დიდი მადლიერებით დააფიქსირეს თავიანთი სიყვარული "ყაზბეგის" ლუდის მისამართით.

გოგი თოფაძე, კომპანია "ყაზბეგის" პრეზიდენტი: "ალუმინის ქილა იდეალური ჭურჭელია ლუდის გასაციებლად, ეს კარგად იციან ლუდის მოყვარულებმა. ქილის ლუდზე მოთხოვნა ქართულ ბაზარზე დიდი ხნის წინ გაჩნდა. ჩვენ საგანგებოდ მოვემზადეთ ამ სიახლისათვის და ვფიქრობთ, რომ წლევანდელ სეზონზე მომხმარებელს საუკეთესო საჩუქარი მოვუმზადეთ: ახლებური, ალუმინის ქილაში საქართველოში ჩამოსხმული ქართული ლუდი. ლუდს უყვარს დახურული ჭურჭელი, სადაც მაქსიმალურად ნაკლები მზის სხივი ხვდება, ამიტომ ქილა ლუდს გემოს და სხვა თვისებებს საუკეთესოდ უნარჩუნებს."

ნიკოლოზ ბახტაძე, "ყაზბეგის" გენერალური დირექტორი: "სპეციალურად ახალი შეფუთვისათვის კომპანია "ყაზბეგმა" 280 ათასი ევროს ღირებულების ჩამოსასხმელი ხაზი გერმანიაში შეიძინა. დამონტაჟდა სპეციალური პასტერიზატორი და შესაფუთი მოწყობილობა, ახალი ტექნიკა ევროპული სტანდარტის უახლესი ტექნოლოგიებითაა დამზადებული."

გიორგი თოფაძე, სს "ყაზბეგის" მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი: "ვვარაუდობთ, რომ ალუმინის ქილაში ლუდის წარმოება ჩვენს საექსპორტო გეოგრაფიას მნიშვნელოვნად გააფართოებს და მის მოცულობასაც გაზრდის. ცნობილია, რომ ალუმინის ჭურჭელი ტრანსპორტირებისთვის ყველაზე მოსახერხებელია."

ახალი ტექნოლოგიური დამადგარების დასამონტაჟებლად "ყაზბეგის" ლუდის ქარხანაში გერმანელი სპეციალისტები ერთი თვე მუშაობდნენ. ევროპელი ექსპერტების შეფასებით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი შეფუთვით ისევ საქართველოშივე წარმოებული ლუდი ისხმება. საქართველოში ყოფილა პრეცედენტი, როცა ქართული წარწერით ალუმინის ქილებში უცხოეთში წარმოებული ლუდი და უალკოჰოლო სასმელი ჩამოჰქონდათ და ქართულ პროდუქტად ასაღებდნენ. "ყაზბეგის" ქარხანაში ალუმინის ქილაში ლუდის ჩამოსხმა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრეცედენტია, როცა ეროვნული პროდუქცია საქართველოშივე იწარმოება.

თავდაპირველად ქილაში ლუდი "ყაზბეგი" ჩამოსხმება, უახლოეს მომავალში კი კომპანია ალუმინის ჭურჭელში ლუდის სხვა სახეობებს და "ყაზბეგის" პოპულარულ უალკოჰოლო სასმელებსაც გამოუშვებს.


# პროფესიული განვითარების შესაძლებლობები
## BP საქართველო

BP, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ენერგოკომპანია, საქართველოში უმსხვილეს ინვესტორთა შორისაა წარმოდგენილი. 1999 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციას და მალე დავასრულებთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობას. ეს არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მიმართულია საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის როლის გაფართოებისაკენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფანში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები უზრუნველყოფს კასპიის ენერგორესურსების წარმატებულ ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში ენერგომომარაგების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს.

BP-მ აიღო ვალდებულება წარმატებით განახორციელოს ამ მნიშვნელოვანი პროექტების ექსპლუატაცია და ჩამოაყალიბოს ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობა საქართველოსა და მის ხალხთან. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ გვესაჭიროება განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მენეჯმენტი და კადრები. ამიტომ ვაცხადებთ კონკურსს გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მცირერიცხოვანი კანდიდატების სამუშაოზე მისაღებად, რომლებიც პერსპექტივაში დაიკავებენ ხელმძვანელ თანამდებობებს ჩვენს ორგანიზაციაში.

წარმატებულ კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ განათლების შესაბამისი დონე და დოკუმენტურად დადასტურებული სამსახურებრივი მიღწევები, იქნება ეს კერძო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორებში.

BP მსურველებს სთავაზობს პროფესიული განვითარების ჩამოყალიბებულ პროგრამას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც საჭიროებისამებრ ახლავს ფორმალური ტრენინგების კურსი. გამარჯვებულ კანდიდატებს BP წაუყენებს უმაღლეს მოთხოვნებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მხრივ, მაგრამ სანაცვლოდ სთავაზობს ანაზღაურების მიმზიდველ პაკეტს და წამყვან საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციაში სამსახურებრივი წინსვლის ბრწყინვალე შესაძლებლობებს.

სავარაუდო ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

გამოცდილების, კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების მიზნების მიხედვით, წარმატებული კანდიდატები დაიკავებენ თანამდებობებს სხვადასხვა დეპარტამენტში, როგორიცაა ექსპლუატაცია; ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (HSE); კომუნიკაციის და საგარეო საქმეთა; ბიზნეს-სერვისები და უშიშროება.

**საქმიანობის სახეებს მიეკუთვნება:**

- საქაჩ სადგურზე ან თბილისში განთავსებული ექსპლუატაციის ჯგუფთან მუშაობა
- ურთიერთობის წარმართვა სამთავრობო უწყებებთან, საზოგადოებასთამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მას-მედიასთან.
- BP-ს მუშაობის და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტექნიკური, იურიდიული, კომერციული ან HSE სფეროებში; ამ სტანდარტების სიღრმისეული ცოდნის განვითარება .
- პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და ანგარიშგება.
- შესყიდვების, კონტრაქტების, ლოგისტიკის ან ბიზნეს-სერვისების სხვა დამხმარე სფეროების მართვა.

შესრულებული სამუშაო სისტემატურად შემოწმდება და მოხდება მისი შედარება ორგანიზაციაში მომუშავე მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების მიღწევებთან. გარდა ამისა მოხდება სამსახურებრივი წინსვლის მიზნების პერიოდული მოდიფიცირება კანდიდატების გრძელვადიანი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით.

**ძირითადი უნარები და კვალიფიკაცია**

- ინიციატივიანი, შემოქმედებითი და თვითჩამოყალიბების გამოკვეთილი უნარი;
- მონაცემთა გაანალიზების, პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომების მოძებნის და საღი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- კომუნიკაციის და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის კარგად განვითარებული უნარი;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის დადასტურებული უნარი, რთული ამოცანების დასახულ ვადებში შესრულების უნარი;
- საერთო მიზნის მისაღწევად გუნდური მუშაობის გამოცდილება;
- ხელმძღვანელის თვისებების გამომჟღავნების დადასტურებული უნარი.

**პროფესიული გამოცდილება**

წარმატებულ კანდიდატს სასურველია გააჩნდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბიზნესისი სფეროში, სამთავრობო უწყებებში, დიპლომატიურ სამსახურში, მსხვილ დონორ ორგანიზაციაში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

*აუცილებელია:*

- მინიმუმ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება არჩეულ სფეროში სწრაფი სამსახურებრივი წინსვლის დემონსტრირებით.

*სასურველია:*

- საერთაშორისო ბიზნესში მუშაობის ან მასთან ინტენსიური კონტაქტის გამოცდილება.

**განათლება**

- უმაღლესი განათლების დიპლომი ან სამეცნიერო ხარისხი ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების, იურიდულ, სამშენებლო საინჟინრო ან მანქანათმშენებლობის, ან სხვა შესაფერის დარგში. სასურველია საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება.
- აუცილებელია ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა,.

*განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 10 მაისი.*

**როგორ მოგვმართოთ/დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

თუ თვლით, რომ თქვენ გაქვთ ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ჩV-ის ასლი და შეავსოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არსებული განცხადების ფორმა. განაცხადების მიღების ბოლო დღეა სამშაბათი 10 მაისი, 2005 წელი.

**ყველა მიღებული განაცხადი დადასტურდება, მაგრამ ეს იმის ნიშანი არ იქნება, რომ კანდიდატი მიწვეულია ინტერვიუზე ან მიღებულია სამუშაოზე.**

**კადრების დეპარტამენტი**
**ბპ საქართველო**
**საბურთალოს ქუჩა 38**
**თბილისი, საქართველო**

## ორი სიტყვით

**სუუამი.** უზბეკეთმა სუუამ-ის (საქართველო-უკრაინა-უზბეკეთი-აზერბაიჯანი-მოლდოვა) რიგები დატოვა. ამის შესახებ უზბეკეთის ხელმძღვანელობამ სუუამ-ის თავმჯდომარეს, მოლდოვას პრეზიდენტს, ვლადიმირ ვორონინს აცნობა. როგორც საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმი" იუწყება, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი 22 აპრილს კიშინიოვში გამართული სუუამ-ის სამიტის შედეგები გახდა.

უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა სუუამ-ის ქვეყნების ლიდერთა სამიტში მონაწილეობაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ რეგიონული გაერთიანება, ოფიციალური ტაშკენტის აზრით, "პოლიტიკურ ორგანიზაციად" გადაიქცა.

სამიტზე საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას ლიდერებმა რეგიონში ამ ორგანიზაციის საქმიანობის ინტენსიფიკაციის საკითხები განიხილეს.

"იმედი გვაქვს, რომ სუუამ-ის აშშ-სთან და ევროპის კავშირთან თანამშრომლობის ეფექტურობა კიდევ უფრო გაიზრდება," - განაცხადა სამიტის წინ მოლდოვას პრეზიდენტმა. ***ინტერპრესი***

■ ■ ■

**უკრაინა.** როგორც "დემოკრატიული ინიციატივის" ფონდის და კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით გაირკვა, უკრაინის მოსახლეობის 76 პროცენტი რუსული ენისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების მომხრეა. უკრაინის დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, მოლოდინისამებრ, განსხვავებული იყო. თუ უკრაინის დასავლეთ რეგიონში რუსული ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების აუცილებლობას გამოკითხულთა 43 პროცენტი აღიარებს, სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში ამ იდეას მხარს უჭერს მოსახლეობის - 93, ხოლო ცენტრალურ რეგიონში 75 პროცენტი. დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლები, ძირითადად, უკრაინულად ლაპარაკობენ, ქვეყნის აღმოსავლეთსა და სამხრეთში - რუსულად.

გამოკითხულთა მესამედი სამსახურში უკრაინულ ენას იყენებს, ამდენივე - რუსულს. გამოკითხვა 14-24 აპრილს ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო 2045-მა რესპონდენტმა.

თუ გავითვალისწინებთ გასული წლის შემოდგომაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგებსაც, ამ საკითხისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულების სხვაობა თვალსაჩინო გახდება. 2004 წლის სოციოლოგიური კვლევის შედეგებით, რუსული ენისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას მხარს უკრაინელთა მხოლოდ 40 პროცენტი უჭერდა. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ბულგარეთი.** რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტას"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბულგარეთის პარლამენტმა 5 მაისს დაამტკიცა სამთავრობო გეგმა წლის ბოლომდე ერაყიდან საჯარისო შენაერთების გაყვანის შესახებ. უახლოეს მომავალში ერაყში დისლოცირებული ბულგარეთის საჯარისო კონტინგენტი, რომელიც 450 სამხედრო მოსამსახურისაგან შედგება, ჯერ შეიკვეცება, ხოლო მიმდინარე წლის 31 დეკემბრისთვის უკვე სრულად იქნება გაყვანილი.

საკანონმდებლო ორგანოში ჩატარებულ კენჭისყრაში მონაწილეობა 208 დეპუტატმა მიიღო; ამათგან ზემოაღნიშნულ სამთავრობო ინიციატივას მხარი 110-მა პარლამენტარმა დაუჭირა, 52 დეპუტატი კი წინააღმდეგი აღმოჩნდა. **იტარ-ტასი**

# არჩევნები დიდ ბრიტანეთში

### დარჩებიან თუ არა ხელისუფლებაში ლეიბორისტები მესამე ვადით

*დიდ ბრიტანეთში გუშინ საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. როგორც ჩანს, ტონი ბლერს მესამე ვადით მოუწევს მთავრობის ხელმძღვანელობა. მიუხედავად, ერაყის ომის გამო, დიდ ბრიტანეთში არსებული უკმაყოფილებისა, ყველა ექსპერტი ამტკიცებს, რომ ბრიტანელ ამომრჩეველს საგარეო პოლიტიკაზე მეტად საშინაო ამბები აწუხებს. ამომრჩევლებში ლეიბორისტებისადმი უკეთეს განწყობაზე მიანიშნებს სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებიც - მიზეზი ტონი ბლერის მთავრობის ეკონომიკური წარმატებებია.*



*ლეიბორისტებს ზედიზედ მესამედ გამარჯვების "ისტორიული" შანსი აქვთ*

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში მოხვედრისათვის ძირითადი ბრძოლა, ლეიბორისტებს, კონსერვატორებსა და ლიბერალ-დემოკრატებს შორის რომ გაიმართებოდა, ეჭვგარეშე იყო.

წინასწარ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ხელისუფლების სათავეში მყოფ ლეიბორისტულ პარტიას ჰქონდა.

2001 წლის არჩევნებში ლეიბორისტებმა პარლამენტის ქვედა პალატაში - 410 ადგილი, კონსერვატორებმა - 164, ლიბერალ-დემოკრატებმა კი 54 მანდატი მიიღეს.

იმისთვის, რომ პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვოს, პარტიამ 324 საარჩევნო ოლქში უნდა გაიმარჯვოს (ერთი ოლქი ერთ სადეპუტატო მანდატს ნიშნავს).

თუ ლეიბორისტები გაიმარჯვებენ, ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კაბინეტს მესამედ ჩაუდგება სათავეში.

ოპოზიცია ბლერს ერაყის საომარ კამპანიაში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობისთვის ადანაშაულებს. თუმცა, დამკვირვებლებს მიაჩნიათ, რომ ამომრჩევლებისთვის გადამწყვეტი გახდება ლეიბორისტების მმართველობის პერიოდში ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებები.

ერთადერთი ფაქტორი, რასაც, შესაძლოა, ლეიბორისტებისთვის უარყოფითი შედეგი მოეტანა, ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა იქნებოდა. ბრიტანელი მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ ლეიბორისტთა მხარდამჭერები, მათი რჩეულების წარმატების წინასწარი მოლოდინის გამო, თავს აღარ შეიწუხებდნენ საარჩევნო ურნებთან მისვლით. ამომრჩეველთა რაოდენობაზე, ასევე, ცუდად იმოქმედებდა ცუდი ამინდიც. თუმცა, ექსპერტები ფიქრობენ, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი, შეიძლებოდა, ლეიბორისტებს შედარებით ნაკლები ადგილები მიეღოთ თემთა პალატაში, ხოლო საბოლოო გამარჯვებაზე ეს დიდ გავლენას მაინც ვერ მოახდენდა.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ტონი ბლერმა განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ეს მისი მმართველობის ბოლო ვადა იქნებოდა; დასახელდა მისი სავარაუდო მემკვიდრეც - ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნი.

აღსანიშნავია, რომ, თუ ლეიბორისტები თემთა პალატაში უმრავლესობას შეინარჩუნებენ, დაირღვევა კიდევ ერთი ტრადიცია - აქამდე მხოლოდ კონსერვატორებმა მოახერხეს ზედიზედ სამჯერ გამარჯვება მარგარეტ ტეტჩერის ხელმძღვანელობის დროს.

*24 საათი*

# ვიეტნამის პრემიერ-მინისტრის ისტორიული ვიზიტი აშშ-ში

### 30 წლის წინ დასრულებული ომი და 10 წლის წინ დაწყებული ნორმალიზაციის პროცესი

***"ყველა ომის მიზანი მშვიდობაა"***
*ნეტარი ავგუსტინე*

ხათუნა გაბიევი

ვიეტნამის ომი 30 წლის წინ დასრულდა, თუმცა მშვიდობას შერიგების პოლიტიკა მხოლოდ 20 წლის შემდეგ მოჰყვა, როდესაც 1995 წელს ჰანოიში აშშ-მ მოკავშირეობის ოფისი გახსნა და გაერთიანებულ ვიეტნამთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა.

როგორც ჩანს, 2 ქვეყანას შორის 10 წლის წინ დაწყებული ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი უახლოეს მომავალში გაღრმავდება და თანამშრომლობის სახეს მიიღებს. ყოველ შემთხვევაში, მოვლენების განვითარების ამგვარ დინამიკას მოწმობს ვიეტნამის პრემიერ-მინისტრის ფან ვან ხაის მიერ ავსტრალიაში ვიზიტისას გუშინ გაკეთებული განცხადება. კანბერაში გამართულ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამიტზე ვიეტნამის პრემიერ-მინისტრი ავსტრალიელი კოლეგის მიწვევით იმყოფებოდა. აშშ-ში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ საჯარო განცხადებაც ფან ვან ხაიმ სწორედ ავსტრალიის დედაქალაქში გააკეთა. მისი თქმით, იგი აშშ-ს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს. ეს 30 წლის წინ დასრულებული ომის შემდეგ აშშ-ში კომუნისტური ვიეტნამის მეთაურის პირველი ვიზიტი იქნება.

ფან ვან ხაის თქმით, ვიზიტის მიზანია ვაშინგტონთან ჰანოის ურთიერთობების "განვითარება და გამყარება", რაც, რასაკვირველია, მეზობელ ჩინეთთან ურთიერთობებზე უარყოფითად არ იმოქმედებს.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს 2 გავლენიან სახელმწიფოს - ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობებს ჰარმონიულს ვერ უწოდებ; თანაც, ეს მრავალ სფეროზე აისახება. თუმცა, როგორც კომუნისტური ვიეტნამის მეთაური ირწმუნება, ყოფილ მტერთან ურთიერთობების თანამშრომლობის დონემდე აყვანა კომუნისტური იდეოლოგიის მქონე მეზობელ ქვეყანასთან პოზიციების დაშორებას არ ნიშნავს.



*ვიეტნამის ლიდერი აშშ-ში პირველად ჩავა.*

**"ჩვენ გვჭირდება აშშ-სთან ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება ყველა სფეროში. ამავდროულად, ჩვენ გავაგრძელებთ მეზობელ ჩინეთთან მხარდამხარ სიარულს,"** - განაცხადა ფან ვან ხაიმ ავსტრალიის დედაქალაქში პარლამენტის შენობაში გამართულ პრესკონფერენციაზე. აშშ-სთან ომის დასრულების 30 წლისთავი ვიეტნამმა გასულ შაბათს აღნიშნა. ამ ომს 2 მილიონი ვიეტნამელი და 58 000-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი შეეწირა მსხვერპლად. მართალია, აშშ-ს ჯარმა ვიეტნამი 1975 წლის 30 აპრილს, საიგონის დაცემამდე 2 წლით ადრე დატოვა, მაგრამ სამხრეთ ვიეტნამის ადმინისტრაციას ვაშინგტონი დახმარებას ომის დასრულებამდე უწევდა.

# ბუშის გზავნილი

*მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერი - პრეზიდენტი ბუში რამდენიმე დღეში საქართველოს ეწვევა. ეს იქნება ისტორიული ვიზიტი. რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას მოუტანს ბუშის ვიზიტი საქართველოს? რა ფარული მიზანი აქვს ვაშინგტონს? ამ შეკითხვებზე ბევრი პასუხი არსებობს, და მე შევეცდები, შემოგთავაზოთ ის მოსაზრებები და პასუხები, რომლებიც ამერიკელი "რესპუბლიკელების" წრეებში გაისმის.*

დავით ძიძიკაშვილი

ბილ კლინტონის დროს საქართველო ამერიკის სიმბოლური მეგობარი იყო. რესპუბლიკელებმა და ბუშის ადმინისტრაციამ კი საქართველოში დაინახეს ის ძალა, რომელსაც ძირეული ცვლილების - რეჟიმის უსისხლოდ შეცვლის უნარი, საფუძველი და შესაძლებლობა აქვს. ეს ყველაფერი ბუშის ადმინისტრაციისათვის ძალიან მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. კონსერვატიულ-რესპუბლიკელების იდეოლოგია დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ ამერიკული დემოკრატიის წარმატებული ექსპორტით ამერიკაც მოიგებს, მთლიანად მსოფლიოც და მსოფლიოში მშვიდობის და სტაბილიზაციის დამყარებაც შესაძლებელი გახდება. რესპუბლიკელები, კორუფციისა და გარკვეული სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესების გამო, გაერო-ს არ ენდობიან და ამიტომ დემოკრატიის პირდაპირ ექსპორტს ამჯობინებენ.

დემოკრატია - ხალხის მიერ არჩეული, ხალხის მიერ შექმნილი და ხალხისათვის მებრძოლი ხელისუფლება - ვაშინგტონს დიდ პოპულარულობას სძენს და ამერიკას, როგორც სახელმწიფოს, დადებით იმიჯს უქმნის. ეს კი ამერიკისათვის ტერორიზმის განადგურების და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს. ბევრი სახელმწიფო, მათ შორის რუსეთიც, ამერიკის, როგორც იმპერიალისტური "მონსტრის" წარმოჩენაზე ზრუნავენ, მაგრამ ამერიკა არ არის იმპერიალისტური სახელმწიფო და არც არასდროს ყოფილა. მართალია, 50-იან, 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში ბევრ დიქტატორს აფარებდა ხელს, მათ შორის სადამ ჰუსეინსაც, მაგრამ ეს სტრატეგია - ვაშინგტონის მიერ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი იყო. ეს იდეოლოგია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიცვალა...

ბუშის საქართველოში ჩამოსვლა გამიზნული და ვაშინგტონში დაგეგმილი სერიოზული ნაბიჯია. სუსტ, განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში ამერიკის პრეზიდენტები არცთუ ისე ხშირად ჩადიან. საქართველო გამონაკლისია - რატომ?

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ამერიკა ხედავს მეგობრებს, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მოძმე სახელმწიფოებს. პოლიტიკაში იგულისხმება დემოკრატიის გავრცელება პოსტსაბჭოურ სივრცეში, რაც გამოიწვევს რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების შეზღუდვას და ტერორიზმის წინააღმდეგ ომში ამერიკის აქტიურ მხარდაჭერას. ამასთანავე, ამერიკა გეოგრაფიულად უახლოვდება ირანს და აზერბაიჯანს. ეს კი მას აძლევს საშუალებას, რუსეთი ჩამოაშოროს ირანს გეოპოლიტიკურად და ზეწოლა განახორციელოს მასზე. საქართველოს საშუალებით ამერიკა ადვილად მოუჭრის რუსეთს ირანზე გამავალ მთავარ გეოპოლიტიკურ გზას; აგრეთვე, გზას გაიკვლევს აზერბაიჯანის ნავთობის რესურსებისაკენ. ამაში უარყოფითი არაფერია, რადგან ამით საქართველოც ბევრს მოიგებს. უდიდესი მოგება იქნება ამერიკის პოლიტიკური ქოლგის ქვეშ ყოფნა. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის უმთავრესი დაზღვევა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და დემოკრატიის განვითარებისათვის.

რა მოხდება ბუშის ვიზიტის დროს?

ბუში თავის გამოსვლებში ძალიან ბევრ "მესიჯს" გვიგზავნის. ბუშის ვიზიტის მთავარი გზავნილი ახალი დემოკრატიული რეჟიმების აქტიური მხარდაჭერა იქნება. ბუში შეეცდება, ბელარუსის თემასაც შეეხოს და შეახსენოს ევროპას, რომ ბელარუსს მართავს ევროპის ბოლო დიქტატორი. ბუშის ვიზიტი არაა, უბრალოდ, სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მხარდამჭერი ვიზიტი. ეს არის საქართველოს და ქართველი ხალხის მხარდაჭერა, რომელიც მთელს რეგიონში სტაბილიზაციის პროცესის ხელშეწყობას ნიშნავს.

უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ამერიკა პირდაპირ არის ჩართული საქართველოს თავდაცვის გაძლიერების, დემოკრატიული რეფორმების განვითარებისა და განმტკიცების საქმეში და ამას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - საქართველოს გაძლიერება იმ დონემდე, რომ ქვეყანა გახდეს ამიერკავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ცენტრი.

# მორიგი აფეთქება ბაღდადის ცენტრში

ყოველდღიურობად ქცეული აფეთქებები კვლავ გრძელდება ერაყში. ამჯერად ბაღდადში განხორციელებული მასშტაბური ტერაქტის შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა. როგორც სააგენტო "ესოშიეიტიდ პრესი" იუწყება, საფრთხით აღსავსე კიდევ ერთი დღე ერაყში მხოლოდ დედაქალაქში მომხდარი აფეთქებით არ დასრულებულა. ყველაზე დიდი ტერაქტი ერაყის დედაქალაქის ცენტრში მოხდა, როცა ახალწვეულთა გამწვევი პუნქტის მახლობლად თვითმკვლელმა ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა. აფეთქების შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა და კიდევ 6 დაიჭრა.

ქალაქის დასავლეთ ნაწილში, ალ-ამილის რაიონში აჯანყებულებმა პოლიციის ბადრაგზე მიიტანეს იერიში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა - 9 და დაიჭრა წესრიგის 2 დამცველი. ამ თავდასხმიდან 15 წუთში მეზობელ ალღაზალიას რაიონში დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი დაიღუპა და 6 დაიჭრა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განადგურებულია პოლიციის 4 ავტომანქანა. ერაყში მყოფი აშშ-ს ჯარების სამეთაურო შტაბი ამ ტერაქტებთან დაკავშირებით კომენტარისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

რაც შეეხება ოთხშაბათს ერაყის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ერბილში კამიკაძის მიერ განხორციელებულ ტერაქტს, რომელმაც 60-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, გუშინ დამატებითი ინფორმაცია გავრცელდა - აფეთქებაზე პასუხისმგებლობა "ანსარ ას-სუნას" დაჯგუფებამ აიღო.

*24 საათი*


# განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალურ ხაზინაში შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

- საგადასახადო დავალებების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შენდგომ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობების მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- ■ უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
- ■ კომპიუტერულ პროგრამასთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კონკურსს ატარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სპეციალიზებული საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის მონაცემთა საფუძველზე.

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას სპეციალური პროგრამის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის კადრებთან მუშაობის სამმართველოში, წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის გამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ორი ფოტოსურათი 3X4 ზომით.

საბუთების მიღება წარმოებს ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის ვადაში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა № 1, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. ტელეფონი: 36-46-04; 33-48-95.

*საჯარო სამსახურის ბიურო*



# ვ ა კ ა ნ ს ი ა

**სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია"**
**აცხადებს ვაკანსიას ეკონომიკური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე.**

**ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
1. ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებით.
2. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნა.
3. ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირების საკითხები.
4. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საწარმოებში ქონების მართვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ზედმიწევნით ცოდნა.
5. უცხო ენების ცოდნა (რუსული, ინგლისური). დამატებითი ენის ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება).
6. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Word; Excel;) დამატებითი პროგრამების ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება.

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**
1. ავტობიოგრაფია (CV);
2. პირადობის მოწმობის ასლი დედანის წარმოდგენით;
3. რეკომენდაციის წერილი;
4. განათლების მოწმობის ასლი (სერთიფიკატის ასლები) დედანის წარმოდგენით;
5. 2 ფოტო სურათი

განცხადებები მიიღება 2005 წლის 10 მაისს 18.00-მდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, 300 არაგველის N24, სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში" მე-6 სართულზე.
ტელეფონი - 922955/61/62, 923228
ელ.ფოსტა: vakansia@ggic.ge



# ვ ა კ ა ნ ს ი ა

**სს " საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია"**
**აცხადებს ვაკანსიას ტექნიკური ზედამხედველის თანამდებობაზე.**

**ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
1. გაზის მაგისტრალური მილსადენების პროექტირების მშენებლობის და ექსპლუატაციის სტანდარტებისა და ნორმატივების ცოდნა.
2. გაზის ან ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირების სისტემაში მუშაობის გამოცდილება.
3. საერთაშორისო სტანდარტებით მილსადენების ექსპლუატაციისა და მშენებლობის ცოდნა ჩაითვლება პრიორიტეტად.
4. უცხო ენა - რუსული (ინგლისური ენის ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება)
5. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Word, Excel). დამატებითი კომპიუტერული პროგრამების ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება.

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**
1. ავტობიოგრაფია (CV);
2. პირადობის მოწმობის ასლი დედანის წარმოდგენით;
3. რეკომენდაციის წერილი;
4. განათლების მოწმობის ასლი (სერთიფიკატის ასლები) დედანის წარმოდგენით;
5. 2 ფოტოსურათი

განცხადებები მიიღება 2005 წლის 10 მაისს 18.00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 300 არაგველის N24, შპს " საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" მე-5 სართულზე.
ტელეფონი - 922955/61/62, 923228
ელ.ფოსტა: vakansia@ggic.ge

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

შეიძინე, ააშენე, გაარემონტე შენი სახლი ან აგარაკი "იპო+"-ით!
აქციე ოცნება რეალობად!
ერთი თვის შედეგები

"იპო+ ერთი თვის წინ

25 მარტს "საქართველოს ბანკმა" თბილისის მოსახლეობას განსხვავებული ტიპის იპოთეკური სესხი - "იპო+" შესთავაზა.

მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროდუქტი, გამარტივებული პირობები, ინდივიდუალური საპროცენტო გადასახადი, ბონუსური სისტემა ეს ის მთავარი ფაქტორებია, რომლებმაც ხელი შეუწყვეს "იპო+"-ის პოპულარობას საზოგადოებაში.

"იპო+ დღეს

მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში იპო+ით საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესა უკვე 55 ოჯახმა, მათგან 7-მა შეიძინა კომპანია "აქსისის" ახალი ბინები!

"იპო+"-ის გაყიდვებზე მომუშავე პროფესიონალი საკრედიტო ოფიცრების მიერ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ათვისებულ იქნა 2 173 694 ლარი!

მათგან მხოლოდ 1 მაისიდან დამტკიცებულია 26 იპოთეკური სესხი. ეს რეკორდული მაჩვენებელია და ყოველდღიურად იზრდება!

მაისიდან კი "საქართველოს ბანკმა" კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ განაცხადა. "იპო+"-ის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15-20 წლამდე გაიზარდა.

პროდუქტზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად "საქართველოს ბანკმა" კიდევ უფრო გააფართოვა იმ სერვის-ცენტრების ქსელი, სადაც "იპო+"-ის შეძენის მსურველებს შეეძლებათ ამ ახალი საბანკო პროდუქტის შეძენა

ეს არ არის მხოლოდ პიარი და არც სამომავლო პერსპექტივა, თქვენს ოცნებას ჩვენ რეალობად ვაქცევთ!

მობრძანდით "საქართველოს ბანკში"

კოსტავას ქ. 24 ტელ: 92 13 37;
პუშკინის ქ. 7 ტელ: 44 42 73;
ქეთევან წამებულის გამზ. 80 ტელ: 98 32 68; 44 41 79;
ვაჟა-ფშაველას გამზ. 41 ტელ:39 34 71, 42 11 16 (18);
ჭავჭავაძის გამზ. 40 ტელ: 25 00 02; 29 41 55;
ც. დადიანის ქ. 39 ტელ: 94 34 7;
წერეთლის გამზ. 140 ტელ: 93 65 81

იპო+

# ინფორმაცია

## საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გაწეული საგზაო სამუშაოების შესახებ 2005 წლის I კვარტლის მდგომარეობით

საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 28 დეკემბერს მიღებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საავტომობილო გზების დეპარტამენტს გზების მოვლა-შენახვისა და მშენებლობა- რეაბილიტაციის დაფინანსებისათვის განესაზღვრა 55000 ათ. ლარი. მიმდინარე წლის I კვარტალში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი, კონკრეტულ ციფრობრივ გამოხატულებაში მოცემულია ცხრილი N1-ში.

2005 წლის I კვარტალში გზების პერიოდულ შეკეთებასა და რეაბილიტაციაზე შესრულებულია 1795,7 ათ. ლარის სამუშაოები, გზების მიმდინარე შეკეთებასა და ზამთრის შენახვის სამუშაოებზე ჩატარებულია სულ 3264,8 ათ. ათასი ლარის მოცულობის სამუშაოები, ხოლო სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები შესრულდა 2422,8 ათ. ლარის მოცულობით.

2005 წლის პირველ კვარტალში დეპარტამენტის მიერ სამუშაოები დამთავრდა რამდენიმე ობიექტზე; მარტვილის რაიონში ტალერი-ლებარდეს საავტომობილო გზის მე-2 კმ-ში სტიქიის შედეგად ჩაწყვეტილი მიწის ვაკისის აღდგენა, საჩხერის რაიონში სხვიტორი-ერწოს საავტომობილო გზის მე-11 -ში არსებული ხიდის რეაბილიტაცია, ჩოხატაურის რაიონში ხიდისთავი-ქვემო ბეკნარის საავტომობილო გზის სარეგულაციო ნაგებობის აღდგენა, ბერძნისწყარო-ზემოხეთის საავტომობილო გზის პირველ კმ-ში სავალი ნაწილის და მილის აღდგენა, ასევე მე-2 კმ-ში რკინაბეტონის ხიდის აღდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ასევე აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა 2004 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფეთქებულ ხიდებზე - მდნირე ჩოლოქზე და სოფელ ქაქუთთან არსებულ ხიდზე. ამასთან მდინარე ჩოლოქზე აღდგენილი ხიდის გახსნა დაგეგმილია მიმდინარე წლის 6 მაისს.

მსოფლიო ბანკის კრედიტით და კუვეიტის არაბთა განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული სამუშაოები, გაგრძელდა აპრილის თვიდან და შესაბამისად მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია აისახება 6 თვის ანგარიშში.

| N | დასახელება | დამტკიცებულია 2005 წ. ბიუჯეტით | შესრულებული სამუშაოების მოცულობა | საკასო თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე, პერიოდული შეკეთება რეაბილიტაცია, მშენებლობა და შენახვა ზამთრის პერიოდში | 55000,0 | 7592,9 | 4671,1 |
| 1,1 | გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია | 34900,0 | 1795,7 | 1864,2 |
| 1,2 | გზების მიმდინარე შეკეთება | 13000,0 | 790,7 | 449,8 |
| | გზების შენახვა ზამთრის პერიოდში | 2200,0 | 2474,1 | 1099,1 |
| 1,3 | სხვა ხარჯები | 550,0 | 89,5 | 48,1 |
| 1,4 | 2004 წლის შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა | 200,0 | 0 | 199,1 |
| 1,5 | სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები | 4000,0 | 2422,8 | 999,5 |
| 1,6 | კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები | 150,0 | 20,1 | 11,3 |

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს**
**საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

# MUNICH Re-სა და "ალდაგს" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

*გერმანული კომპანია საქართველოს საპენსიო სქემის ოფიციალური გადამზღვეველი გახდა.*



გუშინ სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" ოფისში გერმანული გადამზღვეველ კომპანია MUNICH Re-სა და სადაზღვევო კომპანია "ალდაგს" შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს სიცოცხლის დაზღვევის გრძელვადიან დაგროვებად სახეობებში თანამშრომლობის შესახებ.

როგორც "ალდაგში" აცხადებენ, MUNICH Re-სა და "ალდაგს" თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, როგორც სიცოცხლის, ისე სხვა სახის დაზღვევაში. MUNICH Re-ს წარმომადგენლები პირველად საქართველოში 1997 წელს, სწორედ "ალდაგის" მოწვევით ჩამოვიდნენ.

რაც შეეხება სიცოცხლის დაზღვევას, "ალდაგი"-სა და MUNICH Re-ს თანამშრომლობა აქამდე სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევით შემოიფარგლებოდა. აღნიშნული მემორანდუმი კი მიზნად ისახავს თანამშრომლობას სიცოცხლის დაგროვებად (მათ შორის, საპენსიო) დაზღვევაში. ახლა MUNICH Re და მასთან აფილირებული კომპანიები "ალდაგის" საპენსიო სქემის აქტივების ნაწილის ინვესტირებას მოახდენენ. 1880 წელს დაარსებული კომპანია MUNICH Re ერთ-ერთი უდიდესი გადამზღვეველი კომპანიაა მსოფლიოში, რომელმაც მხოლოდ გასულ წელს 32 მილიარდამდე ზარალი აანაზღაურა.

მემორანდუმით, სადაზღვევო კომპანია "ალდაგმა" და გადამზღვევმა კომპანია MUNICH Re-მ დააფიქსირეს, რომ საპენსიო სქემის ოფიციალური გადამზღვეველი გერმანული მხარე გახდება.

*24 საათი*

# ახალი ხელშეკრულება "თიბისი ბანკსა" და გერმანიის განვითარების ბანკს (KfW) შორის



თითქმის 50 წელია, გერმანიის განვითარების ბანკი ძალზე ეფექტურ ფინანსურ ინსტიტუტს წარმოადგენს და საკუთარ სახსრებს ზრდის ბაზარზე. მისი საქმიანობა მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობას, თანხების მოზიდვას ცალკეული პროექტების განხორციელების მიზნით, გარდამავალი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას. ამასთან, KfW შედის გერმანიის 10 უდიდესი ბანკის სიაში და მისი ფინანსური ბალანსი 329 მილიარდ ევროს შეადგენს.

"თიბისი ბანკსა" და KfW-ს შორის გაფორმებული საგარანტიო მემორანდუმის თანახმად, KfW იღებს ვალდებულებას, გარანტორად დაუდგეს "თიბისი ბანკს" მის მიერ უცხოური კომერციული ბანკებისაგან სესხის აღების დროს. ამასთან, KfW "თიბისი ბანკზე" გასცემს გარანტიას ყოველგვარი დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე, რაც სიახლეა საქართველოს საბანკო სექტორში.

პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ "თიბისი ბანკის" პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე და გერმანიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტი დორის კოენი. როგორც გერმანული მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, "თიბისი ბანკი" მათი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო პარტნიორია. პრესკონფერენციის დასასრულს, დორის კოენმა და ვახტანგ ბუცხრიკიძემ ხელი მოაწერეს საგარანტიო მემორანდუმს.

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** 25 მაისიდან აჭარა თურქეთიდან ელექტროენერგიას ბარტერით მიიღებს – ამის თაობაზე ოფიციალური შეთანხმება 29 აპრილს, ვარშალომიძის და აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის რუსლან ხოროშვილის თურქეთში ვიზიტისას შედგა. ხელშეკრულების თანახმად, 2005-2006 წლებში თურქეთი, საქართველოდან მიწოდებული დენის სანაცვლოდ, ყოველ 1 კილოვატსაათზე 1,2 კილოვატსაათს მიიღებს. იმპორტი 110-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის "აჭარას" მეშვეობით განხორციელდება. ამ ხაზის რეაბილიტაცია აჭარის ენერგოკომპანიამ უკვე დაასრულა. აჭარა თურქეთიდან ყოველდღიურად 70-90 (მოთხოვნის შესაბამისად) მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს, რაც აჭარის რეგიონის 24-საათიან ელექტრომომარაგებას მთლიანად ეყოფა.

აღნიშნული საკითხის თაობაზე წინასწარი შეთანხმება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში შედგა, როდესაც აჭარის დელეგაციის თურქეთში ვიზიტისას, თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ მუჰმეთ ჰილმი გიულერსა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს აჭარის რეგიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის თაობაზე. შეთანხმების თანახმად, დენს აჭარა თურქეთიდან წლის განმავლობაში პერიოდულად მიიღებს. იმპორტი, ძირითადად, კრიზისულ პერიოდში – შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში განხორციელდება. ელექტროენერგიას თურქეთი ზაფხულში დაიბრუნებს.

*24 საათი*

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ბანკი" და "ფოლკსვაგენის" წარმომადგენლობა საქართველოში ერთობლივი პროექტის განხორციელებას იწყებენ, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ, სტაბილური შემოსავლის მქონე მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, განვადებით შეიძინოს "ფოლკსვაგენის" ფირმის ახალი ავტომობილი, თვეში მხოლოდ 173 ევროს შესაბამისი თანხის დაფარვით. განვადების ვადის დასრულებამდე კი, კლიენტს შეუძლია ავტომობილი ახალი მოდელით შეცვალოს - ჩააბაროს ძველი და კვლავ განვადებით შეიძინოს ახალი. "საქართველოს ბანკში" აღნიშნავენ, რომ მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით, ბანკის საკრედიტო ოფიცერი მანქანის განვადებით შეძენის მსურველებს კონსულტაციასა და მომსახურებას "ფოლკსვაგენის" ცენტრშივე გაუწევს. **24 საათი**

# ენერგოსერვისის მომხმარებელთა ასოციაციები თბილისში

ელექტროენერეგტიკის სექტორის მართვის ეტაპობრივად გაუმჯობესებისა და მასში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერის პროექტს "ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით" ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების ("კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი" (CENN), "მწვანე ალტერნატივა" და "ეკოხედვა") კოალიცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს აგებს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია.

------------------------------------

ბოლო წლების განმავლობაში კორუფცია საქართველოს ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. მისი მზარდი მასშტაბები ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს შეეხო, განსაკუთრებით კი საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორი დააზარალა.

არსებული პრობლემები დღეისათვის ნათელია: ელექტრომომარაგების დეფიციტი, არადამაკმაყოფილებელი ელექტროსერვისი, ნაკლებად ინფორმირებული საზოგადოება, რომელიც ვერ აცნობიერებს საკუთარ უფლებებს და ვალდებულებებს და ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია მათი დაცვის საშუალება, ელექტროენერგეტიკულ სექტორში მომუშავე ორგანიზაციების გულგრილი და ზერელე დამოკიდებულება მომხმარებლების მიმართ და ა.შ. საზოგადოებამ ხშირ შემთხვევაში არ იცის არც თავისი და არც ენერგოსექტორში მომუშავე ორგანიზაციების ვალდებულებების შესახებ და ვერ იღებს საჭირო ინფორმაციას იმისათვის, რომ შეძლოს ენერგოსექტორში მიმდინარე პროცესებში ჩართვა და გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენა. არსებული მდგომარეობის შედეგად მივიღეთ კორუმპირებული, არაგამჭვირვალე ენერგოსექტორი და მარგინალიზებული საზოგადოება, რომელიც უკმაყოფილოა ელექტროსერვისით, მაგრამ სიტუაციის გამოსწორებას ვერ ახერხებს. მდგომარეობა ნათელი და, ამავდროულად, საკმაოდ მძიმეა.

ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის გაუმჯობესების მიზნით 2003 წლის ნოემბრიდან "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის" (CENN) ხელმძღვანელობით ხორციელდება პროექტი, სახელწოდებით: "ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით". პროექტი პილოტური ხასიათისაა და წარმოადგენს პირველ მცდელობას არსებული სიტუაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

პრობლემის გადაწყვეტის ის ფორმა, რომელიც მოიძებნა, სრულიად ახლებური მიდგომაა არსებულ ვითარებაში და გულისხმობს მოქალაქეების მაქსიმალურად ჩართვას ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესში. სწორედ ამ მიზნით, ექსპერიმენტის სახით, ჩამოყალიბდა ენერგოსერვისის მომხმარებელთა ასოციაციები (შემოკლებით, "ესმა").

"ესმა"-ს წევრები არიან კარგად ინფორმირებული ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს, ასევე ენერგოსექტორში არსებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ცდილობენ, თავად მოახდინონ არსებული პრობლემების გადაწყვეტა, უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ, სხვა ადამიანებსაც გაუწიონ დახმარება.

მსგავსი ასოციაციების შექმნა პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრას გულისხმობს. საზოგადოება უფრო აქტიური ხდება და პრობლემის არსებობის შემთხვევაში ზუსტად იცის, როგორ გადაწყვიტოს იგი დროის მოკლე პერიოდში.

"ესმა"-ების მოქმედების მთავარ პრინციპს წარმოადგენს საზოგადოების მობილიზება ენერგოსექტორში არსებული პრობლემების ირგვლივ, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება არსებული პრობლემების გადასაჭრელად და საზოგადოებრივი ზეწოლის განხორციელება, რაც გულისხმობს იმას, რომ რიგით ადამიანებს საშუალება ეძლევათ ზეწოლა მოახდინონ ენერგოსექტორში გადაწყვეტილების მიმღებ რგოლებზე კონსტრუქციული დიალოგის მეშვეობით. სექტორის მართვის პროცესებში საზოგადოების მსგავსი მეთოდით ჩართვა გულისხმობს სისტემატურ შეხვედრებს და დიალოგს მომხმარებლებს, ელექტროენერგიის მწარმოებელ, მარეგულირებელ ინსტიტუტებსა და კერძო დისტრიბუტორებს შორის და მომხმარებელთა უფლებების ადვოკატირებას. "ესმა"-ები, რომელთაც მუდმივი კავშირი აქვთ ენერგოსექტორში არსებულ დაინტერესებულ მხარეებთან, გარკვეულწილად შუამავლის როლს ასრულებენ მომხმარებლებს, კერძო კომპანიებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის. აღნიშნული შეხვედრები და დისკუსიები საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ელექტრომომსახურების დონე და ხარისხი.

"ესმა"-ების კიდევ ერთი დადებითი მხარე მისი შექმნის შედარებით მარტივი მექანიზმია. შესაძლებელია ამ მოდელის დანერგვა თბილისის სხვადასხვა რაიონში და მთლიანად საქართველოში, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას თავად მოაგვაროს ენერგოსექტორთან არსებული პრობლემები ინფორმირებულობის, დიალოგების, შეხვედრების და დისკუსიების საშუალებით.

პროექტის ფარგლებში მოხდა ექვსი ენერგოსერვისის მომხმარებელთა ასოციაციის შექმნა. "ესმა"-ები წარმატებით მუშაობენ სექტორში არსებული სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად, როგორიცაა: თელასის მიერ არასწორად დარიცხული დავალიანებები, დენის დატაცება, ლიფტებზე უკანონო მიერთებები, გარე განათება, სადარბაზოს განათება, ელექტროენერგიის გრაფიკი, თელასის მომსახურება, ტარიფი და მასზე დაწესებული შეღავათები და ა.შ.

"ესმა"-ებზე მუშაობის კონკრეტული შედეგების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ცალკეული შემთხვევები, მაგალითად: ნაძალადევის რაიონში, ტრიკოტაჟის ქ., N3-ში მცხოვრებ მოსახლეობას თელასის მიერ უკანონოდ ჰქონდა დარიცხული ვალი. მოსახლეობა ამ ვალს უკანონოდ მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ აღნიშნული თანხის დარიცხვა ტრიკოტაჟის ფაბრიკის და მის მახლობლად განლაგებული მცირე საწარმოების მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის მოსახლეობაზე უკანონოდ დარიცხვით მოხდა. აღნიშნული ვალის რაოდენობა თავდაპირველად თითოეულ ოჯახზე 178.20 ლარს, შემდეგ კი 105.84 ლარს შეადგენდა. მოსახლეობისთვის ამ ვალების წარდგენა კორპუსების გამრიცხველიანების შემდეგ მოხდა.

მოსახლეობამ პრობლემის გადაწყვეტისათვის თელასს მიმართა. მათი განცხადებით, თელასმა, პრობლემის მოგვარების ნაცვლად, ვალი კიდევ უფრო გაზარდა და ამ მისმა რაოდენობამ დაახლოებით 16 000 ლარი შეადგინა.

შექმნილ მდგომარეობაში პრობლემა შემდეგნაირად გადაწყდა: თავდაპირველად ნაძალადევის რაიონში ჩამოყალიბდა "ესმა", ხოლო ამის შემდეგ მოქალაქეებმა მიიღეს რჩევები, როგორ უნდა მოეგვარებინათ თელასთან შექმნილი პრობლემა. შესაბამისი ინფორმაციისა და რჩევების მიღების შემდგომ "ესმა"-ს წევრებმა თელასის შესაბამის აბონენტთა მომსახურების ცენტრს მიმართეს, სადაც მიიღეს დეტალური ბრუნვის ისტორიები და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად ისინი სემეკ-თან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს წარუდგინეს. საზოგადოებრივი დამცველის თელასთან მოლაპარაკების შემდეგ დამტკიცდა, რომ მოსახლეობისათვის დარიცხული ვალები უკანონო იყო. ეს ვალები (16 050 ლარი) ნაძალადევის რაიონის მოსახლეობას მთლიანად ჩამოეწერა.

მოსახლეობის სულ უფრო მზარდი რაოდენობის ენერგოსერვისის მომხმარებელთა ასოციაციებში ჩართვა საზოგადოების ინტერესებში შედის, რადგან მსგავსი ასოციაციების შექმნა და მათი ძალისხმევით სხვადასხვა პრობლემების გადაჭრა, პირველ რიგში, მოსახლეობისთვის არის სასარგებლო - ყოველივე ეს ხომ ჩვეულებრივი ადამიანების სურვილს უკეთესად მოწყობილ გულისხმობს.

რაც შეეხება პროექტის სამომავლო გეგმებს, ერთ-ერთ უმთავრეს მიზანია "ესმა"-ების შესაძლებლობების გაფართოება და მათი არა საზოგადოების წლების განზრდა, რათა "ესმა"-ებმა კონფლიქტოვნებებს მსგავსად შუამავლის შეძლონ და არა მარტო ენერგეტიკის სექტორში, არამედ სხვა კომუნალურ სფეროებში (გაზი, წყალი, ნაგავი და ა.შ.) არსებული პრობლემების მოაგვარონ.

Caucasus Environmental NGO Network CENN

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

# იუსტიციის სამინისტრომ "არასამთავრობო ორგანიზაციების" ერთიანი რეესტრი შექმნა

*საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციები აღრიცხა და სარეგისტრაციო მონაცემთა ერთიანი რეესტრი შექმნა, რომლის პრეზენტაციაც იუსტიციის სამინისტროში გაიმართა.*

იუსტიციის მინისტრის მოადგილის კონსტანტინე ვარძელაშვილის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციების სარეგისტრაციო დოკუმენტაცია იუსტიციის სამინტრომ ყველა რაიონულ სასამართლოში მოიძია. რეესტრზე მუშაობა 2005 წლის 1 მარტიდან მიმდინარეობდა - მას შემდეგ, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებს (კავშირებს, ასოციაციებს და მათ წარმომადგენლობებს), სასამართლოს ნაცვლად, იუსტიციის სამინისტრო არეგისტრირებს.

არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთიან რეესტრში თავმოყრილია მონაცემები საქართველოში დღემდე რეგისტრირებული 7 ათას 500 კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კავშირის ან მისი ფილიალის შესახებ.

სასურველი ინფორმაციის მოძებნა დაინტერესებულ პირს შეუძლია კავშირის (ასოციაციის) საქმიანობის სფეროს, ადგილმდებარეობის, მარეგისტრირებელი ორგანოს, დამფუძნებელთა და გამგეობის წევრთა მონაცემების მიხედვით.

კონსტანტინე ვარძელაშვილის ინფორმაციით, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა კავშირებისა და ფონდების რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადა და თუ ადრე იგი ერთი თვით განისაზღვრებოდა, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ეს ვადა 15 დღემდე შემცირდა.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციის რეგისტრირებისას დამფუძნებლებს შეუძლიათ, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ნოტარიუსს დაუტოვონ, რომელიც ვალდებულია, 5 დღის ვადაში დოკუმენტები იუსტიციის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში გადააგზავნოს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის ფუნქციის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემისთვის გადაცემის შემდეგ რეგისტრაცია 150-მა ახალმა კავშირმა და 30-მა ფონდმა გაიარა.

*24 საათი*



იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციები აღრიცხა.

# ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაკავებული კონტრაბანდული სიგარეტი დაწვეს

*შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და კანონიერების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაკავებული კონტრაბანდული სიგარეტი გაანადგურეს - რუსული წარმოების სიგარეტები სოფელ ატოცის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე საათის მანძილზე იწვოდა.*

შსს-ს კონსტიტუციური წყობისა და კანონიერების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის იოსებ თოფურიძის ინფორმაციით, 4 მაისს დეპარტამენტში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ცხინვალიდან შემოვიდა დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საქონელი, რომელიც ქარელის რაიონის სოფელ ატოცთან გაჩერებულ "გაზ-66"-ის მარკის სატვირთო ავტომანქანაში იყო ჩატვირთული.

შსს-ს სპეცრაზმის თანამშრომლებმა სოფელ ატოცთან კონტრაბანდული საქონლით დატვირთული სატვირთო მანქანა, რომელიც დაზიანებული იყო, მართლაც ნახეს. სპეცრაზმელთა გამოჩენისთანავე მანქანის მძღოლმა და ტვირთის სხვა გამცილებლებმა მანქანა მიატოვეს და ოსი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას - სოფელ ზნაურს შეაფარეს თავი.

სოფელ ატოცთან განლაგებული ოსური საგუშაგოდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და კანონიერების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როცა სპეცრაზმელებმა კონტრაბანდული სიგარეტით სავსე სატვირთო ავტომანქანის გაჩხრეკა დაიწყეს. მოგვიანებით, მომხდარი ინციდენტის თაობაზე საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლებმა საქმის კურსში ჩააყენეს, როგორც რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი მურატ კულახმეტოვი, ასევე, ქართული სამშვიდობო ბატალიონის ხელმძღვანელობაც.

სამართალდამცველთა განცხადებით, მართალია, კონტრაბანდისტები ქართველები იყვნენ, მაგრამ ისინი ოს კრიმინალებთან თანამშრომლობენ, ხოლო საგუშაგოდან ოსებმა ცეცხლი იმიტომ გახსნეს, რომ კონტრაბანდული სიგარეტის უკან დაბრუნება სურდათ.

სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა ქართულ მხარეს თბილისიდან მობილური ჯგუფის მობილიზაცია დასჭირდა. დამხმარე ძალის ჩასვლის შემდეგ ქართველმა სამართალდამცველებმა კონტრაბანდული სიგარეტი ამოიღეს და გაანადგურეს - დაწვეს; მანქანა კი, რომელიც კონტრაბანდით იყო დატვირთული და რომელიც შსს-ს შიდა ქართლის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს, ცხინვალის რეგიონში აღმოჩნდა რეგისტრირებული.

კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და კანონიერების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის იოსებ თოფურიძის ინფორმაციით, განადგურებულია 150-ზე მეტი ყუთი, 15 ათასი კოლოფი კონტრაბანდული სიგარეტი, რუსული წარმოების "ტროიკა" და "ნოვოსტი".

*24 საათი*

# სახალხო დამცველი ახალციხის სამხედრო ნაწილიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს შეხვდა

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქართულ ჯარში არსებული მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული ანგარიში, რომელიც სოზარ სუბარმა პარლამენტს ჩააბარა, დამშვიდების საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. "ქართულ ჯარში "დედოვშინის" ქართული ვარიანტი მძვინვარებს", - განაცხადა სახალხო დამცველმა ქართულ ჯარში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის განხილვისას.*

სუბარის განცხადებით, საქართველოს ჯარი ახალი ხელისუფლების პირობებში გაცილებით უკეთესად ფინანსდება, არმიაში საყოფაცხოვრებო პირობები გამოსწორდა, თუმცა პრობლემები ხელმძღვანელობისა და ჯარისკაცების ურთიერთობაში კვლავ დარჩა. "დედოვშინის" ქართული ვარიანტი გახლავთ კუთხური ნიშნით დაპირისპირება, ასევე - ძლიერებსა და სუსტებს შორის", - დააკონკრეტა მან.

გუშინ საქართველოს სახალხო დამცველი ახალქალაქში ჩავიდა და ახალციხის სამხედრო ნაწილიდან გამოქცეულ სომეხი ეროვნების 14 ჯარისკაცსა და მათ მშობლებს შეხვდა. საქმე ისაა, რომ ჯარისკაცებმა სამი მაისის ღამეს თვითნებურად დატოვეს სამხედრო ნაწილის ტერიტორია.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, ახალწვეულებმა სოზარ სუბართან შეხვედრისას განაცხადეს, რომ სამხედრო ნაწილში ქართველი ჯარისკაცები მათ ეთნიკური ნიშნით ჩაგრავდნენ, დამამცირებლად ეპყრობოდნენ, აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, სძალავდნენ ფულს. მათ იმ სერჟანტისა და ჯარისკაცების გვარებიც კი დაასახელეს, რომლებიც ახალწვეულებს ავიწროებდნენ. თავად მეთაურისა და ოფიცერთა მიმართ ჯარისკაცებს პრეტენზიები არ აქვთ და არც ნაწილში არსებულ პირობებს უჩივიან.

ახალქალაქელი ახალწვეულები უარს არ ამბობენ ქართულ ჯარში სამსახურზე, თუმცა გარკვეულ გარანტიებს ითხოვენ - მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას საფრთხე არ შეექმნას.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ჯარისკაცებს ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს. სოზარ სუბართან ერთად ჯარისკაცებს ახალციხის სამხედრო ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი ნოდარ ივანიძეც შეხვდა. ივანიძე სახალხო დამცველს დაჰპირდა, რომ გამოიძიებს მომხდარ ფაქტებს; გაძლიერდება კონტროლიც.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეისწავლიან სამხედრო ნაწილში არსებულ ვითარებას და მუდმივად ჩაატარებენ მონიტორინგს სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების შესწავლის მიზნით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ჯარისკაცები სასწრაფოდ უნდა დაუბრუნდნენ სამხედრო სამსახურს, ხოლო იმ პირთა მიმართ, ვინც ეროვნული ნიშნით ჩაგრავს საქართველოს მოქალაქეებს, მკაცრი ზომების გატარებას მოითხოვს.

*24 საათი*

# აეხდება თუ არა ფარდა გახმაურებულ გატაცებებს ეცერში აღმოჩენილი სამარხით

თამარ ბოქორიშვილი

ქართველმა სამართალდამცველებმა გუშინ შემზარავი დანაშაულის ადგილს მიაგნეს. მესტიის რაიონის სოფელ ეცერში აღმოაჩინეს სამარხი, რომელშიც რვა გვამის ფრაგმენტებია ნაპოვნი. გავრცელებული, დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა, სამარხში ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში გატაცებულ პირთა ცხედრები ესვენოს. როგორც გუშინ ზუგდიდში გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, მისი მოადგილე ლევან გვაზავა კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩავიდა, სადაც ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტების აფრასიძეების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, გორაზე სამარხი აღმოაჩინეს.

**"ამ გამოძიებას ჩვენ ვაწარმოებდით, თუმცა ჩვენთვის დღესაც საიდუმლოს წარმოადგენს ის, თუ ვისი გვამებია აღმოჩენილი სამარხში. რამდენიმე გვამს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება. ამ საქმეში ჩაერთო გენერალური პროკურატურა, რომლის გამომძიებლები შს სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ბოლომდე გამოიძიებენ საქმეს და ყველა დეტალს დააზუსტებენ,"** - აღნიშნა მერაბიშვილმა.

გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის შეფასებით კი, გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩატარდა.

**"ეს გვამები იმ ორგანიზებული ჯგუფის მოქმედების შედეგია, რომელიც სვანეთში წლების განმავლობაში მოღვაწეობდა. მომავალში ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვაპირებთ შესაბამისი ექსპერტიზის და დნმ-ის ანალიზის ჩატარებას. უკვე გვაქვს ბევრი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ეს გვამები. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ჩვენ შევძლებთ ამ გვამების იდენტიფიცირებას,"** - განაცხადა ადეიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილ ჩონჩხების იდენტიფიცირების არანაირი მექანიზმი არ არსებობდა, გუშინვე გაკეთდა განცხადება, რომ შესაძლოა სამარხში ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გვამიც იყო. მოგვიანებით კი მინიშნება არასრულწლოვანი გოგოს გვამზეც გაკეთდა, სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს დახლოებით ხუთი წლის წინ, ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებულ მარიამ გოგინაშვილზე. თუმცა, ვიდრე ქსპერტიზის პასუხები არ იქნება ცნობილი, ნაპოვნი გვამების საკითხი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

და მაინც, გუშინდელ ფაქტთან დაკავშირებით რატომ გაიჟღერა ლევან კალაძის გვარმა. უმაღლესმა სამართალდამცველებმა სამარხის აღმოჩენასთან დაკავშირებით ზოგადი მინიშნება გააკეთეს. გენერალური პროკურორის თქმით, აღნიშნულ სამარხს სამართალდამცველებმა ცოტა ხნის წინ დაკავებული იმ პიროვნებების დაკითხვით მიაგნეს, რომლებზეც საპროცესო შეთანხმებები გავრცელდა.

## ვერსიები

ლევან კალაძე ოთხი წლის წინ, 2001 წლის მაისში გაიტაცეს და მიუხედავად გავრცელებული რამდენიმე ვერსიისა, დღემდე სამართალდამცველებს სარწმუნოდ არც ერთი მიუჩნევიათ. სხვათა შორის, კალაძის გატაცებიდან რამდენიმე თვეშივე კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გატაცებული შემთხვევით, ავადმყოფობით გარდაიცვალა. თუმცა, იმის გამო, რომ გვამი არ იყო ნაპოვნი, არც ეს ინფორმაცია გახმაურებულა.

ხუთწლიანი ძიების პროცესში სამართალდამცველებს კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით ოფიციალურად არავინ დაუკავებიათ. არაოფიციალურად კი გატაცება "სვანურ დაჯგუფებას" დაუკავშირდა. სხვათა შორის, თავის დროზე გაიჟღერა ესპანეთში მოღვაწე კანონიერი ქურდის ახლობლის მურმან ტვილდიანის, მეტსახელად "ხალვას" სახელმაც, რომელიც დღემდე ესპანეთშია, სადაც ქართული მხარის მოთხოვნით ოჯერ დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ მისი ეტაპირება რატომღაც ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა.

ბოლოს კი ლევან კალაძის გატაცების საქმე მესტიის რაიონის სოფელ ეცერში აფრასიძეების ოჯახზე მომხდარი სპეცოპერაციის დროს გიხსენეს. 2004 წლის 24 მარტს, მამა-შვილის ევგენი და ომეხ აფრასიძეების სიკვდილით დასრულებული ოპერაციის შემდეგ, მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ კალაძის გატაცება, ფაქტობრივად, პირდაპირ დაუკავშირა ომეხ აფრასიძის სახელს.

სპეცოპერაციის დროს დააკავეს ომეხ აფრასიძის ორი ძმა გოჩა და შმაგი აფრასიძეები და მათი მოახლე მურავიოვი. როგორც აფრასიძეების ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი ირწმუნება, წელიწადნახევრიანი გამოძიების პროცესში აფრასიძეებს ლევან კალაძის გვარი მხოლოდ ერთხელ უხსენეს. ანუ მისი მტკიცებით, კალაძის აფრასიძეებთან დაკავშირება იმდენად აბსურდულია, რომ ამ მხრივ გამოძიებას არც უმუშავია.

რასაც ვერ ვიტყვით მურავიოვზე. რუსი მსახურის დაპატიმრების შემდეგ სამართალდამცველები მის ოპერატიულ დამუშავებას შეუდგნენ, რისი ოფიციალური დოკუმენტიც არსებობს. სწორედ ოპერატიული მუშაობის პერიოდში "დაწერა" მურავიოვმა, რომ ლევან კალაძე და მარიამ გოგინაშვილი აფრასიძეების ოჯახში ნახა. ეს ინფორმაცია, ცოტა ხნის წინ შს სამინისტროდან დათხოვნილმა მაღალჩინოსანმა ბათო სალინაძემ გაახმაურა და ისიც დასძინა, რომ კალაძის საქმის გამოძიებისას დღეს მოქმედმა პოლიციის მაღალჩინოსნებმა შეუშალეს ხელი. მისი მტკიცებით, მართალია, აფრასიძეები გატაცებაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ამ საქმეზე ბევრი იცოდნენ. ამ ფაქტმა მაშინ სამართალდამცველების გულისწყრომა გამოიწვია.

გუშინ, სპეცოპერაციის დროს, სამართალდამცველებს შემთხვევის ადგილზე სწორედ მურავიოვი ჰყავდათ გაყვანილი.

გამოძიება დაიწყო. პირველ რიგში დასადგენია გარდაცვლილთა ვინაობა, შემდეგ კი შესაძლოა, გახმაურებულ გატაცებებსაც აეხადოს ფარდა. თუ, რა თქმა უნდა, არ გამართლდა ბათო სალინაძის თავის დროზე ნათქვამი: **"ომეხ აფრასიძის მოკვლით კალაძის გატაცებაზე კითხვის ნიშანი დასვეს და იმიტომ მოკლეს, რომ ამ საქმეზე სიმართლე არასოდეს გაირკვეს."**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..............................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

# პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ჰესი გაჩერებულია

*გაზეთ "24 საათსა" და "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" წერილით მომართა "სალიახვოს სოციალ-ეკონომიკური აღორძინების კავშირმა" და მოაწოდა დიდი ლიახვის ხეობის 102 მცხოვრების მიერ ხელმოწერილი ღია წერილი, რომელიც მოსახლეობამ საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და ენერგეტიკის მინისტრს გაუგზავნა. თავად ღია წერილი, სადაც წერილის ავტორები ხეობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის - რეგიონის ელექტრომომარაგების გამო საკმაოდ მკვეთრ ეჭვებს გამოთქვამენ, "24 საათმა" ამ რამდენიმე დღის წინ დაბეჭდა. "24 საათისა" და "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისთვის" გამოგზავნილი წერილი კი შემდეგი შინაარსისაა:*


სალიახვოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების კავშირი

*გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს ბ-ნ მამუკა ფაჩუაშვილს*

*"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" დირექტორს ქ-ნ მაია ურუშაძეს*

მოგმართავთ თხოვნით, გაეცნოთ დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის მიერ ჩვენთვის მოწოდებულ ღია წერილს, რომელსაც ხეობაში მცხოვრები 100 ოჯახის წარმომადგენელი აწერს ხელს და სადაც საუბარია ხეობის ელექტრომომარაგების პრობლემებზე.

ჩვენთვის ცნობილია, რომ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი", გაზეთ "24 საათთან" ერთად, ახორციელებს პროექტს "ენერგეტიკა - კორუფციის გარეშე", რომლის მიზანიც ენერგეტიკაში არსებული კორუფციის გამოვლენაა.

გთხოვთ, ყურადღება დაუთმოთ დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის მიერ ჩვენთვის მოწოდებულ წერილსაც და, თუ საშუალება იქნება, შეისწავლოთ კეხვიჰესის საკითხიც.

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იმის მიზეზებს, რომ კეხვიჰესი დღემდე არ მუშაობს, სწორედ კორუფციაში ხედავს.

ჩვენც, ჩვენი მხრიდან, ვიზიარებთ ამ უმრავლესობის აზრს, რადგან იმის ფონზე, რომ დღეს ხეობის ელექტრომომარაგება მთლიანად რუსეთიდან ხდება, რაც არაერთხელ გამხდარა ოსური მხრიდან პოლიტიკური ვაჭრობის თემა, ამ ელექტროსადგურს ხეობის ელექტრომომარაგების პრობლემის მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მოხსნა მაინც შეუძლია.

თუ აღნიშნული საკითხით დაინტერესდებით, კეხვიჰესის გაჩერების და დღემდე ვერ ამუშავების მიზეზების შესასწავლად მოგაწვდით ყველა საჭირო მასალას, რისი მოძიების შესაძლებლობა გვექნება.

*პატივისცემით,*
*თეა ბასიშვილი*
*კავშირის თავმჯდომარე*
*15 აპრილი, 2005 წ.*

**იმის გასარკვევად, თუ რა ვითარებაა ამ საკითხთან დაკავშირებით, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" წინასწარი გამოძიება ჩაატარა, რომლის შედეგებიც სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-საც მიაწოდა.**

**აი, რა დადგინდა გამოძიების შედეგად:**

კეხვის ჰიდროელექტროსადგურის მუშაობა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარეობს, არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს.

დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში აფხაზეთის ენერგოსისტემა ერთიანი ქართული სისტემისგან განუყოფელი აღმოჩნდა. ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა კონფლიქტის მეორე ზონაში - სამაჩაბლოში. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლები, რომელთა მოსახლეობამაც საკუთარი სახლების მიტოვებაზე უარი განაცხადა, ფაქტობრივად, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში მათი ელექტროენერგიით მომარაგება ოსური ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ხეობაში 2 ათასზე მეტი აბონენტი საქართველოს ხელისუფლების დახმარებას წლებია, ამაოდ ელის.

ამ მხრივ ახალი ხელისუფლების პირველ იმედის მომცემ ნაბიჯად შეიძლება გასული წლის ზაფხული მივიჩნიოთ, როცა ენერგეტიკის მინისტრმა მთავრობის სხვა წევრების მსგავსად კონფლიქტის ზონაში ჩასვლა და იქ ელექტრომომარაგების მხრივ არსებული პრობლემების მოგვარება გადაწყვიტა. მაშინ კონფლიქტის ზონაში არსებული ქართული სოფლების ელექტროენერგიით მომარაგების შესაძლო წყაროდ დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე პატარა ელექტროსადგური კეხვიჰესი დასახელდა. ჰესი, მართალია, პატარაა, მაგრამ როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მას შეუძლია 9 ქართული სოფლის ელექტროენერგიაზე არსებული მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

"კეხვიჰესის" აგრეგატის რეაბილიტაციისათვის თანხები სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტშიც გამოძებნა, მაგრამ ზაფხულის ცნობილი მოვლენების გამო კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო სამუშაობის ჩატარება შეფერხდა, რის გამოც გასული ზამთარი ადგილობრივმა მოსახლეობამ სიბნელეში გაატარა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხეთაგური მიიჩნევს, რომ დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის ელექტრომომარაგების საკითხი ცხინვალის ხელისუფლებაზე ნაკლებად არის დამოკიდებული, რადგან კეხვის ქვესადგური, რომელიც ცხინვალს ელექტროენერგიით ამარაგებს, ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს. "ვლადიკავკაზიდან ელექტროენერგიას ცხინვალი კეხვის ქვესადგურის გარეშე ვერ მიიღებს, ამიტომ ეს ქართველებისთვის სერიოზული ბერკეტია"- განაცხადა ხეთაგურმა.

ხეობის ელექტრომომარაგების ორი გზა არსებობს. ელექტრომომარაგება შეიძლება რუსეთიდან და ხეობაში მდებარე პატარა ჰესიდან - კეხვიჰესიდან. თავის მხრივ, ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით ხელისუფლებამ გააკეთა, ის არის, რომ დიდი და პატარა ლიახვის ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიები "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბიციო ენერგოკომპანიას" შეერწყა. ამის შესახებ გადაწყვეტილება მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ 2005 წლის 14 იანვარს მიიღო. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ხეობის ელექტრომომარაგებაზე პასუხისმგებლობა ამ ენერგოკომპანიას ეკისრება, შესაბამისად მან უნდა გადაწყვიტოს ელექტრომომარაგების რომელი გზა აირჩიოს.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ოპერაციათა მართვის მენეჯერი მამუკა კიკალიშვილი აცხადებს, რომ პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები 800 აბონენტი ელექტროენერგიას უკვე "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან" იღებს, კომპანიის იქაური თანამშრობლებისათვის ხელფასებსაც სადრისტრიბუციო კომპანია გასცემს. პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობის ელექტრომომარაგება 4 კილომეტრიანი ახალი გადამცემი ხაზის აშენების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

"დიდი ლიახვის ხეობასთან დაკავშირებით პრობლემები უფრო სერიოზულია. აქ 20 კილომეტრიანი გადამცემი ხაზის აშენებაა საჭირო. არც ეს იქნებოდა პრობლემა, რომ არა ხეობის გეოგრაფიული მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ დიდი ლიახვის ხეობაში აშენებულმა გადამცემმა ხაზზმა ქართველების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორია უნდა გადაკვეთოს, ამიტომ არსებობს ამ ხაზის გაქურდვის ან აფეთქების საფრთხე"- განაცხადა კიკალიშვილმა.

"გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ელექტრომომარაგების სხვა სქემასაც განიხილავენ, კერძოდ, რუსულ "რაოეესთან" მოლაპარაკებას. თუ კომპანია "რაოეესი" დათანხმდა და ხეობამ ვლადიკავკაზიდან აღრიცხული ელექტროენერგია მიიღო, მაშინ შესაძლებელი იქნება ხეობის ელექტროენერგიით რუსეთიდან მომარაგება.

"კეხვიჰესის" ვარიანტს ამ ეტაპზე არ განვიხილავთ. ტექნიკურად შეიძლება ჰესიდან ელექტროენერგია ხეობამ გადამცემი ხაზის აშენებისა და რუსეთთან მოლაპარაკების გარეშეც მიიღოს, მაგრამ ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ხეობას არ ეყოფა. "კეხვიჰესი" თითქმის 1 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს, ხეობას კი 1,5-2 მეგავატი სიმძლავრე სჭირდება. ამას გარდა, ჰესი ამჟამად არ მუშაობს, გაურკვეველია მისი კუთვნილების საკითხი. ელექტროსადგური იჯარით არის გაცემული, რამდენადაც ვიცი, მისი უკან, სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების საკითხი განიხილება" - აღნიშნა კიკალიშვილმა.

"გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ოპერაციათა მართვის მენეჯერი აცხადებს, რომ პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებთა მსგავსად, დიდი ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობა კომპანიის მომხმარებელი ორ თვეში გახდება. "ტექნიკური საკითხები თუ არ მოგვარდა (გადამცემი ხაზის მშენებლობა) ხეობის მოსახლეობის აბონენტებად აყვანას აზრი არ ექნება. ჩვენ მოსახლეობიდან ელექტროენერგიის საფასურს ვერ ამოვიღებთ, რადგან ხეობისათვის მიწოდებული ელექტროენერგია ჩვენ არ დაგვერიცხება. "- განაცხადა კიკალიშვილმა.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობის ელექტრომომარაგებისთვის თანხები გათვალისწინებული იყო USAID-ის ე.წ. "ზამთრის გათბობის" პროგრამით. დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობას ამერიკული დახმარებით უფასო ელექტროენერგია არ მიუღია. როგორც "PA კონსალტინგ"-ში განმარტავენ, ზამთრის გათბობის პროგრამის ფარგლებში სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გორის ფილიალს 2005 წლის იანვარში 23 094 ლარი გადაერიცხა და 792 კომლმა ელექტოენერგია უფასოდ მიიღო. უფასო ელექტრონერგიის მიწოდება მხოლოდ პატარა ლიახვის სოფლების - არგვიწის, ბერულას, დისევის და ერედვის მოსახლეობისთვის მოხერხდა.

## რატომ არ მუშაობს "კეხვიჰესი"?

"კეხვიჰესი" მართვის უფლებით 2000 წელს შპს "ვატ-ლტდ"-ს გადაეცა, ამავე წელს კომპანიას 15-წლიანი წარმოების ლიცენზია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამაც მისცა. "კეხვიჰესმა" მუშაობა 1941 წელს დაიწყო. ჰესი დერივაციულია და სარწყავ არხზე მდებარეობს, მისი ერთი აგრეგატი 480, ხოლო მეორე 500 კვტ-იანია. ელექტროსადგურს წელიწადში საშუალოდ 6 მილიონი კილოვატსაათის გამომუშავება შეუძლია, ჰესის საბალანსო ღირებულება 164 484 ლარს შეადგენს. მისი დადგმული სიმძლავრე კი 980 კვტ-ია.

დიდი ლიახვის ხეობის გამგებელი ნოდარ ყოჩაშვილი აცხადებს, რომ შპს "ვატ-ლტდ" საიჯარო ხელშეკრულების პირობებს ვერ ასრულებდა, ამიტომ სამი წლის წინ მას ეკონომიკის სამინისტრომ სასამართლოში უჩივლა.

"სასამართლომ საიჯარო ხელშეკრულება გააუქმა, ჰესის საკუთრების საკითხი ჯერაც გაურკვეველია. არსებული მდომარეობის შესახებ ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს პირადად ვაცნობე. დამპირდა, რომ კეხვიჰესის ამოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლებას მოაგვარებს. ჰესმა რომ იმუშაოს, ხეობის მოსახლეობა ელექტროენერგიას გრაფიკით მაინც მიიღებს. ამჟამად ელექტროენერგია მოგვეწოდება, მაგრამ ზამთარში ხეობა ჩაბნელებული იყო. "ვატ-ლტდ"-მ ჰესი იჯარით აღებიდან პირველი ერთი თვის განმავლობაში ამუშავა. მას შემდეგ კეხვიჰესი გაჩერებულია." -განაცხადა ყოჩაშვილმა.

გამგებელი ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს, რადგან როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განმარტავენ, "კეხვიჰესთან" დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. "სასამართლოს ბოლო სხდომა 1 დეკემბერს იყო დანიშნული. "ვატი ლტდ"-მ იჯარის ხელშეკრულების პირობები არ შეასრულა, არ გადაიხადა იჯარა, ამიტომ 2003 წლის 21 იანვარს ეკონომიკის სამინისტრომ მეიჯარეს სასამრთლოში უჩივლა და იჯარის ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა. დავის პროცესის გაჭიანურება კი სამინისტროში ამ წლების განმავლობაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებს უკავშირდება"- განმარტავენ სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში.

ინფორმაცია განსჯისათვის: კეხვიჰესის მეპატრონეებთან დავას ადრე, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს, თავად ყოჩიშვილი აწარმოებდა. ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე, ის აცხადებდა: "ჩვენ თავის დროზე მივმართეთ ქონების მართვის სამინისტროს და მათ "კეხვიჰესთან" 2002 წლის 8 ოქტომბერს ხელშეკრულება ცალმხრივად მოშალეს." შეგახსენებთ, რომ რეგიონში ელექტროენერგიის აღრიცხვის საკითხი დღემდე მოუწესრიგებელია. როგორც წესი, ადგილობრივი დისტრიბუტორების მიერ სოფლებში შეგროვილი ელექტროენერგიის საფასურის მაჩვენებელი 20-25 პროცენტს არ აღემატება, დანარჩენი თანხა კი ქართულ მხარეს სახელმწიფო დავალიანებად ეწერება. ლიახვის ხეობაში ელექტროენერგიის დისტრიბუციას დღემდე ისევ ადგილობრივი გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული "ლიახვის ენერგოკომპანია" აწარმოებს, რომლის დირექტორი ანზორ ყოჩიშვილი უშუალოდ გამგებლის - ნოდარ ყოჩიშვილის ახლო ნათესავია. სხვათა შორის, ამ ორი წლის წინ, "24 საათთან" საუბრისას ყოჩიშვილებმა პირველად გაიგეს, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივი ენერგოკომპანიები "სგსე"-ს ექვემდებარებიან.

დავუბრუნდეთ კვლავ შპს "ვატი-ლტდ"-ს: მასთან პრეტენზიები ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარსაც გააჩნია. ბაზარმა კომპანიას ენერგეტიკის მარეგულირებელ კომპანიაშიც უჩივლა და ბაზრის წედების შეუსრულებლობა გააპროტესტა. საბითუმო ბაზრის მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯერი მიხეილ თავბერიძე: "ვატ-ლტდ" რამდენიმე წელია საბითუმო ბაზრის წევრია, თუმცა ბაზარში ანგარიშსწორების აქტებს არ წარმოადგენს. შესაბამისად არ ვიცით მუშაობს თუ არა კეხვიჰესი, ვის უნდა დავაწეროთ მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. თუ ჰესი არ მუშაობს, "ვატ-ლტდ" ვალდებულია, ბაზარში ნულოვანი ანგარიშსწორების აქტი მაინც წარმოადგინოს.

"კეხვიჰესის" საკითხთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებენ ენერგეტიკის სამინისტროში. როგორც ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხეთაგური აცხადებს, ჰესთან დაკავშირებული პრობლების მოგვარება სასამართლოს პრეროგატივაა, ამოტომ სამინისტრო მოიჯარესა და ქონების მესაკუთრეს შორის დავაში ვერ ჩაერევა. "კეხვიჰესი" თუ იმუშავებს, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ვალდებული იქნება, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეიძინოს, ამიტომ "ვატ-ლტდ" ჰესის ამუშავებით უნდა დაინტერესდეს."- განაცხადა ხეთაგურმა.

იმის გარკვევა, რატომ არ აქვს "ვატ-ლტდ"-ს ჰესის მუშაობის ინტერესი, ვერ მოხერხდა, რადგან კომპანიის ხელმძღვანელთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. შესაბამისად გაურკვეველი დარჩა ის არგუმენტები, რომელსაც "ვატ-ლტდ" სასამართლოში თავდაცვის იარაღად იყენებს. ფაქტი კი ერთია და სამწუხარო: გაჭიანურებული სამართლებრივი დავის გამო ელექტროენერგია ან არ მიეწოდება კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართველებს, ან, თუ მიეწოდება ოსური ხელისუფლების სამადლოდ. ქართული ხელისუფლების მხრიდან პრობლების გადაჭრისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯები კი არ ჩანს.

თუმცა, ცენტრი ფლობს ინფორმაციას ჰესის მფლობელების შესახებ და უმოკლეს ვადაში ამ საკითხის ბოლომდე შესწავლას გეგმავს.

შესაბამისად, უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ ახალ დეტალებს კეხვიჰესის საკითხთან დაკავშირებით.






გამჭვირვალე ფარფატი



B2

რუსების კულტურული მოსვლა კურთხეულ მიწაზე



B3

ჟირესის კომპეტენცია



B5

რეპორტაჟი

# ანტიკვარული უთოები და სერიოგას "Черный Бумер" მშრალ ხიდზე

ნათია ლურსმანაშვილი

**- თუ აქ ერთი სრული დღე არ დადგები, მაინც ვერაფერს გაიგებ, აზრი არა აქვს მოყოლას; თუ დადგები და... გახსენება აღარ მოგინდება, -** მითხრა ერთმა მოვაჭრე ქალმა მშრალ ხიდზე. დგანან ყოველთვის, წვიმაშიც და თოვლშიც, ქარშიც და დარშიც. არც ზაფხულის თაკარა მზეს უშინდებიან. მიზეზი ყველას ერთი აქვს - ცხოვრება უნდათ. მაგრამ ამბავს ათასნაირს მოისმენთ - თავისებურს და განსხვავებულს. სახე ყველას უცინის, მაგრამ რომ ჰკითხავ, აქ საიდან მოხვდიო - გულის ამაჩუყებელ ამბავს მოგიყვებიან: **სახლი გავყიდე, სამსართულიანი. ჩემი ბიჭი ვალებში გადავარდა. გუშინ ჩემს ქალიშვილს სახლი გაუქურდეს, ყველაფერი წაიღეს. აი, დღეს ველოდები, იქნებვინმემ რამე მოიტანოს ჩემი ნივთებიდან. ვიყიდი მაინც, თუ უკან არ დამიბრუნა.**

აქ ყველაფერს იყიდი - ანტიკვარულ სამოვრებს, ჭიქებს, სამკაულებს, ბრინჯაოს საფერფლეებს - უცნაური ფორმით და საინტერესო ამბით, ვერცხლის დანა-ჩანგალს, ბროლის ბოკალებს, მედლებს, ნახშირის ძველისძველ უთოებს, XIX საუკუნის ფოტოებს, ხანჯლებს და ანტიკვარულ თოფებს; ფულსაც შეიძენ - ძველ რუბლებსა და კაპიკებს - კაპიკებად. ყველაფერი ძველია, მაგრამ კარგად შენახული. არც ფასებია მიუღებელი - მედალი თითო ლარად, თუ ძალიან სთხოვ, ხუთ ცალს ლარად დაგითმობენ (იყიდის ვინმე ათ ცალს ერთად და მერე იტყვის, ბაბუაჩემმა მიიღო მეორე მსოფლიო ომში ჩადენილი გმირობისთვისო), ბრინჯაოს საფერფლეს 15 ლარად აფასებენ; არ გაქვთ მაგდენი? 5 ლარად იყოს. თუ არ იყიდი, არც ამაზე დასწყდებათ გული, გაესაუბრები მაინც. დარდობენ, საკუთარ ნივთებს რომ ემშვიდობებიან, თითქოს სულსაც თან აყოლებენ. მოგიყვებიან, ვისგან დარჩათ, როგორ ამბობდა მათი დიდი ბაბუა იმ ყანწით ისეთ სადღეგრძელოებს, რომ მერე მთელი თბილისი ლაპარაკობდა. ან როგორ გადაუღეს მათ დიდედას პირველი ფოტო და როგორ უყვარდებოდა ამ ფოტოზე აღბეჭდილი თავადის ასული ყველას, ვინც მას ნახავდა. გიყვებიან, რომ არ დაიკარგოს წარსული და ახალი მფლობელის ხელში გადავიდეს. ან იქნებ იმიტომაც, რომ იგრძნო, რამდენად ძვირფასია ესა თუ ის ნივთი მათთვის.

არიან ისეთებიც, ვინც მხოლოდ ყიდვა-გაყიდვითაა დაკავებული. **- რამეს ხომ არ ყიდით? -** ეს იყო პირველი კითხვა, რაც შესვლისთანავე დამისვეს. ეს ხალხი ბაზრის შესასვლელში დგას და შორიდანვე იცნობთ.

ბოლო რიგებში "უახლეს" ტექნიკასაც მიაგნებთ (ტელევიზორის პულტებს, ანტენებს, დისკებს, კასეტებს) და არსებული განწყობისთვის სრულიად შეუსაბამო სერიოგას "Черный Бумер"-საც მოისმენთ.

მყიდველი ბევრია და ათასნაირი, სკოლის მოსწავლეებით დაწყებული, პენსიონერებით დამთავრებული. უბრალოდ, ძველი ნივთების მოყვარულები, კოლექციონერები, ან საჩუქარს არჩევენ. საქმიანობისა და პროფესიის სპექტრიც ფართოა - დღეს ერთ მღვდელს შევხვდი, რომელიც მრგვალლინზებიან მზის სათვალეს ყიდულობდა. მიზეზი საკმაოდ უცნაურად მეჩვენა - **ფილმი "ქილერი" მომწონს, ჟან რენოს მონაწილეობითო.** კაცია და გუნება, ვერაფერს იტყვი.

ისე, გაგონილს ნანახი სჯობსო, ნათქვამია. იქნებ რამე ისეთიც შეამჩნიოთ, რაც მე არ დამინახავს ან არ მომიყოლია, ან თქვენი ოჯახის კუთვნილ ნივთს მიაგნოთ. უთუოდ სასიამოვნო განცდა დაგეუფლებათ.

ცოტა ხნის წინ თბილისის მერიამ ამ ტერიტორიის გარე მოვაჭრეებისგან დაცლა გადაწყვიტა - ამგვარი ბაზრობები ქალაქის იერსახეს ამახინჯებსო (დღევანდელი გაფერადებული ქალაქის შემყურე, არ ვიცი რამდენად სამართლიანია ეს აზრი). ეს ანტიკვარული ნივთები, მხატვრებთან ერთად, ქალაქის რომელიმე გარეუბანში, "კეთილმოწყობილ სავაჭრო ცენტრში" გადაინაცვლებენ. ამ ინიციატივას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა: ზოგი მთავრობას უჭერდა მხარს, ზოგი იმას იხსენებდა, რომ ყველა ნორმალურ ევროპულ ქალაქის ცენტრში შეხვდებით ამგვარი ანტიკვარული ნივთების გამოფენა-გაყიდვას და ზუსტად ეს ქმნის ქალაქის კოლორიტს. ზოგმა ისიც აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე დაგეგმილ რესტორნებს ისევ იერსახედამახინჯებული დედაქალაქი ურჩევნია. ან გარეუბანში ვინ წავა ძველმანების საყიდლად და ამ ინტელიგენტებს მშიერს დატოვებთო - ესეც თქვეს. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ეს საკითხი, ჯერჯერობით, ამოიღეს გადაუდებელი საქმეების ნუსხიდან და ამ ხალხს დროებით მაინც აქვს თავის რჩენის საშუალება. მწირი, მაგრამ მაინც.














B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 თვალსაზრისი B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა




## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
პროფესორ გიზი ამირეჯიბის კლასის კონცერტი
ბილეთების ფასი: 1-2 ლარი.
დას: 19:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
"გოეთეს ინსტიტუტი თბილისში" წარმოადგენს:
მაიკ სვობოდას სოლოპროგრამა
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პრემიერა
ლუდვიგ მინკუსი
"დონ კიხოტი"
(ბალეტი სამ მოქმედებად)
ჩელიტა - ლალი კანდელაკი
ბაზილი - დავით ხოზაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ევრიპიდე, ჟან ანუი
"მედეა"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია
ლეო დელიბი
"კოპელია"
დას: 17:00; 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"იადონას თეატრი"
დას: 18:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"გახსოვდეთ!"
სამამულო ომში დიადი გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული წარმოდგენა
დას: 18:00 სთ.

**თეატრი "ნაბადი"**
"ნაბადი"
დას: 20:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"დაიკიდე"
დას: 15:00; 17:30 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:15 სთ.

"ტუსაღი"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"
II სართული

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გია ჩხატარაშვილისა და პოლ კალჰუნის ფოტონამუშევრების გამოფენა

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
გახსნა: 16:00 სთ.

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გია ჯაფარიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა (ქანდაკება, ფერწერა)

## კლუბები

**ნოა ნოა**
ტერი ფრანცისი
(ლონდონის კლუბ "ფაბრიკის" რეზიდენტი დი-ჯეი)
ფასი: 25 ლარი.
დას: 23:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge


საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

**აცხადებს კონკურსს**

**კინოხელოვნების პოპულარიზაციისთვის**

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ნაწილობრივ (მაქსიმუმ 50%-ით) დაფინანსდება ეროვნული კინოცენტრის მიერ.

ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 20 ათასი ლარი

პროექტი უნდა განხორციელდეს 2005 წლის დასრულებამდე.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge


# გამჭვირვალე ფარფატი

### "ორიენტში" ტიხრული მინანქრის ქართველი ოსტატების გამოფენა იხსნება

ია ვეკუა

დღეს ერთობ პოპულარულ მინანქარს ბევრი სნობების საყვარელ ხელოვნებად მიიჩნევს. ამ ტექნოლოგიით დამზადებული სამკაული ლამაზია, მდიდრული და ძვირადაც იყიდება. ეს უკანასკნელი ფაქტორი მინანქრის მასაში პოპულარიზაციის მთავარი მიზეზია. მისი მასობრივი მომხმარებელი, ალბათ, ვერასდროს მიხვდება, როგორი შრომისა და ნებისყოფის ხარჯზე იქმნება თითოეული ნამუშევარი და რამდენად მტკივნეულია ავტორისთვის ერთი პატარა ბეჭდისთვის გასაყიდი ფასის დადება.

დღეს გალერეა "ორიენტში" 15 ქართველი მინანქრისტის ერთობლივი გამოფენა-გაყიდვა იხსნება. წარმოდგენილი იქნება 50-მდე ნამუშევარი - სამკაულები, აგრეთვე ხატები და ჯვრები. გამოფენაში, ძირითადად, ის ოსტატები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებმაც მინანქარზე მუშაობა გალერეა "ორიენტში" შეისწავლეს.

ჯგუფური გამოფენის ერთ-ერთი მონაწილეა ეკა სამხარაძე, რომელიც სხვა ნამუშევრებთან ერთად თავის საუკეთესო ქმნილებასაც წარმოადგენს. "ქალი-პეპელა" - ასე დაარქვა ავტორმა მცირე ზომის ნაკეთობას, რომელსაც ვერცხლის მოოქროვილი ქალის ფიგურა და პეპლის გაშლილი ფრთები ქმნის. ეს ზღაპრული ფიგურა ამეთვისტოს კრისტალის კვარცხლბეკზე დგას.

ამ ნამუშევრის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ პეპლის ფრთები იშვიათი ტექნოლოგიით - გამჭვირვალე მინანქრითაა დამზადებული. ამ ხერხს საქართველოში იშვიათად იყენებენ, რადგან მაღალ ოსტატობას მოითხოვს. "ქალი-პეპელა" სიახლეა იმ მხრივაც, რომ ჯერ არავის შეუქმნია ძვირფასი ლითონისა და გამჭვირვალე მინანქრის სინთეზური კომპოზიცია.

ეკა სამხარაძე პროფესიით პედაგოგია. ბოლო რამდენიმე წელიწადია, რაც მინანქარზე აქტიურად მუშაობს. ეს ხელობა შეასწავლა ირაკლი მეგრელიშვილმა, რომელსაც დღემდე უთანხმებს ახალ იდეებს და ერთმანეთს გამოცდილებასაც უზიარებენ.

**ეკა სამხარაძე:** "როდესაც ტიხრულ მინანქარზე ვმუშაობ, სრულიად ვწყდები გარე სამყაროს და პრობლემებიც მავიწყდება. ამ დროს ვგრძნობ, რომ სხვა განზომილებაში ვიმყოფები და ყველაფერი დანარჩენი ჩემთვის აზრს კარგავს. ვცდილობ, ღამე, სიწყნარეში, მელოდიური მუსიკის ფონზე ვიმუშაო. გამთენიისას ნამუშევარი დასრულებულ სახეს იღებს და თვალნათლივ ვხედავ იმ შრომის საზღაურს, რომელიც ღამის განმავლობაში გავწიე."

ისევე როგორც ყველა ხელოვანი, ეკა სამხარაძე უფრო მეტი ენთუზიაზმით მუშაობს საკუთარი ფანტაზიით შექმნილ სამკაულებზე, ვიდრე შეკვეთებზე. დაკვირვებულია, როდესაც საკუთარ გემოვნებას ასხამს ფრთებს, ნამუშევარი გაცილებით დახვეწილია. უფრო ადვილად არჩევს ფერებს, ფიგურასა და მისი დასათა-


მინანქრის ოსტატი ეკა სამხარაძე

ურებაც უადვილდება. "დამკვეთმა ხშირად ისიც არ იცის, რა სურს. თითქმის ყოველდღე იცვლის აზრს და მეც მიკარგავს მუშაობის ხალისს. ასეთ შემთხვევაში ხარისხზე საუბარიც ზედმეტია", - ამბობს ეკა სამხარაძე.

განსაკუთრებით კომპოზიციებზე მუშაობა უყვარს. ასეთ დროს სრულ თავისუფლებას გრძნობს. უფრო თამამად ირჩევს ფერებს, ორნამენტებს. საკუთარ თავსაც "მეტი სიგიჟის" უფლებას აძლევს. გრძნობს, როგორ ითავისუფლებს თავს ჩარჩოებისგან და საყოველთაოდ მიღებულ თამაშიც წესებსაც არღვევს. ასეთ მუშაობას ოსტატი ცელქობას ეძახის, ამ ცელქობის შედეგად კი, პირველ რიგში, "ქალ-პეპელას" მიიჩნევს. "ამ ფიგურის ფრთები იმდენად ნაზი და ჰაეროვანია, სულ მგონია, რომ გაფრინდება", - ეს ეკა სამხარაძის აზრია, რომელიც, სავარაუდოდ, დღეიდან რეალობად იქცევა, რადგან დიდი ყოყმანის შემდეგ მისი გაყიდვა გადაწყვიტა.

**ეკა სამხარაძე:** "ნეტა შეიძლებოდეს ჩემი ფანტაზიის ფოტოგრაფირება. ეს, ალბათ, ყველაზე უცნაური ფოტო იქნებოდა. ფანტაზია და ენერგია არასდროს მელევა. მათი შერწყმის შედეგის - ნამუშევრების გაჩუქება მიყვარს, მაგრამ მხოლოდ მათ ვჩუქნი, ვინც მინანქრის ფასი იცის. მას არ უნდა უჩნდებოდეს კითხვა, რამდენი გრამი ოქრო და ვერცხლი დაიხარჯა ამ ნაკეთობისთვის, რამდენი ღამე შევალიე მას. მთავარია ხვდებოდეს, რომ ეს ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია."

შემოდგომაზე ეკა სამხარაძე პერსონალურ გამოფენას გეგმავს. ამისთვის განსაკუთრებულად ემზადება და უნდა, რომ დამთვალიერებელს დაუვიწყარი სანახაობა აჩუქოს.

# კავკასიის კამერული ორკესტრი 16 მისიონერს ელის

### წევრთა შესარჩევად კონკურსი კავკასიის ფარგლებს სცდება

ვერა ნეფარიძე

*1 ივნისს მუშაობას უნდა შეუდგეს ახალი, "კავკასიის კამერული ორკესტრი". რეგიონის თექვსმეტი საუკეთესო მუსიკოსისგან დაკომპლექტებულ ორკესტრს გერმანელი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი უვე ბერკემერი უხელმძღვანელებს. თუმცა, ორკესტრში მოსახვედრად მსურველებმა კონკურსი (რომელიც მოსკოვში, ერევანსა და თბილისში გაიმართება) უნდა გაიარონ. ორკესტრს, რომელიც ჯერ არ ჩამოყალიბებულა, დაგეგმილი აქვს ფესტივალი; მოფიქრებულია ორკესტრის მისიაც: შემოქმედებითმა გაერთიანებამ უნდა დაამტკიცოს, თუ როგორ შეუძლიათ კავკასიის ხალხებს თანამშრომლობა და სვლა საერთო მიზნებისკენ, იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთი მხარე ოფიციალურად, მინისტრის განცხადებების დონეზე, უარს ამბობს ორკესტრში მონაწილეობაზე.*

Caucasian Chamber Orchestra

კამერული და სიმფონიური ორკესტრების მუსიკოსებისთვის სამუშაოდ კიდევ ერთი ალტერნატივა ჩნდება: "კავკასიის კამერული ორკესტრი". თუმცა, ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი კამერულ-მუსიკალური გაერთიანება გარკვეულწილად განსხვავდება თბილისში არსებული მსგავსი გაერთიანებებისგან. მისია, რომლის შესრულებაც "კავკასიის კამერულმა ორკესტრმა" საკუთარ თავზე აიღო, სცდება წმინდა პროფესიონალურ საზღვრებს და იმის გარდა, რომ გვპირდება უმაღლესი დონის კონცერტებს, აპირებს გახდეს კავკასიის რეგიონში სტაბილურობის სიმბოლო.

ცნობა ორკესტრის ჩამოყალიბების შესახებ წლის დასაწყისში გავრცელდა. მას შემდეგ დრო ოფიციალურად ჩამოყალიბებას (სტრუქტურულ ორგანიზაციას), იურიდიულად გაფორმებას (უკვე დაარსდა "კავშირი კავკასიის კამერული ორკესტრი") დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ორკესტრმა შეიძინა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მყარი სპონსორი KFW (Kreditanstalt fur Wiederaufbau); მხარდაჭერის გარანტიები აქვს გერმანიის მთავრობისგანაც. ორკესტრის ჩამოყალიბების ინიციატორია გერმანელი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი უვე ბერკემერი. გერმანელ მუსიკოსს წლები აკავშირებს საქართველოსთან (ჰყავს ქართველი მეუღლე, მევიოლინე ბელა მახარაძე), თანამშრომლობს ლიანა


"კავკასიის კამერულ ორკესტრს" უვე ბერკემერი უხელმძღვანელებს

ისაკაძესთან. ბოლო წლებში საქართველოს კამერული ორკესტრი რამდენჯერმე მიიწვია გერმანიის საერთაშორისო ფესტივალზე; თვითონ კი 2000 წლიდან ამ ორკესტრის მიწვეული დირიჟორია; ამას გარდა, ბერკემერი არის დიცენბახის (ფრანკფურტი) მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის ინიციატორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დაარსებული აქვს მსოფლიო კამერული ორკესტრი, რომელსაც ახლახან გასტროლები ჰქონდა ევროპის ქვეყნებში.

ბერკემერის უკანასკნელი ინიციატივისთვის - "კავკასიის კამერული ორკესტრი" პრიორიტეტულია რამდენიმე ასპექტი: სტანდარტული რეპერტუარის განვითარება; კავკასიის მუსიკის პოპულარიზაცია (თანამედროვე მუსიკის ჩათვლით); იშვიათი საორკესტრო ლიტერატრურის ძიება და კვლევა; პროექტები საზღვარგარეთ და საბავშვო პროექტების მომზადება. ამ ეტაპზე დაგეგმილია რამდენიმე საკმაოდ ხმაურიანი პროექტი სხვადასხვა ცნობილ მუსიკოსთან თანამშრომლობით, რომელიც არა მარტო კლასიკური მუსიკის მოყვარულების ყურადღებას დაიმსახურებს (მაგალითად, რიჩარდ მაილსი ორკესტრს იო იო მასთან ერთობლივი კონცერტის ორგანიზებაში ჰპირდება დახმარებას). თუმცა, პროექტები მოლაპარაკებების სტადიაშია და ამ ეტაპზე მათზე საუბარი არ ღირს. ერთი, რაც გადაწყვეტილია, ეს აგვისტოში (11-დან 18-მდე) ბათუმში დაგეგმილი ფესტივალია "მშვიდობა თქვენდა", რომელშიც მონაწილეობის მიღებაზე თანახმაა ცნობილი ქართველი მევიოლინე მარინე იაშვილი. თუმცა, ამჟამად ორკესტრის ხელმძღვანელობისთვის (ორკესტრის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს პირველი ლედია) ყველაზე მნიშვნელოვანი ორკესტრის დაკომპლექტებაა.

კონკურსი ორკესტრში წევრების მისაღებად 20-დან 28 მაისის ჩათვლით გამოცხადდება. იმის გამო, რომ აზერბაიჯანის მხარემ ოფიციალურად უარი განაცხადა ორკესტრში მონაწილეობაზე, თბილისისა (28 მაისი) და ერევნის (25 მაისი) გარდა, კონკურსი მოსკოვშიც (22 მაისი) გაიმართება. საკონკურსოდ შესავსები ანკეტის ფორმა დაინტერესებულმა პირებმა უნდა ნახონ უვე ბერკემერის ვებ-მისამართზე: www.uwe-berkemer.de/cco.htm. ორკესტრის რეზიდენცია თბილისში იქნება. რაც შეეხება სარეპეტიციო სივრცეს, ამ მხრივ ორკესტრს დახმარებას შეჰპირდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. და კიდევ, მართალია, ორკესტრს წევრები ჯერ არ ჰყავს, მაგრამ მათი ორწლიანი სახელფასო ბიუჯეტი KFW-მა უკვე დააფინანსა.

"ეს ორკესტრი იქნება კავკასიაში სტაბილიზაციის პროცესის სიმბოლო. ის კიდევ ერთხელ დაამტკიცებს ხელოვნების ძალას: მუსიკა, როგორც გლობალური ენა, რომელიც ესმის ყველა ადამიანს, განურჩევლად რელიგიისა და ეთნოგრაფიული თავისებურებებისა", - ამბობენ ორკესტრის გამგეობის წევრები. ვნახოთ, რამდენად მზად იქნებიან მუსიკოსები კავკასიის რეგიონში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად.

## მოკლედ

### საფორტეპიანო ტრიოს კონცერტი

7 მაისს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში შტუდგარტში მოღვაწე საფორტეპიანო ტრიოს კონცერტი გაიმართება. საქართველოში ჩამოსული მუსიკოსები: გიგა ხელაია (ჩელო), ნატა მეიფარიანი (ვიოლინო), რუსუდან მეიფარიანი (ფორტეპიანო) შეასრულებენ: ჰაიდნის (ტრიო სოლ მაჟორი), შნიდკეს ("ტრიო 1992"), მენდელსონის (ტრიო რე მინორი) და რუსუდან მეიფარიანის ("ნატვრის ხე") ნაწარმოებებს.

ქართველი მუსკოსების მოღვაწეობის საინტერესო ისტორია და არც თუ იოლი გზა მას შემდეგ დაიწყო, რაც ახალგაზრდებმა 90-იან წლებში საქართველოს დატოვება და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება უცხოთში გადაწყვიტეს... დღეს გიგა ხელაის, ნატა და რუსუდან მეიფარიანების ანგარიშზე მრავალი საერთაშორისო პრემია ირიცხება. ისინი არიან - გაეტანო ზინეტის სახელობის საერთაშორისო კონკურსის (იტალია), გუადა მორას საერთაშორისო მუსიკალური კონკურსისა (ესპანეთი) და კარლო სოლივას საერთაშორისო კონკურსი (იტალია) ლაურეატები. ამას გარდა, მრავალი უცხოელი სტუდენტი მუსიკალური ხელოვნების შესწავლასა და სრულყოფას ქართველ მუსიკოსებთან ცდილობს.

### "არტპრომის" ახალი პროექტები

კომპანია "არტპრომი" 7 მაისს კლუბ "ბერიკონში" ახალი პროექტების პრეზენტაციას გამართავს. კახა ცისკარიძის ("არტპრომის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი) თქმით, კომპანიის მიერ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში შვიდი პროექტი შეიქმნა. ბერიკონში დაგეგმილ საპრეზენტაციო კონცერტში მომღერლები: მაია დარსმელიძე, ლიკა შუბითიძე, სტეფანე, კახაბერი, ჰამიდი, კიკი, ჯგუფები "ძველი თბილისი" და "არტფორუმი" მიიღებენ მონაწილეობას.

"თითოეული მომღერალი, ჯგუფის თანხლებით, სხვადასხვა ჟანრის სიმღერას შეასრულებს. აღნიშნულ კონცერტზე ქართველი მსმენელის წინაშე დღემდე უცნობი შემსრულებელი ჰამიდი წარდგება, რომელიც ქურთულ ფოლკლორს ჯაზ-როკის ელემენტებით და ქალაქურ სიმღერებს შეასრულებს", - აღნიშნა ცისკარიძემ. ***ინტერპრესი***

### რუსული სცენის ვარსკვლავების ფაბრიკა თბილისში გადმოინაცვლებს

29 მაისს სპორტის სასახლეში ცნობილი რუსული პროექტის "ფაბრიკა ზვიოზდ 4"-ის მონაწილეების კონცერტი გაიმართება.

ღონისძიებას ორგანიზებას პროდიუსერი ნატო დუმბაძე უწევს. კონცერტში იური ტიტოვი, ირინა დუბცოვა, ანტონ ზაცეპინი და ჯგუფი "ბანდა" მიიღებენ მონაწილეობას. "ფაბრიკა ზვიოზდ 4"-ს რუსულ შოუ-ბიზნესში ცნობილი პროდიუსერი და კომპოზიტორი იგორ კრუტოი ხელმძღვანელობდა. ***ინტერპრესი***

# რუსების კულტურული მოსვლა კურთხეულ მიწაზე

## მაქსიმ ამელინის ინფორმაციით ბუში და პუტინი ტყუპები არიან

ია ვეკუა

სომხის პატარძალივით მორთულ-მოკაზმული თბილისი "სიძე" ჯორჯ ბუშს რუსი პოეტებისგან "გაბახებული" დახვდება. 2 მაისიდან დედაქალაქში რუსული პოეტური ბომონდის რამდენიმე წარმომადგენელი იმყოფება და უკვე იმდენად კარგად აითვისეს შეღებილ-მოასფალტებული ქუჩები, რომ ცალყბად ხუმრობენ კიდეც, რა საჭირო იყო ასეთი დახვედრაო. რუს პოეტებს ასევე პოეტი კოტე ყუბანეიშვილი მასპინძლობს და ისიც გაირკვა, რომ ცამეტივე რუსი მისი პირადი სტუმრები არიან.

სტუმარ-მასპინძელი, ძირითადად, სალონური შეკრებებით შემოიფარგლებიან და ნაკლებად სწყალობენ ფართო მასებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა "კავკასიურ სახლში" გაიმართა, სადაც კავკასიელებზე მეტად თბილისის სლავური წარმოშობის მსმენელი ჭარბობდა. ვადიმ ჟუკმა, ალექსეი ალიოხინმა, მაქსიმ ამელინმა, დიმა ვედენიაკოვმა და სხვებმა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ქართველი პოეტების მათ მიერ თარგმნილი ნაწარმოებებიც წაიკითხეს.

უნდა ითქვას, რომ ამ დღეებმა ჩვენი სტუმრები სერიოზულად გადაღალეს. ყოველ შემთხვევაში, მათი გადაშლილი სახეები, აშკარად მეტყველებდნენ, რომ, სავარაუდოდ, "ველიამინოვის" სახინკლედან ახალი ამოსულები იყვნენ. იმის გამო, რომ თბილისი ამ დღეებში "სიკვდილის ზონადაა" გამოცხადებული, შედარებით ცივილიზებულ ტერიტორიაზე, უბრალოდ, ვერ გადაადგილდებოდნენ. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, რომ დიდი ენთუზიაზმითა და გატაცებით წაეკითხათ ლირიკული ნაწარმოებები და რამდენიმე ბარდული ჟანრის სიმღერაც შემოეთავაზებინათ.



მაქსიმ ამელინი პოეტად გაგვეცნო და იქვე სიამაყითაც აღნიშნა, რომ ზაზა თვარაძის ქართული პოეზია შესანიშნავი რუსულით ააჟღერა. კითხვაზე, რატომ ესტუმრნენ თბილისს მაინც და მაინც ამ დღეებში, იგი საკმაოდ მკაცრ, თუმცა ხუმრობანარევ (იმედია, ეს, მართლაც, ხუმრობა იყო) პასუხს იძლევა: "იმიტომ, რომ ბუშის ჩამოსვლა შეგვეფერხებინა ან საერთოდ ჩაგვეშალა! მთავრობამ აქაურობის შესამოწმებლად ჩამოვედით და, სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მოვიხიბლეთ. სახლები შეღებეთ, მუზეუმების ფასადი გაალამაზეთ, დარბაზები კი ძველებურად ჩამოფხავებულია. ფიროსმანის ტილო ხელოვნების მუზეუმში იატაკზე გიდევთ. ბუში იდიოტია და არც დაინტერესდება ქართული კულტურით, მაგრამ მისი მეუღლე დახვეწილი ქალბატონია და სად წახვალთ უცებ ფიროსმანის ნახვა რომ მოინდომოს?!"

ამელინის თქმით, მოსკოვში ბუშის ვიზიტისთვის ასე არ ემზადებიან. თანაც იქ ყველაფერი დიდი ხნის შეღებილი და გარემონტებულია, რადგან რუსეთი მდიდარი ქვეყანაა. მისი სიმდიდრე კი იმ სასარგებლო წიაღისეულშია, რომელიც რუსეთის უკიდეგანო სივრცეებშია დაუნჯებული. თუმცა აქვე ქართული ღვინო, ბორჯომი და კონიაკი ახსენდება და ზედ ქართველების ინტელექტუალურ მარაგსაც ადებს. ამით, ალბათ, გვაიმედებს, რომ ოდესმე ჩვენც გავმდიდრდებით.

დანარჩენი სტუმრების მსგავსად, არც მაქსიმ ამელინს აშინებს ის, რომ ქართველებისთვის Russian Страшен. ცუდი რა გაგიკეთეთ? უკვირს პოეტს და ქართველებისა და რუსების საუკუნოვანი ძმობიდან რამდენიმე თხრობითი ეპიზოდი მოჰყავს. მათი უმეტესობა რომანტიკული ხასიათისაა და ნაკლებად შეიცავს პოლიტიკურ ასპექტებს.

"ბუში რომ ჩამოვა, ნეტა ის რა სიკეთეს მოგიტანთ. ამერიკელებისგან ჯერ არავის უხეირია. არასდროს! მხოლოდ ომი და მახვილის ზურგში ჩაცემა იციან. ომის გაკვეთილები ყველამ მათგან უნდა მიიღონ და არა ჩვენგან! მეორე მსოფლიო ომშიც მხოლოდ მაშინ ჩაებნენ, როცა საბჭოთა კავშირს უკვე მოგებული ჰქონდა. მართალია, მას შემდეგ 60 წელი გავიდა, მაგრამ მენტალიტეტი არ შეუცვლიათ. გამზადებულზე უყვართ მოსვლა. მანეთს მოგცემენ და სამ დოლარს წაგართმევენ!" - ცხარობს მაქსიმ ამელინი.

არადა, ეს იმ კაცის სტუმარია, რომელიც სატელევიზიო ეთერით ამერიკისა და საქართველოს დროშების ფონზე გამოდის და თანამემამულეებს (განსაკუთრებით ყველა თუშს, რადგან ბუშს კარგად ერითმება) დილის 9 საათზე ოკეანისგაღმელი სტუმრის გასახვედრად ეპატიჟება.

ამელინს საკუთარი აზრი გააჩნია პუტინის შესახებაც. ალმოჩნდა, რომ მასზე საერთოდ არ ფიქრობს და მხოლოდ ადრე წერდა ათას სისაძაგლეს. მიაჩნია, რომ პუტინი და ბუში ტყუპი ძმებივით არიან და მხოლოდ სხვადასხვა კლანს წარმოადგენენ.

ბოლოს რუს პოეტს ქართველი კოლეგებიც ახსენდება და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს თანამედროვე ქართული პოეზიით აღფრთოვანებას. "ძალიან მომწონს ზაზა თვარაძის, გაგა ნახუცრიშვილის, შოთა იათაშვილის, ზვიად რატიანის შემოქმედება. ამ მხრივ, საქართველოშიც დაახლოებით ისეთივე პროცესები მიმდინარეობს, რაც რუსეთში, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ქართველი პოეტები კვლავ ვერ სცილდებიან სოციალურ თემატიკას. რუსი პოეტები კი არაფერზე არ წერენ - მხოლოდ პოეზიის შექმნით არიან დაკავებულნი", - ამბობს ამელინი.

სტუმრები თბილისიდან 7 მაისს მიაემგზავრებიან და თან ქართული სუფრის, ბუშის ვერნახვისა და იატაკზე მიგდებული ფიროსმანის დარდი მიაქვთ.

# კინოპროექტები "პარამაუნტისგან"

"ჰოლივუდ რეფორთერის" ცნობით, სკოტ ფიცჯერალდის რომანი "ბენჯამინ ბატონის უცნაური შემთხვევა" მალე ფილმად იქცევა. ნაწარმოების კინოვერსიაში მონაწილეობას ბრედ პიტი და კეიტ ბლანშეტი მიიღებენ. პიტის გმირი ერთი უცნაური კაცია, რომელიც დროის სვლასთან ერთად ახალგაზრდავდება და 50 წლის ასაკში 30 წლის ქალი უყვარდება.

ფილმს კინოსტუდია "ფარამაუნთ/უორნერ ბროსი" იღებს. რეჟისორი დევიდ ფინჩერი იქნება. ის პიტთან ერთად მუშაობდა სურათზე "შვიდი".

რაც შეეხება პიტსა და ბლანშეტს, ისინი "პარამაუნტის" კიდევ ერთ პროექტზე მუშაობენ ერთად. სურათს "ბაბილონი" ალეხანდრო გონსალეს ინარიტუ იღებს. სწორედ ის მექსიკელი ინარიტუ, რომელმაც ჯერ ფილმით Amores Perros-ით გაითქვა სა-



კეიტ ბლანშეტი

ხელი, მერე უკვე საქვეყნოდ აღიარებული "21 გრამით", მერე 11 სექტემბრის თემაზე 11-11 წუთიანი ეპიზოდისგან შემდგარ ფილმში მიიღო მონაწილეობა და ახლა "ბაბილონს" იღებს.

ფილმი სავარაუდოდ ეკრანზე 2006 წელს გამოვა. თუმცა, ბრედ პიტს მისი ფანები ამ ზაფხულსაც იხილავენ. სურათი "ქალბატონი და ბატონი სმიტები" დიდ ეკრანზე 10 ივნისს გამოვა. სურათში პიტს ანჯელინა ჯოლი უწევს პარტნიორობას. მათ რომანზე კი, როგორც ვიცით, ყვითელი პრესა უკვე დიდი ხანია, ჭორაობს.

ცალკე პროექტები აქვს კეიტ ბლანშეტსაც. სკოტ ფიცჯერალდის რომანის კინოეკრანიზაციის გარდა ის ითამაშებს ფილმშიც "კარგი გერმანელი", პარტნიორობას კი ჯორჯ ქლუნი და ტობი მაგუაიერი გაუწევენ.

# ჩიტი სივრცეში

ოთხშაბათს ნიუ იორკში "კრისტის" აუქციონზე კონსტანტინ ბრანკუზის ქანდაკებამ ყველანაირი რეკორდი მოხსნა. მცირე ზომის სკულპტურა "ჩიტი სივრცეში" 27 მილიონ 456 ათას დოლარად გაიყიდა. ქანდაკებაში მსგავსი სიდიდის თანხა აუქციონების ისტორიაში არავის გადაუხდია.

"ჩიტი სივრცეში" მარმარილოს ქანდაკებაა, რომელზეც ზეცაში აჭრილი ჩიტია გამოსახული. მისი ახალი მფლობელი ანონიმია. ასე რომ, ჯერჯერობით, უცნობია, სად დაიდებს ბინას ბრანკუზის შესანიშნავი აბსტრაქტული ქმნილება.

საინტერესოა, რომ წინა რეკორდსაც იმავე ავტორის ნაწარმოები ფლობს. 2002 წლის მაისში 18.1 მილიონ დოლარად ბრანკუზის "დანაიდე" გაიყიდა.

"ჩიტი სივრცეში" კი 1937 წლიდან მოყოლებული ერთ კერძო კოლექციაში ინახებოდა. უფრო სწორად, ეს ნაწარმოები სარდაფში იდო და მისი იდენტიფიცირება გაყიდვამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მოხდა.

121 სმ. სიმაღლის მარმარილოს სკულპტურა რუმინელმა სკულპტორმა 1923 წელს შექმნა.



ბრანკუზის ჩიტი

ბრანკუზი, რომელიც თანამედროვე სკულპტურის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება, წარმოშობით რუმინელია, მაგრამ იმდენ ხანს ცხოვრობდა პარიზში, რომ მას უბრალოდ პარიზელად იცნობენ. ლონდონში კი ტეიტის თანამედროვე ხელოვნების გალერეამ შარშან მას გრანდიოზული გამოფენა უძღვნა.

რაც შეეხება ნიუ იორკსა და აუქციონების სეზონს, "კრისტიმ" იმავე, ოთხშაბათის აუქციონზე კიდევ რამდენიმე ცნობილი ექსპონატი გაყიდა: პაბლო პიკასოს ნეოკლასიკური ნახატი Tete et Main de Femme - 13.4 მილიონ დოლარად; და პოლ სეზანის Les Grands Arbres au Jas de Bouffan - 11.8 მილიონ დოლარად. მთელი აუქციონის შემოსავალიც 1990 წლის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო, საერთო თანხამ 142,892,800 დოლარს მიაღწია. ცნობილი აუქციონის სახლის საპატიო თავმჯდომარე კრისტოფერ ბერგიც ამიტომ ძალიან კმაყოფილი ჩანდა: "დიდებული საღამო იყო, ჩვენი ექსპონატი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიყიდა".

უნდა ითქვას, რომ ოთხშაბათის ეს დიდებული საღამო მხოლოდ გაგრძელება იყო. მანამდე ერთი დღით ადრე, აუქციონების საგაზაფხულო აღმასვლა "სოტბიმ" დაიწყო და გასაყიდად იმპრესიონისტებისა და თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები გამოიტანა. მართალია, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ - როგორც უკვე მოგახსენებდით, ვასილი კანდინსკის ტილო არ გაიყიდა, მაგრამ სამაგიეროდ იყო რამდენიმე სასიამოვნო სიურპრიზიც - ბეკმანის ავტოპორტრეტი, რომელიც 10 მილიონ დოლარად იყო შეფასებული 16,816,000 დოლარად იყიდა ანონიმმა კოლექციონერმა. თუმცა, ყველაზე დიდ ლოტად იმავე აუქციონზე პიკასოს ტილო Algiers ითვლებოდა. ის დაახლოებით 19 მილიონ დოლარად გაიყიდა.

საბოლოო ჯამში, "სოტბის" სამშაბათის აუქციონი 91,294,400 დოლარის საერთო შემოსავლით დასრულდა. მართალია, ელოდნენ 127 მილიონ დოლარს, მაგრამ კანდისკის გარდა, 65 გასაყიდად გატანილი ლოტიდან ხომ ოცი დარჩა ახალი მფლობელის გარეშე.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ბუში გფარავდეს, ქართველო ერო



**1.** "9 მაისს, საღამოს 9 საათზე, იხილავთ მას, სულსა გარდმომავალსა და დადგრომილსა მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ გვცეს სულითა წმიდითა, რამეთუ იგი არს ჩვენი მხსნელი - ჯორჯ ბუში" - აი, ეს მაკლია იმ შესანიშნავ რეკლამათა კასკადში, რომელმაც დამიპყრო მე, დაიპყრო სრულიად საქართველოს სრულიად ყველა მოქალაქის გონება, სული და სხეული. და ვიცი, რომ მალე, ძალიან მალე აღსრულდება დღე იგი, როდესაც ის, თავად ის, მოვა ჩვენსა და გვეტყვის, "გამარჯობა, ქართველო ერო". "გამარჯობა, ჯორჯ ბუშო", - მუხლს მოვიდრეკთ მის წინაშე და ვეტყვით: "გზა არს დალოცვილი შენი ჩვენი გავლით ირანისკენ, და ამ დალოცვილ გზაზედ კურთხეულ არს ნაბიჯი ყოველი შენი, შენი წმინდათა წმინდა ფეხუცებით". ასე მივუგებთ უფალ დირექტორს, როდესაც ეწვევა ჩვენს წმინდა მიწას. ოჰ, რაოდენ დიდია სიხარული ჩვენი, რაოდენ ძლიერია სიყვარული ჩვენი. მიხარია მე და უხარია ქართველ ხალხს და არა არს ვინმე სულიერი, რომ არ უხაროდეს. რამდენი ხანია მის ჩამოსვლას ელის ყოველი ჩვენგანი, ქვეყნის ფარისეველთა და მწიგნობართა წინამძღოლი, მონა იგი შალვაი ნათელაშვილიც კი 200 წელია მის მოლოდინში არს, ამიტომ ერთიანი და ერთსულოვანია ერი და ბერი, ერთი მუშტივით შეკრული მოელის ყველა, ბალღი თუ უხუცესი, ყველანი ერთად დავდგებით 10 მაისს თავისუფლების მოედანზედ და ვიტყვით: "ჯორჯიის მამაო ჯორჯო, რომელი ხარ მიწასა ზედა, მოხვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი"....

მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ერთად ვდგავართ და ველით, არ შემიძლია არ ვთქვა - არ მომწონს და უკმაყოფილებას ვერ ვმალავ მოსამზადებელი სამუშაოებისა და წინა დასახვედრი სარეკლამო რგოლების მიმართ. არ შეიძლება ასეთი მდორე, ყოველგვარ პათოსს მოკლებული, უფერული სიხარული, ეს ხომ პირველად ხდება და ისიც ჩვენს დროში, ჩვენ მოვესწარით ამ დიდებულ დღეს, ჩვენ ვნახავთ მას რეალურ დროსა და რეალურ სივრცეში (მერიის წინ). პირველი: არ გამიგია, თუ გამოცხადდა სასწრაფო დახმარების მანქანების მობილიზაცია. მაიკლ ჯექსონის კონცერტიდან რომ გაჰყავდათ გულწასული მოქალაქეები, ჩვენთანაც დაკარგავს გონებას მრავალი ეგზალტირებული მხევალი და რა პასუხს გავცემთ, მზად არ ვიყავითო? მეორე: საკმარისი არ არის ჭეშმარიტი ინტელიგენციის წარმომადგენელთა, კმაყოფილებითა და სიამაყით აღსავსე მოღვაწეთა სატელევიზიო გამოსვლები, არ შეიძლება, ხალხნო, უბრალოდ გვიხაროდეს ეს "გამოცხადება" და მხოლოდ კმაყოფილი ტონით გამოვხატავდეთ ამას, იქნებ სატელევიზიო მახარობელნი ვაცეკვოთ ცოტა, ვამღეროთ ან თუნდაც იხავლონ, ესეც ხომ უსაზღვრო ბედნიერების გამოხატვის ყველაზე გულწრფელი ფორმაა. მესამე: ეს ბილბორდები რაღაა?! კატეგორიულად მოვითხოვ, დაადგით მამასა ჩვენსა ჯორჯსა ნათელი თავზედ! შემოარტყით წელზედ პრეზიდენტსა ჩვენსა აქლემის ტყავის სარტყელი! რას ჰგავს ეს, მხოლოდ ვარდი საკმარისი რომ არ არის, ეს არ იციან მამისა ჩვენისა ბუშის დამხვედრთა შტაბში?! გული მეკუმშება, როდესაც ვფიქრობ, რომ შესაძლებელია უკმაყოფილო დარჩეს მამა ჩვენი ამ უმსგავსო ბილბორდების ხილვით, იმედი მაქვს, ტელევიზორის ყურების დრო არ ექნება და იმ სარეკლამო რგოლებსაც ვერ ნახავს, ვინმე ბრეჟნევის ჩამოსვლას რომ აგონებს ხალხს, წყეულიმც იყოს ლეონიდ ილიჩი, რომელმაც სულ ტუჩებში ჩაკოცნა ქართველი ნაღები ინტელიგენცია და რა დაგვიტოვა?! განა მეტი არ ეკუთვნის სამყაროს მფლობელს, მამასა ჩვენსა და არა მხოლოდ ჩვენსა. რომ გაბრაზდეს და ჩემი ცოდვების გატანება ვერ მოვასწრო, რას მიპასუხებს ამაზე ბუშის მომლოდინეთა შტაბი?!

**2.** მაგრამ ვიდრე მოვა მამა ჩვენი მიწასა ჩვენსა ზედა, კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი გვაქვს. ზუსტად ერთი წლის წინ განვდევნეთ სატანა იგი, რომელსაც სურდა, მოეგლიჯა პირმშო იგი დედისა ძუძუსა მისსა. არ მინდა ზედმეტად კრიტიკული ვიყო და ამ შემთხვევაში უნდა აღვნიშნო, რომ სატელევიზიო სარეკლამო რგოლებს სრულყოფილებამდე სულ ერთი-ორი მტკაველი აკლია. მსიამოვნებს და გულზე მალამოდ მედება ინკოგნიტო დიქტორის ხმა რომ ჩამესმის; რა პათოსი, რა დრამატიზმი, რა გრძნობაა ჩაქსოვილი ამ თითქოს პატარა ტექსტში, რომელიც პატარა კორექტივებს საჭიროებს და თითქოს მისთვის (დიქტორისთვის) არის შექმნილი. კორექტივები კი ასეთია: 1. დედა სამშობლოს მაგივრად დედის ძუძუ მეტად დაამშვენებდა ამ იუბილესადმი მიძღვნილ წმინდა სიტყვებს. 2. თავდაპირველად უფრო აქტიურად მოჩანდა ჩვენი ქვეყნის მონო მესია, შემდეგ კლიპმა სახე იცვალა და მაკლია, მაკლია მისი გაბრწყინებული იერი, მოკუნტრუშე ჰაბიტუსი და სინათლე, რომელიც მას მუდამ თან სდევს. რატომ გაიპარა ასეთი ლაფსუსი, არ ვიცი?! ამ პატარა, მაგრამ დიდი სულის მქონე მარგალიტებს, რომელიც მიმოფანტულია ქართულ მედიასივრცეში, ჩვენი ეროვნული გმირის ზაზა შენგელიას ხელწერა ატყვია. ნეტავ თუ ის არის მათი ჭეშმარიტი ავტორი? რომელმა ფარისეველმა გაბედა და ამოჭრა "მიქაელ მთავარანგელოზის" (მიხეილ სააკაშვილის) გამარჯვების კადრები. ტკბილი მოგონებისთვის ის კადრებიც მაკლია, ხელებს რომ აჭყუმპალავებდა შავ ზღვაში და ზღვა უმალ რომ გათეთრდა, მე ეს დავინახე! თქვენ არა? 3. თითქმის სრულყოფილ, აღმატებულ ტექსტში (როგორც ერთმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა ბრძანა), ამ პატარა დეტალებსაც შევიტანდი: ...2004 წლის შემდეგ აღარ წვიმს აჭარაში, აღარ ღელავს ზღვა აჭარაში, აღარ ასხივებს რადიაციას მცხუნვარე მზე აჭარაში, შეზლონგებსა და ქოლგებს უფასოდ გახვედრებთ ახალი მთავრობა აჭარაში, ის წვეტიანი და მწარე კენჭები, რომელიც სატანის მოციქულებმა დაგვიტოვეს, ახალმა ხელისუფლებამ სათითაოდ დააბრტყელა, დაარბილა და აღარ გატკენთ ფეხისგულებს აჭარაში! აი, ასეთია დღეს აჭარა, აჭარა დედის რძესავით ტკბილი.

**დაბოლოს**. ახლა მრავალი მწიგნობარი იტყვის - ავტორიტარული სახელმწიფოო, ტყუილიო, ფარსიო, კერპთაყვანისცემაო და, ვინ იცის, რას არ დაგვწამებენ, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთხელ და კიდევ მრავალჯერ - **გავიმარჯვებთ**, ასე მოკლედ გიპასუხებთ მე!

**P.S.** ბოლოს მინდა ბოდიში მოვუხადო ყველას, ვინც მომავალ პარასკევს ჩემს ალტაცებულ შთაბეჭდილებებს დაელოდება. სხვადასხვა საპატიო მიზეზთა გამო (თუმცა, ეს ჩემს დანაშაულს არ ამსუბუქებს) ამ წმინდა დღეს, 9-10 მაისს, ამ წმინდა მიწის დატოვება მიწევს. ვერც ნამდვილ მესიას ვნახავ, ვერც ჩემს ცოდვებს გავატან და, აქედან გამომდინარე, ვერც ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებას მოგახსენებთ ამ ჭეშმარიტ დღესასწაულთან დაკავშირებით. ბუშმა დაიფაროს ყველა მისი პოტენციური მომლოდინე და ღმერთმა დაგიფაროთ თქვენ.

ფეხბურთი

# ალან შირერი - ლეგენდარული გოლეადორი

**ალან შირერი**

**დაიბადა** 1970 წლის 13 აგვისტოს თავდამსხმელი
**სიმაღლე:** 183სმ
**წონა:** 79კგ
**კლუბები:** "საუთჰემპტონი" (საუთჰემპტონი, ინგლისი, 1988-1992), "ბლექბერნ როვერსი" (ბლექბერნი, ინგლისი, 1992-1996), "ნიუკასლ იუნაიტედი" (ნიუკასლი, ინგლისი, 1996)
**ტიტულები:** ინგლისის ჩემპიონი - 1995, ინგლისის ვიცე-ჩემპიონი - 1994, 1997, ინგლისის თასის ფინალისტი - 1998, 1999, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი (ჟურნალისტთა ვერსია) - 1994, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი (ფეხბურთელთა ვერსია) - 1995, 1997, ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 1995 (34 გოლი), 1996 (31 გოლი), 1997 (25 გოლი), ინგლისის პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელი - 1994 (ნოემბერი), 1998 (სექტემბერი), ინგლისის პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრების წევრი - 1993, 1994, 1995, 1996, 1997, ინგლისის პრემიერლიგის დიდების დარბაზის წევრი - 1995, მსოფლიოს მესამე საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფა) - 1997, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 1996 (5 გოლი).
ინგლისის ნაკრებში ჩატარებულ 63 მატჩში გაიტანა 30 გოლი.
პირველი ფეხბურთელი, რომელმაც პრემიერლიგაში ორასი გოლი გაიტანა. პირველი, რომელმაც პრემიერლიგის ორ სხვადასხვა კლუბში გაიტანა ას-ასი გოლი. პირველი, რომელმაც პრემიერლიგაში ზედიზედ სამი სეზონის მანძილზე ოცდაათზე მეტი გოლი გაიტანა. პირველი, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიგო პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული. პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი - დღესდღეობით მის ანგარიშზე 250 გოლია. "ნიუკასლ იუნაიტედის" ისტორიაში რიგით მეორე საუკეთესო ბომბარდირი (თასი და ჩემპიონატი) - 169 გოლი. "ნიუკასლ იუნაიტედის" ისტორიაში რიგით მეორე საუკეთესო ბომბარდირი (ჩემპიონატი) - 167 გოლი.

ინგლისურ ფეხბურთს არაერთი ჩინებული თავდამსხმელი ახსოვს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? დიქსი დინი, ჯეფრი ჰერსტი, ბობი ჩარლტონი, ჯიმი გრივსი, გარი ლინეკერი...

"ნიუკასლ იუნაიტედის" ლიდერი ალან შირერი თამამად შეგვიძლია მათი გზის გამგრძელებლად ჩავთვალოთ - 34 წლის თავდამსხმელი ჩინებულ ფორმაშია და პრემიერლიგის, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ლიგის საუკეთესო თავდამსხმელთა შორისაა.

ალან შირერი პრემიერლიგის რამდენიმეგზის რეკორდსმენია: ზედიზედ სამჯერ გახდა ლიგის ბომბარდირი, პირველია, რომელმაც პრემიერლიგაში 100 და 200 გოლი გაიტანა, ასევე პირველია, რომელმაც ორ კლუბში მოახერხა ჩემპიონატში ასი და მეტი გოლი შეგდება. თანამფლობელია შედეგიანობის რეკორდისა - ერთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. ორჯერ, 1992 და 1996 წლებში, მისი ტრანსფერი ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო გახლდათ...

ერთი სიტყვით, შირერი გამორჩეული თავდამსხმელია. ისაა გოლეადორი, რომლის დარი იშვიათად იბადება.

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ინგლისურ პრესაში რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა.

**- პირველი, რაც გვაინტერესებს, ესაა: რატომ გადაწყვიტეთ კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივება?**

- უბრალო მიზეზის გამო: ვგრძნობ, რომ ჩინებულ ფორმაში ვარ და კლუბის დახმარებას, გულშემატკივრების გახარებას კვლავაც მოვახერხებ. "ნიუკასლ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ კარგი პირობები შემომთავაზა და მეც დავრჩი. განა რამე სჯობს საყვარელ კლუბში თამაშს? დამეთანხმებით, არაფერი.

**- არადა, სეზონის წინ განაცხადეთ, რომ კლუბს ივლისში დაემშვიდობებოდით...**

- ეს იყო აგვისტოში, მერე კი გადავიფიქრე. ეს არის და ეს.

**- თქვენი აზრით, ახლახან ხელმოწერილი კონტრაქტი საბოლოოა?**

- მგონი, ასეა. ასაკის გათვალისწინებით, სულ უფრო ხშირად ვფიქრობ დასასრულზე და მინდა, ფეხბურთს კარგად გამოვეთხოვო, გულშემატკივრებს ძლიერ ფორვარდად დავემშვიდობო. ნამდვილად ვერ ავიტან ქომაგების სტვენას. თუ ვიგრძენი, რომ ძველებურად ველარ ვთამაშობ ან ტრავმებმა გამტანჯა, აუცილებლად წავალ.

**- 1996 წელს "ბლექბერნ როვერსი" დატოვეთ და "ნიუკასლ იუნაიტედში" გადახვედით. პირველ კლუბში ინგლისის ჩემპიონი გახდით, "სენტ-ჯეიმსიზ პარკზე" კი ჯერ ჯილდო რაა, ის ვერ მოგიგიათ. გული ხომ არ გწყდებათ?**

- არა, არავითარ შემთხვევაში. როცა აქეთ მოვდიოდი, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, რომ რაიმე ტიტულს აუცილებლად მოვიგებდი - იმ დროს "ნიუკასლ იუნაიტედი" ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მას შემდეგ ჩვენი საქმე უკან წავიდა. მიუხედავად ამისა, გული არ გამტეხია - "ნიუკასლ იუნაიტედში" თამაშზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი და მას შემდეგ, რაც ოცნება ავისრულე, სულ ბედნიერი ვარ! ეგეც არ იყოს, ნიუკასლში გადმოსვლა კევინ კიგანმა შემომთავაზა, მასთან მუშაობა კი ყოველთვის გულით მინდოდა. სხვათა შორის, 1997 წელს ჩვენ ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ არ გაგვიმართლა...

**- უცნაურია, თქვენი ტრანსფერიდან თითქმის ათი წელი გავიდა, "ბლექბერნ როვერსის" გულშემატკივრები კი ხშირ შემთხვევაში ისევ სტვენით გხვდებიან...**

- ასეთები ცოტანი არიან. იცით, როცა კლუბს ვტოვებდი, ქომაგები მეხმიანებოდნენ და მთხოვდნენ წავსულიყავი სადაც მინდოდა, ოღონდ არა "მანჩესტერ იუნაიტედში". დაიჯერებთ? მართლა ასე იყო.

**- სხვათა შორის, ოლდტრაფორდელებს თქვენი შეძენა მართლაც სურდათ...**

- ამის შესახებ მხოლოდ პრესაში ითქვა, ჩემთან კი არავინ მოსულა. თუ ფერგიუსონს ჩემი გადაბირება უნდოდა, შემეხმიანებოდა კიდეც.

**- "მანჩესტერ იუნაიტედს" კონტრაქტი რომ შემოეთავაზებინა, რას იზამდით?**

- მაინც "ნიუკასლ იუნაიტედს" ავირჩევდი. დღევანდელი გადასახედიდან ეგებ შეცდომა დამეშვა, ტიტულების მოგების შანსს ხელიდან გავუშვებდი, მაგრამ ჯილდოები აქაურობის სიყვარულთან, მერწმუნეთ, არაფერია.

**- თქვენი გადასვლის შემდეგ "ნიუკასლ იუნაიტედის" გულშემატკივრებს ჯილდოების მოგების იმედი მიეცათ. ისინი ხომ წლობით ოცნებობდნენ ამაზე!**

- დამიჯერეთ, უფრო ნაკლებად, ვიდრე მე. ვფიქრობ, არ ღირს ამისგან ტრაგედიის შექმნა - მთავარია, რომ ქომაგებში კლუბის სიყვარული არ განელებულა. თუ ჩვენმა თაობამ ვერ მოახერხა გამარჯვება, მერწმუნეთ, მოვა დრო და "ნიუკასლ იუნაიტედიც" ისეთივე ძლიერი იქნება, როგორც "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" ან, გნებავთ, "ჩელსი".

**- მოდით, თქვენი კარიერის დასაწყისი გავიხსენოთ: 1988 წლის 5 აპრილს, ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში "არსენალს" სამი გოლი გაუტანეთ...**

- ის თამაში ჩემთვის დაუვიწყარია! მეორე დღეს ყველა გაზეთი ჩემზე წერდა. სხვათა შორის, რამდენიმე გაზეთის გარეკანი შინ, ჩარჩოში ჩასმული კედელზე დავკიდე. მერე აღმოვაჩინე, რომ ინგლისის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გავხდი, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა. თანაც, სადებიუტო მატჩი იყო! უზომოდ ბედნიერი ვიყავი!

**- "საუთჰემპტონი" თქვენი პირველი კლუბი იყო...**

- და ძალიანაც კარგი. მწვრთნელები თამაშის საშუალებას მაძლევდნენ და მეც ყველანაირად ვცდილობდი თავის გამოჩენას. ახლა რომ ვუკვირდები, ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა - "საუთჰემპტონში" ფსიქოლოგიურ ზეწოლას არ განვიცდიდი, ახალგაზრდა, დამწყები მოთამაშისთვის კი ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კარგ თავდამსხმელად ჩამოყალიბებაში ამ კლუბში გატარებული წლები ძალიან დამეხმარა!

**- ინგლისის ნაკრებში თქვენ სწორედ "საუთჰემპტონში" თამაშისას მიგიწვიეს - 1992 წლის 19 თებერვალს ფრანგების წინააღმდეგ.**

- მას შემდეგ ყოველთვის უზომოდ ბედნიერი ვიყავი, როცა ქვეყნის პირველ გუნდში მეძახდნენ. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ ნაკრებში აშკარად მეტის მიღწევის შანსი მქონდა.

**- 1992 წლის ზაფხულში "ბლექბერნ როვერსმა" თქვენს სანაცვლოდ 3,6 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ეს კი ბრიტანული რეკორდი გახლდათ. ფასმა ხომ არ შეგაშინათ?**

- ტრანსფერის ღირებულებას არასდროს არ ვაქცევ ყურადღებას. რა თქმა უნდა, მესიამოვნა, ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშე რომ გავხდი, მაგრამ წამით არ მიფიქრია, ამის გამო თამაში გამიჭირდება-მეთქი. "ბლექბერნ როვერსში" ძალიან კარგად შემხვდნენ, ყველა პირობა შემიქმნეს პროგრესისთვის და მეც მეტი არაფერი მინდოდა. პირველივე სეზონში პირადი რეკორდი გავაუმჯობესე - ჩემპიონატში 16 გოლი გავიტანე. ამან საკუთარ ძალებში დამარწმუნა და მომდევნო წლებში უფრო შედეგიანად ვთამაშობდი.

**- "ბლექბერნ როვერსში" ზედიზედ სამი სეზონის მანძილზე ოცდაათზე მეტი გოლი გაგქონდათ, ეს კი პრემიერლიგის დღემდე არსებული რეკორდია. ერთიც - 1995 წელს ჩემპიონატში 34 გოლი შეაგდეთ, რაც ასევე საუკეთესო მიღწევაა. ნუთუ ყოველივე ამის გათვალისწინებით მაინც გინდოდათ კლუბის დატოვება?**

- ხომ გითხარით, წინადადება მივიღე ჩემი ოცნების გუნდისგან და სწორედ ამიტომ დავტოვე "ბლექბერნ როვერსი". სხვა მხრივ კლუბში თავს ბედნიერად გრძნობდი. სხვათა შორის, კრის სატონს, რომელიც "ბლექბერნ როვერსის" თავდასხმაში ჩემთან ერთად თამაშობდა, დღემდე საუკეთესო პარტნიორად ვთვლი.

**- 1994-95 წლების სეზონში ინგლისის ჩემპიონი გახდით. იყო თუ არა ეს ახდენილი ოცნება?**

- რა თქმა უნდა! ჩემპიონობაზე ვინ არ ოცნებობს? უზომოდ ბედნიერები ვიყავით და, რაც მთავარია, "მანჩესტერ იუნაიტედზე" ჯავრი ვიყარეთ - წინა სეზონში მათ გვაჯობეს. კლუბის ხელმძღვანელობას ჩემპიონობის შემდეგ მეტზე რომ ეფიქრა, დარწმუნებული ვარ, "ბლექბერნ როვერსი" მხოლოდ ერთი ჩემპიონატის მოგებით არ შემოიფარგლებოდა.

**- 1996 წლის ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, "ნიუკასლ იუნაიტედმა" "ბლექბერნ როვერსის" საბანკო ანგარიში 15 მილიონი გირვანქით შეავსო და პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი თავის რიგებში ჩარიცხა. კიდევ ერთი ბრიტანული სატრანსფერო რეკორდი...**

- იმ დღეებში გერმანელებთან წაგებულ ნახევარფინალზე უფრო ვფიქრობდი, ვიდრე ტრანსფერზე. ჩვენ შეგვეძლო ევროპის ჩემპიონატის მოგება, მაგრამ... ამ ტრაგედიის გადატანაში "ნიუკასლ იუნაიტედში" გადასვლა ძალიან დამეხმარა.

**- თქვენი ოცნების გუნდში სადებიუტო სეზონში ჩემპიონობის ბრწყინვალე შანსი ხელიდან გაუშვით - "მანჩესტერ იუნაიტედმა" სეზონის მიწურულს გაჯობათ...**

- დღემდე ვარ ამიხსნია, რა დაგვემართა. მგონი, ნაადრევად მოვეშვით - ბოლო ტურებში ოლდტრაფორდელებს თორმეტი ქულითაც ვუსწრებდით, მაგრამ... სიმართლე გითხრათ, ამ წაგებაზე მეტად 1998 და 1999 წლების თასის ფინალში მარცხმა დამწყვიტა გული. უფრო მეტად რომ მოგვენდომებინა, ორივე შემთხვევაში თასს მოვიგებდით.

**- 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს გამოეთხოვეთ, არადა, ჩინებულ ფორმაში იყავით. რატომ გადადგით ეს ნაბიჯი?**

- ბელგია-ჰოლანდიაში ჯგუფიდან ვერ გავაღწიეთ და ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. სამშობლოში დაბრუნებული, დათრგუნული ვიყავი და სწორედ იმ დღეებში გადავწყვიტე ნაკრებიდან წასვლა. თანაც, მაიკლ ოუენის შემხედვარე, მივხვდი, რომ ქვეყნის პირველ გუნდს უჩემოდ არ გაუჭირდებოდა...

**- 2001 და 2002 წლებში თქვენთვის არაერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: 2001 წელს დედოფალმა ელიზაბეტმა ბრიტანეთის იმპერიის რაინდის ორდენით გადაჯილდოვათ, 27 ნოემბერს ლიგის თასზე კი, "ნიუკასლ იუნაიტედში" საიუბილეო, მეასე გოლი გაიტანეთ. 2002 წლის 20 აპრილს, "ჩარლტონთან" მატჩში, პრემიერლიგაში მეორასე გოლი შეაგდეთ, 19 ოქტომბერს, "ბლექბერნ როვერსის" კარში საკლუბო კარიერაში მესამასე გოლი გაიტანეთ. იმავე წლის 23 ნოემბერს, ამჯერად უკვე "ნიუკასლ იუნაიტედის" შემადგენლობაში, შეაგდეთ მეასე გოლი პრემიერლიგაში...**

- სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი აღარც მახსოვდა... ახლა მხოლოდ ის მახსენდება, რომ იმ დღეებში ნაკრებში დაბრუნებაც შემომთავაზეს, მაგრამ აზრი ვერ შემაცვლევინეს.

**- ასეთი მიღწევების შემდეგ კარიერის მშვიდად დასრულებაც შეიძლება. საინტერესოა, რას გეგმავთ?**

- დღესდღეობით კვირაში ერთხელ შვეიცარიაში დავფრინავ და სამწვრთნელო კურსებს ვესწრები. ვიცი, უფეხბურთოდ ვერ გავძლებ და მწვრთნელის პროფესიას სწორედ ამიტომ ვეუფლები. წლების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, "ნიუკასლ იუნაიტედიც" გავწვრთნა. ახლო მომავალზე კი მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ახლახან ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-სთან გავაფორმე სამწლიანი ხელშეკრულება და ინგლისის ნაკრების მატჩებს ვუკეთებ კომენტარს.

**- დაბოლოს, გოლის აღნიშვნის თქვენეული სტილი ყველასგან გამორჩეულია. არასდროს გიფიქრიათ რიტუალის შეცვლა?**

- ერთხელ, ჯერ კიდევ "ბლექბერნ როვერსში" თამაშისას, გოლის გატანის შემდეგ რამდენჯერმე განვასახიერე რობინ ჰუდი - ვითომ მშვილდი მოვზიდე და ისარი მაყურებლებში ვისროლე, თუმცა, ვარჯიშებზე ამის გამო სულ დამცინოდნენ და მეც მსგავსი აღარაფერი გამიკეთებია... აღმართული ხელი კი, რა ვიცი, ალბათ, თავისით მოვიდა.



TV-სპორტი

## პარასკევი. 6 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 "2:1". ტოქშოუ
13:20 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
13:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "ჩარლტონი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
15:35 თავისუფალი დარტყმა
15:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "ფიორენტინა" - "მილანი"
17:35 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-8 ეტაპი. შედეგები
18:05 "FUTBOL MUNDIAL"
18:35 თავისუფალი დარტყმა
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "დინა". პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 "საფეხბურთო კლუბი"
21:05 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერსლაუტერნი" - "ბავარია"
22:50 თავისუფალი დარტყმა
23:05 "FUTBOL MUNDIAL"
23:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:30 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 20:30 პრესცენტრი
10:20, 20:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:30 ჩოგბურთი. "Masters Series" რომში
13:15 "მოტოვებული კვირა"
14:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
14:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
15:00 ტაილანდური კრივი
16:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
16:45 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2001 წელი. ფინალი. "NEW JERSEY DEVILS" - "COLORADO AVALANCHE". მე-5 მატჩი. შესვენებისას (18:30) - პრესცენტრი
19:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
20:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 ამერიკული ფეხბურთი - Pro Bowl-2005
23:30 "სპორტისიმო"
00:15 ახალი ამბები
00:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
11:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
14:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
21:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
21:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი
23:00 პოკერი. ევროპული ტურნირი მონაკოში. ფინალი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 თავგადასავალი. გაქცევა
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
03:15 ახალი ამბები

ფორმულა 1

# ბარელები გადაბარეს

ბიბა ბურასაშვილი

*ავსტრალიის, მალაიზიისა და ბაჰრეინის "დიდი პრიზების" შემდეგ "BAR-ჰონდას" საჯინიბომ ნავსი გატეხა და, წინა ეტაპებისგან განსხვავებით, "სან მარინოს დიდ პრიზზე" პირველ ჩასათვლელ ქულებს დაეპატრონა. ბრიტანელმა ჯენსონ ბატონმა "იმოლას" ტრასაზე თუ მესამე ადგილი დაიკავა, მისმა მეწყვილემ, იაპონელმა ტაკუმა სატომ მეხუთე შედეგით დაასრულა რბოლა, მაგრამ ბარელებს დიდხანს არ მოუხდათ ბრიტანელისა და იაპონელის ტანდემით მოპოვებული 10 ქულით ტკბობა - "BAR-ჰონდას" "იმოლაზე" მოპოვებული ქულები ჩამოაჭრეს! თუმცა, მათი დასჯა ამით არ ამოწურულა: ბატონსა და სატოს მოუწევთ "ესპანეთის დიდ პრიზსა" და 22 მაისს გასათამაშებელ "მონაკოს დიდ პრიზს" მაყურებელთა ტრიბუნებიდან უყურონ - ბარელები ორი ეტაპით მოიკვეთნენ ფორმულა 1-დან.*



*ბარელების საჯინიბო გუშინ ცნობისმოყვარეებს ვერ იტევდა.*

ყველაფერი კი ასე დაიწყო. ფორმულა 1-ის მოხელეებმა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, "BAR-ჰონდა" ყალთაბანდობის ბრალდებით მიმდინარე ჩემპიონატიდან გაეძევებინათ. შესაბამისი მოთხოვნა იმით იყო განპირობებული, რომ "იმოლაზე" (24 აპრილი) ჯენსონ ბატონის ბოლიდი დასაშვებ 600 კილოგრამზე ხუთი კილოგრამით მსუბუქი აღმოჩნდა.

"სან მარინოს დიდი პრიზის" დასრულებისთანავე განვითარებულ მოვლენებს თუ გავიხსენებთ, დაბნეულობასაც გამოვრიცხავთ და საქმის არსშიც გავერკვევით, ასე რომ...

ბატონის მანქანის რბოლის შემდგომმა სავალდებულო საკონტროლო აწონვამ, ბოლიდში დარჩენილი საწვავით, 606,1 კილოგრამი შეადგინა, ხოლო უსაწვავოდ 594,6 კგ. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) წესდებით კი ბოლიდის წონა დასაშვებ მინიმალურ ზღვარზე - 600 კილოგრამზე ნაკლები არ უნდა იყოს!

ერთი სიტყვით, სამეფო რბოლებში ვითარება დაიძაბა. ფია-მ ბარელების წინააღმდეგ საქმე აღძრა, საბოლოო ვერდიქტი კი გუშინ პარიზში საკასაციო სასამართლოზე უნდა გამოეტანათ...

წინასწარმეტყველებდნენ კიდეც, იმ შემთხვევაში, თუ ბარელებს ყალთაბანდობა დაუმტკიცდეათ, გუნდს ძალზე მკაცრი სასჯელი ელისო. საკითხის განხილვა და შესაბამისი განაჩენის გამოტანა საჯინიბოსთვის დიდი დარტყმა იქნებაო.

ფია-ს მიერ პარიზის საკასაციო სასამართლოში გავრცელებული განცხადება მკაცრი მოთხოვნებით იყო გაჯერებული. კერძოდ, ფია-ს მაღალჩინოსნები ითხოვდნენ არა მარტო დისკვალიფიკაციას, არამედ გუნდის, სულ ცოტა, მილიონი ევროთი დასჯასაც.

ერთნი ამბობდნენ, ბარელებისთვის ყველაზე მსუბუქი განაჩენი ბატონის მიერ სან მარინოში მოპოვებული ექვსი ქულის ჩამოჭრა იქნებაო. არადა, ჯერ კიდევ სეზონის წინ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი იმუქრებოდა, რომ ჩემპიონატიდან მოვკვეთთ ნებისმიერ გუნდს, რომელსაც მაქინაციებში ვამხელთო.

საგულისხმოა, რომ ასეთი შემთხვევები სამეფო რბოლებისთვის უცხო არაა. საკუთარი ბოლიდებისთვის აკრძალული წესებით უპირატესობის მინიჭების გამო 1984 წელს ჩემპიონატის დასრულებამდე სამრბოლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა "ტირელის" საჯინიბო, ხოლო 1995 წელს იგივე ბედი ეწიათ ტოიოტელებს.

ფია-ს სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ "BAR-ჰონდა" მეტოქეებზე უპირატესობის მოსაპოვებლად საწვავის "გადასამალად" ძირითად ავზში ჩაყენებულ ორ ავზს იყენებდა.

საქმე ისაა, რომ ბოლიდის შესაბამისად გამართვა საშუალებას იძლევა, მანქანა საწვავის აღებამდე ბოლო წრეებზე დასაშვებ მინიმალურ წონაზე მსუბუქი იყოს. ამასთან დაკავშირებით ერთნი იმასაც აცხადებდნენ, რომ ბარელები თითქმის ერთი წელიწადია, საიდუმლო დამატებითი ავზის წყალობით ბოლიდის წონით თამაშობდნენ, რაც მრბოლს საშუალებას აძლევდა, დაეზოგა საბურავები და მოეგო სიჩქარეში.

ერთი სიტყვით, ფია-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ოღონდ ნაწილობრივ. ბარელები 2005 წლის ჩემპიონატიდან გაძევებას გადაურჩნენ, მაგრამ იმის საფასურად, რომ ქულები ჩამოეჭრათ და ორრბოლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათთვის შემდგომ ეტაპზე, "ევროპის დიდ პრიზზე" (29 მაისი), ბატონი და სატო ჩემპიონატს უქულოდ განაახლებენ. აქედან გამომდინარე, "იმოლაზე" მოპოვებული ქულების გაუქმებამ "სან მარინოს" შედეგებში იძულებითი ცვლილებები გამოიწვია. მაკლარენელი ალექს ვურცი, რომელიც ხუან პაბლო მონტოიას ტრავმის გამო ჩასვეს კოკპიტში, მეოთხიდან მესამე ადგილამდე აღზევდა. შესაბამისად, თითო საფეხურით დაწინაურდნენ ზაუბერელი ჟაკ ვილნევი, ტოიოტელი იარნო ტრული, უილიამსელთა წყვილი ნიკ ჰაიდფელდი და მარკ უებერი და რედბულელი ვიტანტონიო ლუცი.

ფეხბურთი

# ჟირესის კომპეტენცია

## რატომ ჰგონიათ ჟირესი სუსტი რგოლი?

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალენ ჟირესის მიერ მოწვეული პრესკონფერენცია ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ეროვნული ნაკრები უახლოეს მატჩს 4 ივნისს ალბანეთში გამართავს. შესაბამისად, ჟირესს არც სავარაუდო შემადგენლობაზე ჰქონდა სასაუბრო, არც ამ მატჩისთვის მზადებაზე თუ საორგანიზაციო საკითხებზე. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჟირესს სათქმელი ნამდვილად ჰქონდა და ეს პირველ რიგში ეხებოდა იმ უსიამოვნო პიარკამპანიას, რომელიც მის წინააღმდეგ აგორდა. კერძოდ, ფედერაციის პრეზიდენტის ახლახან დაწყებული საარჩევნო კამპანიის კონტექსტში ზოგიერთმა კანდიდატმა საარჩევნო ქულების ჩასაწერად ჟირესის ავტორიტეტი არ დაინდო და მისი კომპეტენცია ეჭვქვეშ დააყენა.

"კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. თქვენ უკეთ იცით, ვინ არის ეს ხალხი. საწყენია, როდესაც კარგს არ ხედავენ და უხარიათ, როდესაც ცუდი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცუდი მათაც ეხებათ. მხედველობაში მაქვს საქართველოს ნაკრების ბოლო ორი წარუმატებელი მატჩი, რამაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების შანსი დაგვაკარგვინა. ეს ხალხი თავისი უარყოფითი და არაკომპეტენტური შეფასებით ქართულ ფეხბურთს, ეროვნულ ნაკრებს ცუდ სამსახურს უწევს", - გამოთქვა თავისი გულისტკივილი ჟირესმა.

ჩემთვისაც მოულოდნელია ჟირესის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია. მით უფრო მოულოდნელია, რომ მის მიმართ გამოთქმული მოსაზრებები ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ვლადიმერ გუცაევს ეკუთვნის. სხვათა შორის, ჟირესამდე გაცილებით ადრე საქართველოს ნაკრები საბერძნეთს სწორედ ვლადიმერ გუცაევის ხელმძღვანელობით დაუპირისპირდა. შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გუცაევის გამგებლობაში გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელები იყვნენ, ვიდრე ახლა ჰყავს ჟირესს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მაშინდელ საბერძნეთის ნაკრებს მსოფლიოში არავინ იცნობდა და არც ანგარიშს უწევდნენ. ბერძენთა დღევანდელი გუნდი კი ევროპის ჩემპიონია. ამის მიუხედავად, მაშინ საბერძნეთმა სამი უპასუხო გოლი გაუტანა გუცაევის გუნდს და კიდევ ერთი ამდენის გატანაც შეეძლო, თან ისე, რომ ჩვენებს შანსი თითქმის არ ჰქონიათ. ამას მოჰყვა დიდი ანგარიშით (1:4) მარცხი თბილისში, ნორვეგიასთან, რამაც გუცაევის სანაკრებო კარიერა შეიწირა და მის ნაცვლად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი მოიწვიეს. მაშინ გუცაევმა ერთგვარად აიცილა პასუხისმგებლობა და თქვა: დრო მოვა და ვიტყვი, რა სიბინძურეც ხდება ქართულ ფეხბურთშიო. როგორც ჩანს, ამის დრო ჯერ არ მოსულა. მისგან განსხვავებით, ჟირესი არ გაურბის პასუხისმგებლობას.

"არც მწვრთნელთა შტაბი, არც ფეხბურთელები არ გავურბივართ პასუხისმგებლობას. მე შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ვაცხადებდი, რომ ფინალურ ეტაპზე მოხვედრა იყო უძნელესი, თუმცა, არა შეუძლებელი. ამ სიტყვებთან ერთად, იმასაც ვამბობდი, რომ საქართველოზე უკეთესი შანსი აქვთ დანიის, უკრაინის, საბერძნეთისა და თურქეთის გუნდებს. ჩვენ დღეს წარმატების მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ჯერ წელიწადიც არ გასულა, რაც გუნდის შენება-ჩამოყალიბება დავიწყეთ. ეს დრო კი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ არცთუ მდიდარი რესურსებით კონკურენცია გაუწიო ისეთ ტრადიციულ გუნდებს, როგორებიც ჩვენს ქვეჯგუფში მოხვედრილი გუნდები არიან. წინ ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს. მე გული შემტკივა ქართულ ფეხბურთზე, საქართველოს ნაკრებზე და მთელ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას და შესაძლებლობებს ვახმარ ამ საქმეს", - აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.



ჟირესი: საწყენია, როდესაც კარგს არ ხედავენ და უხარიათ, როდესაც ცუდი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცუდი მათაც ეხებათ.

წაგება ყოველთვის უსიამოვნოა, მაგრამ ცოტათი უკან დავიხიოთ და შესარჩევი ციკლის სტარტი გავიხსენოთ. ორი ფრე - მსოფლიოს მესამე პრიზიორ თურქეთთან და დანიასთან. საქართველოს ნაკრების სხვა რომელ მწვრთნელს ჰქონია ასეთი შედეგი? შესაძლოა, ვინმემ მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტის, ბულგარეთის ძლევა გაიხსენოს, ან ფრე იტალიის თუ რუმინეთის ეროვნულ გუნდებთან, მაგრამ იმ შედეგებსა და ჟირესის შედეგს შორის იცით, რა სხვაობაა? ფრე იტალიასთან, ფრე რუმინეთთან და ბულგარეთის დამარცხება, ჯერ ერთი, სხვადასხვა შესარჩევ ციკლში იყო, ხოლო ჟირესი ერთ ციკლში აჩვენებს ამ შედეგებს. ამას გარდა, ის მატჩები იყო ციკლების ბოლო, საქართველოს ნაკრებისა და მისი მეტოქეებისთვის აბსოლუტურად არაფრის გადამწყვეტი შედეგები, ხოლო ჟირესმა ეს ქულები ტურნირის სტარტზე მოიპოვა.

"უნდა გავაანალიზოთ და აღარ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლებიც საბერძნეთთან და თურქეთთან დავუშვით. უპირველეს ხარვეზად ამ მატჩების წინ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა არასათანადო ფსიქოლოგიური მზადყოფნა მიმაჩნია. წინა, წარმატებულმა შეხვედრებმა ერთგვარად ცუდი სამსახურიც კი გაგვიწია. გუნდი ბერძნებთან სათამაშოდ ზედმეტად თავდაჯერებული გამოვიდა და იმ სულისკვეთებით არ იყო საბრძოლოდ განწყობილი, როგორც, თუნდაც, ციკლის პირველ მატჩებში. ამას დაერთო რამდენიმე ფეხბურთელის ტრავმა, მაღრაძის პრობლემა. ცუდი კალენდრის მიზეზად მოტანა არც მე მიმაჩნია სწორად, თუმცა, იმ ფაქტმა, რომ ჯგუფის ორ ფავორიტს ოთხდღიანი ინტერვალით ვეთამაშეთ, უარყოფითი როლი შეასრულა. სამი დღე აშკარად არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ გუნდი ბერძნებთან მარცხით მიღებული ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოსულიყო", - თქვა ჟირესმა.

ჟირესის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კომენტარისგან თავი ვერ შეიკავა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ.

"ძალიან უცნაურია, რომ ჟირესის კომპეტენციას ეჭვქვეშ აყენებენ. ეს საკითხი არავის გასარჩევი არ არის. ჩვენ გვჯერა ჟირესის, მას ვენდობით და იგი ჩვენი მხარდაჭერით გააგრძელებს ამ პოსტზე საქმიანობას მანამდე მაინც, სანამ ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობის უფლებამოსილება იმოქმედებს", - განაცხადა არველაძემ.

რა მიზანი დარჩა ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს? მზადება მომავალი შესარჩევი ციკლისთვის თუ მიმდინარე ციკლში შეძლებისდაგვარად ღირსეულად გამოსვლა? გუნდის შენება - ასეთია ჟირესის პასუხი.

"ჩვენი მთავარი მიზანი არის ისეთი დონის გუნდის ჩამოყალიბება, რომელსაც ნებისმიერი მაღალი კლასის ნაკრები ანგარიშს გაუწევს. მიმდინარე შესარჩევ ციკლში დარჩენილ მატჩებს სწორედ ამისთვის გამოვიყენებთ. თურქეთისა და საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელებს ნებისმიერ პოზიციაზე რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ და მათი პრობლემა ამ ჯგუფებში არჩევანის გაკეთებაა. ჩვენ ზოგიერთ პოზიციაზე გვყავს მაღალი კლასის ფეხბურთელი, ზოგიერთზე კი საშუალო ოსტატობის ფეხბურთელის დეფიციტი გვაქვს. ეს იწვევს დისბალანსს, რაც არასტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია", - მიაჩნია ჟირესს.


სახელი ____ მისამართი ____
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____
სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:
სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" / ინტელექტუალური გადაცემა "სუსტი რგოლი" / ვაჟა-ფშაველას 45, 0177 თბილისი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, ამასთან სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

# აკადემია მოკვდა. გაუმარჯოს აკადემიას!

**ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებს, აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს მეცნიერების ბედი საქართველოში**

ბატონებო!

ის, რასაც ქვემოთ მოვახსენებ თითოეულ თქვენგანს და ყველას ერთად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ჰუმანიტარული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის პირადი აზრი გახლავთ. იგულისხმება, რომ თავს არ ვიდებ კოლექტიური აზრის გამოხატვის პასუხისმგებლობას, თუმცა აზრთა თანხვედრას არათუ გამოვრიცხავ, მეიმედება კიდეც.

წინასწარ აღვნიშნავ, რომ ეს წერილი იძულებითია და მის გამო დიდ სულიერ კომფორტს სულაც არ განვიცდი; ხოლო, თუ პოლემიკურ სიმწვავეს არ მოვრიდებივარ, ესეც თვითმიზნური არ ყოფილა და არც ვისიმე პირადი შეურაცხყოფა მიფიქრია. უბრალოდ, მგონია, რომ მეცნიერებისა და თვით მეცნიერთა ყოფნა-არყოფნის საკითხი ჩვენში ისეთ ზღვრამდეა მისული, რომ ფარისევლობისა თუ ჭარბტაქტიანობით კეკლუცობის დრო ნამდვილად არ არის.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც სამეცნიერო წრეებში (როგორც აკადემიის ინსტიტუტებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში), დიდი ვნებათღელვაა განათლებისა და მეცნიერების სფეროში მოსალოდნელ რეფორმებთან დაკავშირებით. გავრცელდა ხმა კვლევითი ინსტიტუტების გაერთიანების შესახებ, რაც მათ პრაქტიკულად საშტატო ერთეულთა ტოტალური შემცირების რეალობის წინაშე აყენებს; ეს კი, განათლებისა და მეცნიერების რეფორმირების უშუალო მიზნად თუ არა, ერთ ძირითად შედეგად მაინც ივარაუდება. ამიტომ გასაგები უნდა იყოს ჩვენი აკადემიური ინსტიტუტების ისედაც სოციალურად დაუცველ მეცნიერთა აღელვება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭორს ჩვენში ხშირად მოვლენათა ლოგიკურ კავშირზე დაფუძნებული რეალობა კვებავს.

პირადად ჩემი (იქნებ სუბიექტური) დამოკიდებულება თავად **რეფორმის** ცნებისადმი ზოგადად დადებითია, რამდენადაც ასოციაციებს აღმიძრავს წარსულის გონიერი რეფორმისტების მოღვაწეობასთან როგორც ჩვენში (მაგ., ილია ჭავჭავაძე), ისე (და განსაკუთრებით) უცხოეთში. რეფორმას მე ვაკავშირებ ცხოვრების ბუნებრივი დინამიკის მოთხოვნებით შეპირობებულ ცვლილებათა რაციონალურ (როგორც წესი, შეთანხმებულ და თანდათან) განხორციელებასთან, რაც მკვეთრად უპირისპირდება **რევოლუციის** განუჭვრეტელ და ამიტომ პოტენციურად წამლეკავ დინამიკას.

მაგრამ, ვინაიდან საქართველოს, ისევე როგორც რუსეთისა და საბჭოურ იმპერიაში ხანგრძლივად მყოფ სხვა რესპუბლიკებს, ინერციით გამოყოლილი აქვს არაერთი სიმახინჯე და მათ შორის ტერმინების დემაგოგიური ჩანაცვლებაც, არსებობს იმის საშიშროება, რომ რეფორმის დროშითა და სახელით გამოვიდეს რევოლუცია.

რით დაიწყო განათლებისა და მეცნიერების რეფორმა საქართველოში?

**პირველ და მთავარ რეფორმად**, უწინარეს ყოვლისა, თვით **განათლების სამინისტროს საქმიანობის ასპარეზის გაფართოება და მასში მეცნიერების ჩართვა** უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მის საბოლოო მიზნად - **განათლების უწყვეტი პროცესისა** და **მეცნიერებასთან მისი ჰარმონიული შერწყმის უზრუნველყოფა**.

მაგრამ თუ რეფორმა მართლაც ამ ამოცანის განხორციელებას გულისხმობს, გარდაქმნის რთულ გზაზე იგი აუცილებლობით მოითხოვს წარსულის საუკეთესო მეცნიერული ტრადიციებისა და მეტ-ნაკლები ალბათობით პროგნოზირებული პერსპექტივების ყოველმხრივ შეჯერებული და ფრთხილად აწონილ-დაწონილი **კულტურული ბალანსის დაცვას**, ანუ: სრულად უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი წინამორბედი მეცნიერების მიერ ნაანდერძები, თვისებრივად ღირებული მონაპოვარი და იგი ახალი მიღწევებით გავამდიდროთ. ამისათვის კი უნდა დაისახოს მხოლოდ **რეალურ** და არა მოჩვენებით **პროგრესზე ორიენტირებული მიზნები** და მათ განსახორციელებლად გადაიდგას კარგად გათვლილი, გონივრული ნაბიჯები.

მოკლედ რომ ვთქვათ, განათლებისა და მეცნიერების, ზოგადად კი კულტურის რეფორმა უკულტუროდ ვერ განხორციელდება. ეს ფაქიზი პროცესი უნდა წარმართოს კულტურულ წრეში აღზრდილმა და მიუკერძოებელ პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც შეიმუშავებს რეფორმის სტრატეგიას და დასახავს კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას.

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმირებული სამინისტროს ხელმძღვანელი, გრძნობს რა დიდ პასუხისმგებლობას, დაუზარლად დადის საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკოლებში განათლების რეფორმის არსის ახსნა-განმარტებისათვის, დიდ დროს უთმობს ადგილებზე რეფორმის განხორციელების პირობებისა თუ დაბრკოლებების შესწავლას. ამ ცნობებს რეგულარულად გვაწვდიან საინფორმაციო საშუალებანი. ყოველ შემთხვევაში, ჩანს, რომ სასკოლო რეფორმა ძნელად, ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს; რაც მთავარია, იგი მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ კალაპოტში მიმდინარეობს.

ახლა ვნახოთ, როგორ ტარდება (ან საერთოდ ტარდება თუ არა) რეფორმა მეცნიერებათა აკადემიაში. **რეფორმის არსი**, როგორც მე მესმის, მდგომარეობს **კვლევითი მუშაობისათვის ხელშემწყობი კლიმატისა და სამისოდ შემუშავებული მექანიზმების ამოქმედებაში**, ასევე, სამეცნიერო მუშაობის შედეგების შეფასების (ატესტაციის) ობიექტური კრიტერიუმების დადგენაში. მაგრამ ამ ამოცანების წარმატებით დასაძლევად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუტებში სამეცნიერო მუშაობის **დემოკრატიულ მართვას**, რაც გულისხმობს აკადემიის პრეზიდიუმისათვის მართვის უფლების ჯერ შეზღუდვას, შემდეგ კი - მართვის სადავეების მთლიანად ჩამორთმევას და მათ გადაცემას ინსტიტუტებისათვის.

მოხდა კი სრულიად საპირისპირო (მოგეხსენებათ, პარადოქსებს საქართველოში უცხო ხილი არ ეთქმის):

ყველაზე ადრე და აშკარად გაირკვა **პრეზიდიუმის** ბედი, უკეთ რომ ვთქვათ, იღბალი: პრეზიდიუმის ჯერ ძველმა და შემდეგ ახალმა შემადგენლობამ არათუ განიმტკიცა მართვის უფლებასთან დაკავშირებული პრივილეგიები, არამედ სათანადო ამბიციების შესაფერი ხელფასებიც.

არცთუ დიდი ხნის წინათ, ძველი პრეზიდენტის, ფიზიკოს ალეკო თავხელიძის წასვლის შემდეგ, ეს ვაკანსია დაიკავა თამაზ გამყრელიძემ - ენათმეცნიერმა, რასაც ძირითადად (ასე მგონია) კმაყოფილებითა და ინტერესით უნდა შეხვედროდა ჰუმანიტარული საზოგადოება, მით უფრო, რომ ჰუმანიტარის გაპრეზიდენტება საბჭოური და პოსტსაბჭოური აკადემიების პრაქტიკაში პირველი თუ არა, იშვიათი მოვლენა უნდა იყოს. ერთი დეტალი კი მაინც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: აკადემიკოსი თ. გამყრელიძე საერთო კრებამ აირჩია *მათემატიკოსის* - აკადემიკოს ივ. კიღურაძის წინადადებით. ბ-ნმა ივანემ, როგორც ქართველი ერის საზოგადოებრივ-კულტურული ღირებულებების ჭეშმარიტმა დამფასებელმა, ეს მოიმოქმედა იმ შეგნებითა და იმედით, რომ მის მიერ დასახელებული კანდიდატი, როგორც საერთაშორისო სახელის მქონე ენათმეცნიერი, მთელ თავის ავტორიტეტს გამოიყენებდა ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტების დამოუკიდებელი სახით შესანარჩუნებლად, რაც ობიექტურად ხელს შეუწყობდა სათანადო უნიკალური დარგების კვლევის შემდგომ გაფართოება-გაღრმავებას...

პრეზიდიუმის განახლებული, თუმცა, ჩემი აზრით, არცთუ გაჯანსაღებული შემადგენლობის შექმნა (აქ მხოლოდ ან იმდენად ასაკი არა მაქვს მხედველობაში) საჭირო დაემთხვა არა მეცნიერების წინსვლის მასტიმულირებელი რეფორმის, არამედ ინსტიტუტების მახინჯი რესტრუქტურიზაციის რეალურ დასაწყისს. ამაზე მეტყველებს პრეზიდიუმში შეკრებილ დირექტორთათვის წარდგენილი სქემა, რომლის მიხედვითაც აქამდე არსებული 50-მდე ინსტიტუტის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო რვა (ან ცხრა) ინსტიტუტი თავის ცენტრებიანად.

იმის გამო, რომ გამსხვილების აღნიშნული სქემა, ზოგ სხვა ნაკლოვანებასთან ერთად, ფაქტობრივ უგულებელყოფდა ქართველოლოგიური ინსტიტუტების (ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ისტორიისა და ეთნოლოგიის, ქართული ლიტერატურის, და ხელოვნების ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტების) უნიკალურ წვლილს საერთაშორისო ქართველოლოგიის საგანძურში, აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. უკეთესი ალტერნატიული სქემის შესაქმნელად (და, მე ვიტყოდი, აკადემიის სახელის რეაბილიტაციისთვისაც!) გამოიყო კომისია ივ. კიღურაძის თავმჯდომარეობით. კომისიაში აკადემიის ცხრავე განყოფილება იყო წარმოდგენილი.

სამ დღეში კომისიამ წარმოადგინა **16-ინსტიტუტიანი** პროექტი. მას **ხელს აწერდა კომისიის უკლებლივ ყველა წევრი**, რომელთაც დელეგირებული ჰქონდათ ყველა განყოფილების წევრთა ნდობა. ამის შემდეგ პრეზიდიუმს შესთავაზეს, რომ პირდაპირ ეყარათ კენჭი კომისიის გადაწყვეტილებისათვის. მაგრამ მან გვერდი აუარა მეცნიერების ორგანიზაციის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის დემოკრატიულად გადაწყვეტის გზას და "განაჩენის გამოტანის" უმადური საქმე, ვიცე-პრეზიდენტ გ. ხარატიშვილის ინიციატივით, მიენდო ისევ აკადემიის განყოფილებებს (!) და, ჩანს, არცთუ ტყუილად: შესაბამისი პროცედურის ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ "კონსენსუსს ვერ მიაღწია". ამის პასუხად უპრიანია ვიკითხოთ: განა მკაცრად გაკრიტიკებულმა 8- და, განსაკუთრებით, კომისიისეული პროექტის უარყოფის შემდეგ შექმნილმა 11-ინსტიტუტიანმა პროექტმა კი გაიარა კონსენსუსის ანალოგიური ტესტი? დასანანია, რომ ზოგიერთმა პირმა, რომელმაც ხელი მოაწერა კომისიის მიერ შეთანხმებულ ვარიანტს, მოგვიანებით საკუთარი ხელმოწერა აღარ დაადასტურა. ამასთან, გაჩნდა, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური ფრაზეოლოგია: "4-ში ყოფნა სჯობია 2-ში ყოფნას", "ბ-ნი თამაზი რასაც იტყვის, იმას დავეთანხმებით" და მისთ.

პრეზიდიუმის რეანიმაციის ფონზე ეჭვს აძლიერებს სხვა გარემოებაც: ნაცვლად იმისა, რომ **ინსტიტუტების** როგორც **პრეზიდიუმის არსებობის ერთადერთი ბაზის** ბედის საკითხის გადასაჭრელად პრეზიდიუმს, სულ ცოტა, უზრუნველეყო პროექტის **საჯარო განხილვა უშუალოდ ადგილებზე** (თუნდაც საწყის ეტაპზე და შემჭიდროებულ ვადებში), მან თავი მოიზღუდა "დემოსისაგან" და შემოიფარგლა ძირითადად დირექტორებთან ურთიერთობით. ასეთი რამ არ ჩაუდენია წინა პრეზიდენტსაც კი (ფიზიკოსს), რომელიც არჩევისთანავე ეწვია ენათმეცნიერების ინსტიტუტს (ალბათ, სხვებსაც), თანაც, არაერთხელ, და ლექსიკოგრაფიული მუშაობის დაწვრილებით გაცნობის შემდეგ ოპერატიულად გაუწია ინსტიტუტს დახმარება კომპიუტერული ტექნიკით (და სხვა მხრივაც); სიამოვნებითა და მადლიერებით ვიხსენებ უფრო ადრე გამოჩენილ ასტრონომთან, ბ-ნ ევგენი ხარაძესთან მჭიდრო თანამშრომლობასაც).

საკითხი პრინციპულად დგას: რატომ ურჩევნია პრეზიდიუმს დირექტორებთან ურთიერთობა? იმიტომ ხომ არა, რომ ამ საკითხში სტერეოტიპი განსაკუთრებით საიმედოდ მოქმედებს და იგი დიდად სჭარბობს გამონაკლისს: მავანი ადგილის შენარჩუნებას ესწრაფვის, სხვას აკადემიკოსობა სურს; ერთს, უფრო აქტიურს, გულის მოსაგებად რაიმეს ჰპირდებიან, მეორე კი თვითონაა უკვე რითიმე დავალებული იერარქიულ კიბეზე ზემდგომისაგან და ურჩობის შემთხვევაში მისგან წამოყვედრებას უფრთხის... ადამიანურ სისუსტეებს რა გამოლევს!

საგანგებოდ და ხაზგასმით აღვნიშნავ იმ გარემოებასაც, რომ ამ "გენიალური" სქემის შემოქმედს სიტყვა **ცენტრის** მნიშვნელობასა და მის კუთვნილ ადგილზე იერარქიულ სისტემაში ერთობ შორეული წარმოდგენა აქვს. ყოფილ ინსტიტუტებს კი აკადემიის სტრუქტურულ იერარქიაში შემდეგი ადგილი უჭირავს (ჩამონათვალში იგი და მისი ქვედანაყოფი ხაზგასმულია): საერთო კრება - პრეზიდენტი - პრეზიდიუმი -აკადემიის განყოფილება - ინსტიტუტი (ყოფილ ინსტიტუტთა ახალი გაერთიანება) - **ცენტრი** (ყოფილი ინსტიტუტი) - **ცენტრის ქვეგანყოფილება** (ყოფილი ინსტიტუტის განყოფილება).

მაშასადამე, ყოფილი აკადემიური ინსტიტუტი ამ იერარქიაში ბოლოსწინა ადგილზე თავსდება. აი, თავი და ბოლო ამ ახალი, უთავბოლო (ზეფეოდალური) კიბისა, და ეს მაშინ, როცა ამ ინსტიტუტების გარეშე **აკადემია** (თავის პრეზიდენტ-პრეზიდიუმ- აპარატიანად) უსაგნო ცნებაა, იმის მიუხედავად, თუ რა პერსონალია ივარაუდება დიდი თუ მცირე სავარძლების დამკავებლად.

სწორედ ამ აბსურდს ვგულისხმობდი, როცა ჩვენი ინსტიტუტების უსიხარულო მომავლის ამსახველი სტატიის სათაურად პარაფრაზულად გამოვიყენე ცნობილი ინგლისური გამოთქმა, რომელიც ინგლისის მეფეთა მონაცვლეობის თანმხლებ ტრადიციულ შეძახილადაა დამკვიდრებული: "მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს1"

ოღონდ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება ასეთი ჩანართები:

**აკადემია (ინსტიტუტები) მოკვდა. გაუმარჯოს აკადემიას (პრეზიდიუმს)!**



ასე უგუნურად იჭრის აკადემიის ამჟამინდელი ადმინისტრაცია იმ ტოტს, რომელზედაც წინამორბედი ხელმძღვანელობა აქამდე თუ მეტ-ნაკლები მოკრძალებით იჯდა, ახალი, ისე ჩანს, ნებივრად მოკალათებასაც არ თაკილობს. ხოლო უგუნურების ზეობა რომ ზნეობას არ ნიშნავს (თუ საერთოდ არ გამორიცხავს), ეს ტრივიალური ჭეშმარიტება არ შეიძლება მხოლოდ ვისიმე პრივატული აზრი იყოს.

ნიშანდობლივია თითქოს მეორეხარისხოვანი, მაგრამ ზნეობრივად მეტად სიმპტომური ფაქტიც: მაშინ, როცა აკადემიურ ინსტიტუტებს გაუქმების საფრთხე უდგათ, ხოლო კვალიფიციური მეცნიერი თანამშრომლები სასოწარკვეთილების ზღვარზე იმყოფებიან, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი იმითაა დაკავებული, რომ კაპიტალურად ახალგარემონტებულ შენობას დიდ ქართველ მეფეთა და მეცნიერთა სურათებითა და ბიუსტებით ამკობს, რათა სამუდამო მატერიალური უზრუნველყოფა და შეუზღუდავი ადმინისტრაციული პრივილეგიები ასეთი საილუსტრაციო "ეროვნულობით" გაიკეთილშობილოს. ეს ფაქტი ცინიკურ ფარსად აღიქმება განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის სურათთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გულმოდგინეობას, რომლითაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი თავისი ტრიუმვირატით, განათლებისა და მეცნიერების რეფორმის გაუკულმართებული გაგების საფუძველზე, ფაქტობრივად **ძირს უთხრის სწორედ ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ იდეებზე აღმოცენებული მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ ინსტიტუტებს.** მათს ფუნქციასა და მნიშვნელობას პრეზიდიუმი აუფასურებს (თითქოს განგებ) და მათ "ცენტრებად" წოდებულ გაუგებარ კონგლომერატში უძებნის ადგილს, სადაც მათ არც საკუთარი სახე ექნებათ და არც სახელი. რაც მთავარია, მათ იმდენად მოაკლდებათ საშტატო ერთეულები, რომ დასახულ გეგმებს ველარ შეასრულებენ და, შესაბამისად, მინიმუმამდე შეიზღუდება თვით პრობლემატიკაც.

პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობას სხვა სიახლის შემოტანაც მიეწერება: მან აკადემიის საპატიო წევრად აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. ამ აქტით აკადემიამ სიმბოლურად დაადასტურა თავისი ხაზგასმული პატივისცემა ქართველი ხალხის სულიერი ღირებულებებისადმი. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ საკითხავია: თუ პრეზიდიუმს პატრიარქის ყოფნა აკადემიის წევრთა შორის ასე მნიშვნელოვნად მიაჩნია (პირადად მე ეს ფაქტი სწორედ ასე აღვიქვი), მაშინ ხომ ლოგიკური და ზნეობრივიც იქნებოდა მისი აზრისა თუ რჩევის გათვალისწინება? მაშ, რატომ არ ილო ყურად პრეზიდიუმმა მის მიერვე მოწვეული პატრიარქის მოწოდება, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიჰქცეოდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შემსწავლელ დარგებს, პირველ ყოვლისა კი - ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიასა და ხელოვნებას? არადა, სულ მოკლე ხნის მანძილზე პატრიარქი სამჯერ მაინც შეაწუხეს აკადემიაში მისვლით ("მრავალჟამიერის" დაგუგუნებით1). ნუთუ ამ გარეგნული ზარ-ზეიმითა და პომპეზურობით ვაპირებთ მთავრობისა და, მით უფრო, ხალხისათვის თვალის ახვევას? საერთოდ, რას უნდა მიეწეროს ასეთი ამჩატება მეცნიერების საბედისწერო საკითხის გადაწყვეტისას, თანაც, ფორსირებული დაჩქარების რეჟიმში?

ვითარება სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო. ჩვენ ახლა ხუმრობისათვის არ გვცალია, არც ექსპერიმენტებისათვის. საკითხი მეტად სერიოზულია საიმისოდ, რომ ვიზუალური თუ აკუსტიკური ორნამენტაციით გატაცების ფუფუნების ნემა მივცეთ საკუთარ თავს და ამას შევალიოთ ძვირფასი დრო, ენერგია და სახელმწიფო სახსრები. ამ მტკივნეული და სასიცოცხლო საკითხის ღირსეულად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული საქართველოში მეცნიერებისა და მის შემოქმედ მეცნიერთა მომავალი ბედი. ამ მძიმე პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ვერც ერთი ჩვენგანი, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ხელთ უპყრია განათლებისა და მეცნიერების მართვის სადავეები.

**1978 წლის 14 აპრილს** ქართული ენის საკონსტიტუციო უფლება ქართველმა ახალგაზრდობამ სიცოცხლის დიდი რისკის ფასად დაიცვა. ამ დღიდან ეს თარიღი იქცა **ქართული ენის დღედ**. ამ დღეს, არნოლდ ჩიქობავას წინადადებით, ქართული ენის (აგრეთვე ქართველურ ენათა) სფეროში მომუშავე ყველა დაწესებულება-ორგანიზაციას, სათანადო განყოფილებას, ცალკეულ სპეციალისტებს ყოველწლიურად ამ დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის უნდა წარმოედგინათ ანგარიში იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა საქართველოში ამ მიმართულებით.

ძვირად დაუსვა აკადემიამ (პრეზიდიუმმა) ამ წინადადების რეკომენდატორის სახელობის ინსტიტუტს (და მასთან ერთად სხვა მომიჯნავე პროფილის ინსტიტუტებსაც) ეს ინიციატივა:

**ამა წლის 15 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის მიერ მოწვეული საერთო კრების გადაწყვეტილებამ (ხმა არ მიუცია სამ დამსწრე წევრს), არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს (რომელიც საგანგებოდ და ყოველმხრივ შეისწავლის ქართულ, ქართველურ და მთის კავკასიურ ენებს), მის თანამშრომელთა უკითხავად და მათი სურვილის წინააღმდეგ, შეუწყვიტა დამოუკიდებლად არსებობა** და შეუერთა იგი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის აწ უკვე ყოფილ (?) ინსტიტუტებს (თუმცა ამ უკანასკნელის დუმილს, ჩანს, ასაზრდოებს ის იმედი, რომ ყოფილი დირექტორი მას მაინც არ გაწირავს. ჩემი ეს წერილი ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის სასარგებლოდაც დაიწერა).

ამგვარი **სათოთხმეტაპრილო ანგარიშით** (თუ ანგარიშსწორებით?) **წარდგა 2005 წლის 15 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია** (ერის ინტელექტუალური სახე) **მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი დაწესებულების - ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობის პასუხად, რითაც საქართველოს მეცნიერების ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა დედაენისა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნდამენტურად შემსწავლელი აკადემიური ინსტიტუტის სალიკვიდაციო ორგანოს სახელი**.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილება ჩვენს საზოგადოებრიობას, ბუნებრივია, ჯერჯერობით არ უნახავს. დღევანდელი მდგომარეობით, გამზადებულ დოკუმენტს ხელს მოაწერს (თუ უკვე არ არის ხელმოწერილი) აკადემიის პრეზიდენტი, საერთო კრების თავმჯდომარე - აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, საყოველთაოდ ცნობილი ენათმეცნიერი.

ვნახოთ, გამოიყენებს თუ არა იგი ისტორიულ შანსს აკადემიისა და საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენად.

დასასრულ, გულითად მადლობას მოვახსენებ იმ მცირერიცხოვან პირთ (რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს - ძირითადად ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო განყოფილებებიდან), რომელთაც მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურიზაციის სხვადასხვა სქემის განხილვა-კენჭისყრისას მხარი დაუჭირეს ქართველოლოგიური ინსტიტუტების დამოუკიდებელ არსებობას.

ამასთან, გულწრფელად მივესალმები და უყოყმანოდ მხარს ვუჭერ ამ ვითარებაში ხელნაწერთა ინსტიტუტის, მისი დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს ერთადერთ გონივრულ და ერთსულოვან გადაწყვეტილებას აკადემიის სისტემიდან გამოსვლის თაობაზე. ამავე გადაწყვეტილების მიღებისაკენ მოვუწოდებდი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსაც (ცხადია, ყველა მეცნიერ თანამშრომელთან მოთათბირების შემდეგ), - ინსტიტუტისას, რომელთანაც სისხლხორცეულად ვარ დაკავშირებული მთელი ჩემი არსებით და საქმიანობით. აშკარაა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა, გარდა იმისა, რომ არაკომპეტენტურია, მიდრეკილია პატივმოყვარეობისა და ძალაუფლების უზურპაციისაკენ. ასეთი ადმინისტრაციის არათუ ხელქვეითობა, არამედ მასთან თანამშრომლობაც კი საკუთარი თავის პატივისმცემელი ყველა ინსტიტუტისათვის სათაკილოდ მიმაჩნია.

პატივისცემით

**შუქია აფრიდონიძე**

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე

სახელი ____________________ მისამართი

გვარი ____________________

ასაკი ____________________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________________

სიმაღლე ____________________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

8 თქვენი ინტერესები

2 შვილები: (თუ გყავთ)

9 თქვენი ჰობი

3 პროფესია :

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გესხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი ფურცელი**

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

# ძველი მეგობრები ერთად არიან ისევ



60-იანი წლების საკულტო ბრიტანული როკ-ჯგუფი Cream დაშლიდან 36 წლის შემდეგ აღდგა. თუმცა, რეინკარნაცია დროებითია - მუსიკოსები ალბერტ-ჰოლში გამართული რამდნეიმე კონცერტის შემდეგ, ალბათ, თავ-თავიანთ გზას გაუდგებიან. პირველი კონცერტი ერიკ კლეპტონმა, ჯინჯერ ბეიკერმა და ჯეკ ბრიუსმა უკვე გამართეს. ჯგუფის გეგმებშია კიდევ სამი საკონცერტო გამოსვლა. აღსანიშნავია, რომ ამ საღამოებზე დასასწრები ბილეთები უკვე გაყიდულია. ამჟამად ბილეთების გარკვეული ნაწილი აუქციონზეა გატანილი და ღირებულებამ 1700 ფუნტს გადააჭარბა. დასადგომი ბილეთები შესაძლებელია 350 ფუნტადაც შეიძინოს მსურველმა. კონცერტებზე დასასწრებად ლონდონში ამერიკელი ფანებიც ჩავიდნენ. ამბობენ, კონცერტების ამ სერიას ერიკ კლეპტონი მეგობრების არასტაბილური ჯანმრთელობის გამო დათანხმდა. უკანასკნელად Cream-ს კონცერტი ალბერტ-ჰოლში 1968 წელს ჰქონდა, ამ შემდგენლობით კი ჯგუფი ბოლოს 1993 წელს გამოვიდა; მაშინ, როდესაც ჯგუფი როკ-ენ-როლის ამერიკულ დარბაზში უკვდავყვეს.

ხანმოკლე აქტიური მოღვაწეობის განმავლობაში ტრიომ სამი ალბომი ჩაწერა; ეს ჩანაწერები მთლიანად 35 მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა დღემდე.

რაც შეეხება ერიკ კლეპტონს, წარმატებული სოლოკარიერით მუსიკოსმა გაცილებით მეტ პოპულარობას მიაღწია, ვიდრე Cream-ში ყოფნისას; აღსანიშნავია, რომ მანამდე კლეპტონი მოღვაწეობდა როკ-ჯგუფებში: Yardbirds და John Mayall's Bluesbreakers.

"შევეცდებით, შევასრულოთ ყველაფერი, რაც ვიცით", - ასეთი იყო მუსიკოსების დაპირება ალბერტ-ჰოლის ბოლო კონცერტზე.

# ჩე გევარა ეკრანზე, ოღონდ განსხვავებულად

ნათია ლურსმანაშვილი



ჩვეულებრივ ერნესტო სტუდენტია და ლათინური ამერიკის გარშემო მოგზაურობს. ეს მანამდე, სანამ რევოლუციის ლეგენდად, მითად თუ სიმბოლოდ გადაიქცეოდა. ბრაზილიელი რეჟისორი სალესი ჩე გევარას პირად ჩანაწერებში მისი რეალური მეს დანახვას შეეცადა და ფილმიც გადაიღო - "მოტოციკლეტისტის დღიურები".

ფილმი ორ ახალგაზრდა ადამიანზე გვიყვება. ისინი სამხრეთ ამერიკაში, ჩილედან პერუში მიდიან მოტოციკლეტით, შემდეგ ვენესუელაში გაემგზავრებიან. ამაზონკა, ლამაზი პეიზაჟები, ინკების საიდუმლოებით მოცული ქალაქი - ტიპური ფილმი მოგზაურობაზე. ჰოლივუდში ასეთებს მეტსახელიც აქვთ - "როუდ მუგი".

კინო კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მთავარი გმირები ჩვეულებრივი სტუდენტები რომ ყოფილიყვნენ, "მოტოციკლეტისტის დღიურებს" გაუჭირდებოდა ასეთი წარმატების მოპოვება კანში (შეიძლება არც კი შეემჩნიათ) და არც "ძია ოსკარს" მიიღებდა, თუნდაც საუკეთესო სიმღერისთვის. თუმცა უოლტერ სალესის ფილმი საიდუმლოებით მოცულ და ლეგენდარულ ფიგურა ჩეს გარშემო ტრიალებს.

**"ჩვენ არც ლეგენდის შექმნა და არც მისი ამოხსნა არ გვსურდა. შევეცადეთ, ერნესტო თავისი თანამედროვეობის ჩვეულებრივ ადამიანად დაგვენახა, და არა რევოლუციის მომავალ გმირად. ასეთი სიყალბის ნახვა არავის მოუნდებოდა"** - ამბობს "მოტოციკლეტისტის დღიურების" რეჟისორი უოლტერ სალესი.

ფილმის დასაწყისში ერნესტო ჩვეულებრივი სტუდენტია სამედიცინო სასწავლებლიდან, რომელიც დიპლომის დაცვისათვის ემზადება. თანდათანობით ახალგაზრდული იდეალიზმი რაღაც სხვას ბადებს. რევოლუციის სიმბოლოდ მოგვიანებით გადაიქცევა. თუმცა, სწორედ ეს მოგზაურობა გადაწყვეტს მის არჩევანს ჯარისკაცისა და ექიმის კარიერას შორის.

დღიურებში ერნესტო გევარა - ჰუმანისტია, ასეთები ცოტანი თუ არსებობენ. ვენესუელაში ავადმყოფების სამკურნალოდ მიდის. ნახავთ გულის ამაჩუყებელ სცენასაც, როცა ახალგაზრდა ჩე უეცრად მუშაობით გატანჯულ მუშებს ხედავს და ექსპლუატატორისგან ღატაკების გამოკვებას ითხოვს.

სულ მალე კინოგაქირავებაში არგენტიულ-კუბელ ლეგენდაზე სხვა სამი ფილმიც გამოვა. მთავარ როლებში ბენისიმო დელ ტორო, დასტინ ჰოფმანი და ედუარდო ნარიეგო თამაშობენ. ანტიგლობალიზაციის სიმბოლო და ჩხუბისთავი ჩე ისევ მოდაშია, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელისა და მოღვაწეობის სფეროს გარდა ცოტას თუ გააჩნია მასზე რაიმე ინფორმაცია. კინოკრიტიკოსები ყველა სურათს წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

# "ინსაითი" კიევის ჯაზფესტივალზე

ქართველმა მუსიკოსებმა წარმატებით გაიკვალეს გზა უკრაინაში. ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" მორიგი საკონცერტო გამოსვლა კიევში 14 მაისს გაიმართება ჯაზის ტრადიციულ, რიგით მეხუთე ფესტივალზე. ღონისძიებაში მონაწილეობენ უკრაინელი მსმენელისთვის ავტორიტეტული ისეთი ჯგუფები, როგორებიცაა: ჯგუფი Ethnovation, ინგლისური Jazzinho და გიტარისტის დინ ბრაუნის ტრიო. ფესტივალის ფარგლებში კონცერტები კიევის გარდა ქალაქ დონეცკშიც არის დაგეგმილი.

უკრაინის ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუსიკალური ღონისძიებაა დსთ-ს ფარგლებში. ფესტივალის ფარგლებში იმართება კონკურსი ჯაზის ახალგაზრდა შემსრულებლებს შორის.















თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

